36

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 12 დეკემბერი № 12

თბილისი

გამომცემლობა „კომუნისტი"
1946



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

ხაკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის
ყოველთვიური თეორიული
და პოლიტიკური ჟურნალი

გამოცემის XVII წელი

№12 დეკემბერი 1946

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჟორესის, № 5
ტელეფონი № 3-73-05

Государственная академия наук Грузинской ССР
Институт Музей
им. Н. Гр...ашвили

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

მოწინავე—სტალინური კონსტიტუციის დროშით 1

ი. ნატროშვილი—საბჭოთა დემოკრატია—უმაღლესი ტიპის დემოკრატიაა 9

ს. ჭელიძე—განუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება 30

მ. ჩხეიძე—სახელმწიფო შრომითი რეზერვები 43

ა. მგელაძე—პარტიული ხელმძღვანელობა—კომკავშირის ძლიერების წყაროა 49

კონსულტაცია

ბ. ნანიტაშვილი—სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების ლენინურ-სტალინური თეორია 56

Ч 961

სტალინური კონსტიტუციის დროშით

საბჭოთა ხალხმა დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე 1946 წლის 10 თებერვალს აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი მჭიდრო დაუახლოება ბოლშევიკების პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო. უმაღლესი საბჭო აირჩევა ოთხი წლის ვადით, როგორც ეს ჩაწერილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 36-ე მუხლში, მაგრამ ომმა ჩვენს ქვეყანას საშუალება არ მისცა არჩევნები ჩაეტარებინა გათვალისწინებულ ვადაში. პირველი არჩევნებიდან გასული იყო რვა წელიწადი, როცა საბჭოთა ხალხმა თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს —სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩაატარა. ომი წარმოადგენდა აგრეთვე იმის მიზეზს, რომ გათვალისწინებულ ვადაში არჩევნები ვერ ჩატარდა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ეს ომი იყო „უსასტიკესი და უძძიმესი ყველა ომთაგან, რომელიც ოდესმე გადაუტანია ჩვენს სამშობლოს თავის ისტორიაში“,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა.

სამამულო ომში ჩვენი ხალხი გამარჯვებული გამოვიდა. მისმა შეიარაღებულმა ძალებმა შესძლეს ჯერ შეეჩერებინათ ჰიტლერელთა ურდოების გაცოფებული შემოტევა, ხოლო შემდეგ თვით გადასულიყვნენ ძლევამოსილ შეტევაზე, გამანადგურებელი დარტყმებით მიემწყვდიათ ვე-

რაგი მტერი თავის ბუნაგში და მოესპოთ იგი. ფაშისტი მხეცის უკანასკნელი თავშესაფარი—ბერლინი დაეცა. ჩვენმა სახელოვანმა მებრძოლებმა, რომლებმაც მამაცობითა და გმირობით მთელი მსოფლიო გააოცეს, გამარჯვების დროშა ააფრიალეს ბერლინში — რაიხსტაგის თავზე. განადგურდა კაცობრიობის უბოროტესი მტერი—გერმანიის ფაშიზმი, შეიმუსრა მისი შეიარაღებული ძალა. ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ მოკავშირეებთან ერთად გაანადგურა იმპერიალისტური იაპონია, რომელიც ჰიტლერული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შემდეგ ომს კვლავ განაგრძობდა. ამგვარად ლიკვიდირებულ იქნა დასავლეთით გერმანელთა შემოსევის საფრთხე და ალმოსავლეთით იაპონელთა შემოსევის საფრთხე.

ამგვარად საბჭოთა ხალხმა, მისმა ძლევამოსილმა არმიამ ფაშისტური დამონებისაგან იხსნა მთელი მოწინავე კაცობრიობა. მან განთავისუფლება მიუტანა ევროპის ხალხებსაც, რომლებიც ფაშიზმის ძძიმე უღელქვეშ გმინავდნენ. სამამულო ომში ჩვენ მოვიპოვეთ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება. გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვეს ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა. ეს გამარჯვება საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ბოლშევიკური პარტიის, კაცობრიობის უდიდესი ადამიანის გენერალისიმუს სტალინის ხელმძღვანელობით. „ჩვენი პარტიისათვის, სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის, ჩვენი სამშობლოს თვითეული მშრომელისათვის უდიდესი ბედნიერებაა,—ამბობს ამხანაგი ლავრენტი ბერია,—რომ ყველაზე მძიმე განსაცდელის პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხს სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი“.

დიდი სტალინის გენიამ ომის მძიმე დღეებში ერთიან სამხედრო ბანაკად აქცია მთელი ჩვენი ქვეყანა. სტალინის პირველი მოწოდებისთანავე საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა თავისი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ბოლშევიკური პარტია, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, იყო საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. საბჭოთა ხალხი თავის მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიასთან იყო, მიჰყვებოდა მას ღრმად დარწმუნებული, რომ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გამარჯვებას მოიპოვებდა, ისე როგორც გამარჯვება მოიპოვა წარსულ ბრძოლებში.

სამამულო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა მშვიდობიან აღმშენებლობას—მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. საბჭოთა ხალხმა იცის, რომ წარსულშიაც, „მშვიდობიანი მშენებლობის წლებში კომუნისტური პარტია განუხრელად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ბოლშევიკური პარტიის სწორმა პოლიტიკამ ჩვენი ქვეყანა მოწინავე და ძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადააქცია. მოსახლეობის ცხოვრება დღითი დღე უმჯობესდებოდა, უფრო კულტურული და შეძლებული ხდებოდა“. (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის მიმართვიდან ამომრჩეველებისადმი). მაგრამ ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ ოთხი წლით შესწყვიტა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება.

ახლა, ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა ხალხი კვლავ მთელი ძალით გა-
ნაგრძობს მშვიდობიან აღმშენებლობას. თებერვალში ჩატარებულმა სსრ კავ-
შირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა მკაფიოდ გვიჩვენეს, რომ საბჭოთა
ხალხი, რომელიც მრავალი წლის გამოცდილებით არის დარწმუნებული
ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის სისწორეში, ერთსულოვნად იწონებს ამ
პოლიტიკას, ხმას აძლევს და მიჰყვება მას. ამიტომ იყო, რომ არჩევნებში
ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღ-
ვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებმა. კავშირის საბჭოში კომუნისტებისა
და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,18 პრო-
ცენტმა, ხოლო ეროვნებათა საბჭოში—99,16 პროცენტმა. არჩევნები ასევე
დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა ჩვენს რესპუბლიკაში. კავშირის
საბჭოში სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,90
პროცენტმა, ეროვნებათა საბჭოში—99,82 პროცენტმა. ასეთი ერთსულოვნება
იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ერთგულია ბოლშევიკური
პარტიისა, მისი პოლიტიკისა; მან კარგად იცის, რომ „ბოლშევიკების პარ-
ტიის მთელი საქმიანობა—ეს არის ხალხისადმი თავდადებული სამსა-
ხური".

რა ვითარებაში ატარებს საბჭოთა ქვეყანა ხელისუფლების უმაღლესი
ორგანოს არჩევნებს?

მთელმა მსოფლიომ იცის, თუ როგორ ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლე-
სი საბჭოს პირველი არჩევნები. 1937 წლის 12 დეკემბერის არჩევნები ნამ-
დვილად იყო საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. თავის ისტორიულ სიტ-
ყვაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინა-
საარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს ამხანაგი სტალინი ამბობდა:
„მომავალი არჩევნები—ეს უბრალო არჩევნები როდია, ამხანაგებო. ეს
მართლაც ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის საყო-
ველთაო-სახალხო დღესასწაულია. ჯერ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიო-
ში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევ-
ნები, არასოდეს! ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი. ლაპარაკია
არა იმაზე, რომ ჩვენ გვექნება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირ-
დაპირი არჩევნები, თუმცა უკვე ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს.
ლაპარაკია იმაზე, რომ საყოველთაო არჩევნები ჩვენში ჩატარდება რო-
გორც ყველაზე უფრო დემოკრატიული, მსოფლიოში ყოველივე სხვა ქვეყ-
ნის არჩევნებთან შედარებით".

ამხანაგმა სტალინმა მკაფიოდ დაახასიათა რადიკალური განსხვა-
ვება, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალისტურ, ეგრეთწო-
დებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში ჩატარებულ არჩევნებს შორის. იქ
არჩევნები ტარდება „კლასობრივ შეტაკებათა ვითარებაში, კლასობრივი
შუღლის ვითარებაში, კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირებისა და
კაპიტალიზმის სხვა ონავრების მხრით ამომრჩევლების მიმართ დაწოლის
ვითარებაში. ასეთ არჩევნებს, ისინი რომ კიდეც საყოველთაო, თანასწორი,
ფარული და პირდაპირი იყოს, არ შეიძლება ეწოდოს საკმაოთ თავისუ-
ფალ და საკმაოთ დემოკრატიული არჩევნები" (სტალინი). ჩვენს ქვეყანაში
კი არჩევნები ტარდება მუშების, გლეხების და ინტელიგენციის თანამშრომ-

ლობის, მათი ურთიერთნდობის, ურთიერთმეგობრობის ვითარებაში, როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ვითარებაში ჩაატარებს ქართველი ხალხი თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს—საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს 1947 წლის 9 თებერვალს.

მომდინარე საარჩევნო კამპანია ტარდება მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის ვითარებაში. ბუნებრივია, ეს მრავალმხრივ განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ხასიათს. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, უზრუნველჰყონ მისი შემდგომი აღმავლობა, მისი წარმართვა მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. პარტიულ ორგანიზაციებს საარჩევნო კამპანიაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ მიღებული. საჭიროა ამ გამოცდილების ყოველმხრივ გამოყენება, მაგრამ ისიც კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ცხოვრება წინ მიდის, მდგომარეობა იცვლება, ახალი ვითარების შესაბამისად ახლებური მუშაობა აუცილებელია. ამიტომ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმების გამოყენებას უნდა მივუდგეთ არა ფორმალურად, სტანდარტით, არამედ ცოცხლად და მოქნილად. ამჟამად ჩვენი ქვეყანა განიცდის ომისშემდგომ სიძნელეებს. ეს მდგომარეობა იმითაც გართულებულია, რომ გასულ წელს მოუსავლიანობა იყო. პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რომ ამომრჩევლებს ნათლად განვუმარტოთ ჩვენი სიძნელეების დროებითი, წარმავალი ხასიათი, ავუხსნათ, რომ ეს სიძნელეები რადიკალურად განსხვავდება ბურჟუაზიული ქვეყნების ომისშემდგომი სიძნელეებისაგან. იქ ადგილი აქვს კრიზისებს, უმუშევრობას, მშრომელთა მასების გაღატაკებას, რაც კაპიტალიზმის ორგანიული მანკიერების გამოხატულებას წარმოადგენს. საბჭოთა სისტემის წყალობით ჩვენს ქვეყანას არ ემუქრება კრიზისები, უმუშევრობა და მშრომელთა მასების გაღატაკება. რაც უფრო მჭიდროდ დავრაზმავთ მასებს ომისშემდგომი სიძნელეების სწრაფად დაძლევისათვის, მით უფრო მალე მოვიშუშებთ ომისაგან მოყენებულ ჭრილობებს, უფრო მალე ვიხილავთ ჩვენი თავდადებული შრომის სასურველ ნაყოფს.

აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ამომრჩევლებისათვის კიდევ უფრო ნათელი უნდა გახადონ ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად. მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდა, მისი გრანდიოზული ამოცანების ფართოდ და ღრმად გაცნობა მასებისათვის განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს მომდინარე საარჩევნო კამპანიაში. მთელი ეს მუშაობა საჭიროა მჭიდროდ დაუკავშირდეს ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებისა და პერსპექტივების ჩვენებას. აგიტაცია უნდა იყოს კონკრეტული, თვალსაჩინო, ცოცხალი და მიმზიდველი. წინასაარჩევნო თათბირები, მიტინგები, კრებები, რომლებმაც საკმაო ჰპოვეს გამართლება წარსულ საარჩევნო კამპანიაში, ახლაც უნდა გამოვიყენოთ. საუბრები, მოხ-

სენებები, ლექციები ყოველთვის წარმოადგენენ აგიტაციისა და პროპაგანდის საუკეთესო ფორმებს. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, მათდამი ხელმძღვანელობას და დახმარებას. პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა კაბინეტებმა. პარტიულ კაბინეტში საჭიროა სისტემატურად ეწყობოდეს კონსულტაციები, იყოს სათანადო ლიტერატურა, მასალები ქალაქის, რაიონის მეურნეობისა და კულტურის საკითხებზე, აგიტატორთა სემინარები ტარდებოდეს მაღალ იდეურ დონეზე, ხდებოდეს სააგიტაციო მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება.

საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო უბნების დროულად შექმნის შემდეგ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგება ამოცანა უზრუნველყოფილ იქნას ყველა პირობა მათი შეუფერხებელი მუშაობისათვის. საარჩევნო უბანი ისე უნდა მოეწყოს, რომ უკლებლივ ყველა ამომრჩეველს საუკეთესო პირობები ექნეს არჩევნებში მონაწილეობისათვის. შენობა, სადაც ხმის მიცემა იწარმოებს, საარჩევნო უბნის ცენტრში უნდა მდებარეობდეს. თვით საარჩევნო უბანი ამომრჩეველთა შორის მთელი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ცენტრია. იქ მოწყობილმა სააგიტაციო პუნქტებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა მიიღონ. ამავე დროს საჭიროა სააგიტაციო პუნქტებმა ისე მოაწყონ მუშაობა, რომ იქ იკითხებოდეს საინტერესო ლექციები, ეწყობოდეს მომზადებული საუბრები, კინოსურათების ჩვენება, იყოს გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, ბროშურები, სწარმოებდეს პასუხის გაცემა ამომრჩევლების მიერ დაყენებულ საკითხებზე. თუ სააგიტაციო პუნქტი კარგად მოაწყობს მუშაობას, ამომრჩევლები იქ ყოველთვის ხალისით მივლენ. მაგრამ როდი კმარა მარტოოდენ ამით დავკმაყოფილდეთ. საჭიროა სააგიტაციო პუნქტი თვითონ ზრუნავდეს ამომრჩეველთა მიზიდვისათვის. ამიტომ აგიტატორები სააგიტაციო პუნქტში კი არ უნდა ისხდნენ და ელოდნენ როდის მოვა ამომრჩეველი, არამედ თვითონვე მიდიოდნენ მათთან.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ერთერთ ძირითად ამოცანას შეადგენს განვუმარტოთ მშრომელებს მათი უფლება-მოვალეობანი, რომლებიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში. ამავე დროს უნდა გავსწიოთ პროპაგანდა საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციისა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებისა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა მოაწყონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, რომ სანიმუშოდ დავაყენოთ მოსახლეობაში ჩვენი სოციალისტური წყობილების უპირატესობათა პროპაგანდა, იმის განმარტება, რომ საბჭოთა დემოკრატია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ნამდვილად ხალხური დემოკრატიაა. ამომრჩევლებს ნათელი წარმოდგენა უნდა მივცეთ იმ უპირატესობათა შესახებ, რომელიც საბჭოთა დემოკრატიას—უმაღლესი ტიპის დემოკრატიას აქვს ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით.

ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ძალა მის სიმართლეში მდგომარეობს. ჩვენი პარტიის სიტყვა და საქმე ერთია. ბოლშევიკები ყოველთვის სიმართლეს ეუბნებიან ხალხს. მიღწევების შესახებ ლაპარაკის დროს ისინი როდი სდუმან იმ სიძნელეებზე, რომლებიც ამა თუ იმ საქმეს წინ ეღობება. ისინი განუმარტავენ მასებს სიძნელეების წარმოშობის მიზეზებს და ამავე დროს სახავენ გზებს მათ დასაძლევად. მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში შასებს არა მარტო უნდა განვუმარტოთ ჩვენი სიძნელეების წარმომშობი მიზეზები და ვუჩვენოთ მათი დაძლევის გზები, არამედ მივალწიოთ იმასაც, რომ მთელი ძალები დავრაზმოთ მეოთხე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საარჩევნო კამპანიას შედეგად უნდა მოჰყვეს საბჭოების სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმზრდელობითი როლის შემდგომი ამაღლება, უზრუნველყოფილ იქნას მასებთან მათი კავშირის გაფართოება და განმტკიცება. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობა.

ბოლშევიკური პარტია საბჭოთა სახელმწიფოს მმართველი ძალაა. მას არავითარი სხვა ინტერესი არა აქვს, გარდა ხალხის ინტერესისა. ის ყოველთვის ხალხის სამსახურშია, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავს. ამიტომ არის, რომ ასე უსაზღვროა საბჭოთა ხალხის სიყვარული თავისი მშობლიური ბოლშევიკური პარტიისადმი. ხალხისა და პარტიის ეს ერთიანობა წარმოადგენს საბჭოთა დემოკრატიის სასიცოცხლო ძალას. მომავალ არჩევნებში, ისე როგორც წარსული არჩევნების დროს, ჩვენი პარტია გამოდის ერთიანი ბლოკით, მოწინავე მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირით; არჩევნებზე პარტია მიდის პროფესიულ კავშირებთან, კოოპკავშირთან და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ერთად. პარტიას იმედი აქვს ხალხის ნდობისა, მან იცის, რომ მომავალი არჩევნები იქნება ამომრჩეველთა მიერ მისი გასამართლება. „მე ვფიქრობ,—ამბობს ამხანაგი სტალინი—რომ საარჩევნო კამპანია არის ამომრჩეველთა მიერ კომუნისტური პარტიის გასამართლება, როგორც მმართველი პარტიისა, ხოლო არჩევნების შედეგები ამომრჩეველთა განაჩენი იქნება. დიდ რამედ არ ეღირებოდა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტია, მას რომ კრიტიკის, შემოწმების ეშინოდეს. კომუნისტური პარტია მზად არის მიიღოს ამომრჩეველთა განაჩენი". ეს განაჩენი ამომრჩევლებმა გამოიტანეს წარსული არჩევნების დროს—მათ ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს. ამით მათ ხმა მისცეს ბოლშევიკების პარტიას, ლენინისა და სტალინის დიად საქმეს. მომავალი არჩევნების შედეგებიც ასევე განაჩენი იქნება კომუნისტური პარტიისა. ამიტომ საჭიროა თვითეულ ამომრჩეველს კარგად ესმოდეს ჩვენი პარტიის პოლიტიკა, ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი გზა. ამისათვის კი აუცილებელია გამოვიყენოთ ბოლშევიკური აგიტაციის ყველა საშუალება.

დიდი როლი ეკისრება აგიტაციისა და პროპაგანდის ისეთ მასობრივ, მძლავრ საშუალებებს, როგორიც არის პრესა, რადიო, კინო. ბოლშევიკური

პრესა, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ჩვენი პარტიის ყველაზე მძაფრი და ყველაზე ძლიერი იარაღია. გაზეთები მოწოდებულნი არიან ფართოდ განუმარტონ ამომრჩევლებს სტალინური კონსტიტუციის დიადი პრინციპები, საბჭოთა საარჩევნო კანონი, კონკრეტული მაგალითებით უჩვენონ ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი ძალა, თავიანთ ფურცლებზე მოათავსონ წერილები და კონსულტაციები ბოლშევიკური პარტიის ისტორიის, საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის საკითხებზე. ცენტრალურმა და ადგილობრივმა რადიოგადაცემებმა ფართოდ უნდა გაშალონ საბჭოთა საარჩევნო კანონის პროპაგანდა, მოაწყონ სპეციალური გადაცემები არჩევნებთან დაკავშირებით, მიკროფონთან გამოიყვანონ წარჩინებული ადამიანები, მოწინავე სტახანოველები, აგიტატორები, პროპაგანდისტები და ლექტორები. არჩევნებისათვის მზადების დღეებში დიდი როლის შესრულება შეუძლია კინოს. საბჭოთა კინემატოგრაფიის საუკეთესო ნიმუშების დემონსტრაცია, ჩვენი დოკუმენტალური კინოსურათების ჩვენება ხელს შეუწყობს მასებში პატრიოტიზმის გაძლიერებას, მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში.

წარსული არჩევნების დროს კარგად იყო გამოყენებული თვალსაჩინო აგიტაცია. პლაკატები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები, მხატვრული თვითმოქმედი ბრიგადები დიდ როლს ასრულებენ საარჩევნო კამპანიაში. ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. არჩევნებისათვის მზადების დღეებში ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ მუშაობა კულტურის სახლებმა და ბიბლიოთეკებმა, კლუბებმა და ქოხსამკითხველოებმა. პარტიულმა ორგანიზაციებმა მათ სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ. საჭიროა კარგად გვახსოვდეს, რომ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი პარტიის კავშირს მშრომელ მასებთან, ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა აქტივობას—უცლებლივ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველთვის კარგად უნდა იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაა საარჩევნო ოლქებსა და უბნებში, დახმარება აღმოუჩინონ საარჩევნო კომისიებს, ძირეულ ორგანიზაციებს; მათ არ უნდა გამორჩეთ საორგანიზაციო და საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის არც ერთი საკითხი, რათა დროზე მიიღონ ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამომრჩეველთა სიების შედგენას მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ, აგრეთვე მათ დაზუსტებას პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის მიერ წამოყენებულ და სათანადო საარჩევნო ოლქებში რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ აგიტაცია პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებსაც რაიონული და საოლქო წინასაარჩევნო თათბირები აირჩევენ. ნდობით აღჭურვილ პირებს ეკისრებათ გასწიონ აგიტაცია დეპუტატობის კანდი-

დატების ასარჩევად. ამ საპასუხისმგებლო საქმეში ისინი უნდა დაეყრდნონ ფართო აქტივს, გამოიყენონ აგიტატორები და წამკითხველ-მესაუბრეები. რომ გასწიო აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატის ასარჩევად, საჭიროა კარგად იცოდე მისი ბიოგრაფია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი საქმიანობა. ამიტომ, ბუნებრივია, ნდობით აღჭურვილ პირს, მის დასახმარებლად გამოყოფილ აგიტატორებს მოეთხოვებათ კარგად შეისწავლონ დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია.

არჩევნების დღეს მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციას საარჩევნო უბნებში პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. საჭიროა მათ ისე მოაწყონ მუშაობა, რომ არ დარჩეს არცერთი ამომრჩეველი, რომელიც ხმის მიცემაში მონაწილეობას არ მიიღებს.

საარჩევნო კამპანია მთელი ძალით ჩაღდება. ქართველი ხალხი ახალი მიღწევებით ეგებება თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს. მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის წინასწარი შედეგები ნათლად მოწმობენ იმ დიდ პოლიტიკურსა და საწარმოო აღმავლობას, რასაც საქართველოს მშრომელები ამჟამად განიცდიან. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არჩევნებისათვის მზადების დღეებში მივაღწიოთ ახალ წარმატებებს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, შახტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. საარჩევნო კამპანიის საყოველთაო-სახალხო, მასობრივი ხასიათი ამის საუკეთესო საწინდარია.

1947 წლის 9 თებერვალი—საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე—უნდა გადაიქცეს **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, დიდი **სტალინის** გარშემო მთელი ქართველი ხალხის მჭიდრო დაორაზმულობის კიდევ ერთ მძლავრ დემონსტრაციად.

ი. ნატროშვილი

საბჭოთა დემოკრატია — უმაღლესი ტიპის დემოკრატიაა

მიმდინარე წლის 5 დეკემბერს მთელმა საბჭოთა ხალხმა იდღესასწაულა სტალინური კონსტიტუციის 10 წელი. ამ საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს ჩვენმა ხალხმა შეაჯამა განვლილი ათი წლის შედეგები, — თავისი გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის შედეგები. სტალინური კონსტიტუციის დროშით ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოიპოვა. განვლილმა ათმა წელმა ბრწყინვალედ დაამტკიცა საბჭოთა წყობილების სიცოცხლისუნარიანობა და დიადი ძალა.

საბჭოთა ხელისუფლების ამ სიცოცხლისუნარიანობისა და უპირატესობათა შედეგად ჩვენი ქვეყანა გამარჯვებული გამოვიდა საშინ და ძლიერ მტერთან, ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლაში. დიდმა სამამულო ომმა კიდევ ერთხელ უჩვენა მსოფლიოს საბჭოთა წყობილების, ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალა და უძლეველობა, უძლეველობა საბჭოთა დემოკრატიისა, რომელიც განსახიერებულია სტალინურ კონსტიტუციაში.

საბჭოთა დემოკრატიის ეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ წყობილებას ემყარება. სოციალისტური საზოგადოების აშენების გარეშე საბჭოთა დემოკრატიის სრული განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა. სოციალიზმის გამარჯვება დაედო საფუძვლად დიად სტალინურ კონსტიტუციას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე თანმიმდევრულ, ბოლომდე დაცულ დემოკრატიას აკანონებს. ახალი კონსტიტუციით განმტკიცებული ჩვენი საბჭოთა დემოკრატია ძირიანად განსხვავდება ბურჟუაზიულ დემოკრატიისაგან, იგი სრულიად ახალი, უმაღლესი ტიპის დემოკრატიაა, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.

რა განასხვავებს კონკრეტულად საბჭოთა დემოკრატიას ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან? რაში მდგომარეობს მისი თანმიმდევრობა და უპირატესობანი ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით?

* * *

ამ საკითხებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა უკანასკნელ წლებში, როცა ცხოვრებამ მოითხოვა სახელმწიფოებრივი წყობილების ყველა ფორმათა ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება. მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მატერიალურ და სულიერ ძალთა სერიოზული გამოცდა იყო, ამომწურავი სისრულით გამოამჟღავნა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ყველა ფორმათა შესაძლებლობანი, მათი მინუსი და პლიუსი.

დემოკრატია სიტყვა სიტყვით ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს. დემოკრატიის ცნება შეიცავს ორ ძირითად ელემენტს: პირველი — ხალხის უფ-

ლება აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, სახელმწიფოს მართვაში; და მეორე — დემოკრატიული თავისუფლებანი, რომლებიც ხალხს აქვს მინიჭებული. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ არც ერთ ხელისუფლებას, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა, არ მიუნიჭებია ხალხისათვის უფლება ნამდვილად მართოს სახელმწიფო, ბოლომდე განახორციელოს ის უფლებები, რასაც მას ამათუიმ ქვეყნის კონსტიტუცია ანიჭებს. ისტორიას ახსოვს მრავალი სახის დემოკრატია, მაგრამ მშრომელი ხალხი, რომლის ხელისუფლების სახელსაც ესა თუ ის მთავრობა ატარებდა, არასოდეს არ განაგებდა ქვეყნის ბედს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაში ჰპოვა თავისი გამოხატულება ნამდვილმა დემოკრატიზმმა, დემოკრატიამ მშრომელთათვის. ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც მდიდარნი არიან მრავალი მოდური „დემოკრატიული“ სისტემებით, არასოდეს არ უზრუნველჰყოფენ მთელი მოსახლეობის დემოკრატიულ თავისუფლებებს. „დემოკრატია კაპიტალიზმის დროს, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არის დემოკრატია **კაპიტალისტური,** ექსპლოატატორული უმცირესობის დემოკრატია, რომელიც ემყარება ექსპლოატირებული უმრავლესობის უფლებათა შეზღუდვას და მიმართულია ამ უმრავლესობის წინააღმდეგ. მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის დროს არის შესაძლებელი ნამდვილი თავისუფლებანი ექსპლოატირებულთათვის და პროლეტარიათა და გლეხთა ნამდვილი მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურის დროს არის დემოკრატია **პროლეტარული,** ექსპლოატირებული უმრავლესობის დემოკრატია, რომელიც ემყარება ექსპლოატატორული უმცირესობის უფლებათა შეზღუდვას და მიმართულია ამ უმცირესობის წინააღმდეგ“.[1]

ასე ახასიათებდა ამხანაგი სტალინი ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს სტალინურ კონსტიტუციამდელ ჩვენს დემოკრატიასთან შედარებით. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო დემოკრატიის გაფურჩქვნის ხანა. რუსეთის 1918 წლის პირველი კონსტიტუცია და სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციები გამოხატავდნენ რა კლასთა იმდროინდელ თანაფარდობას ჩვენს ქვეყანაში, დემოკრატიულ თავისუფლებებს უზრუნველჰყოფდნენ მხოლოდ მშრომელთათვის, ხოლო რაც შეეხება საზოგადოების დანარჩენ ფენებს— კაპიტალისტური კლასის ნაშთებს, კულაკობას, კულტის მსახურთ, რომლებიც კვლავ განაგრძობდნენ თავის მტრულ საქმიანობას, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა საარჩევნო უფლება. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს მიუთითებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეს ზომა დროებითია, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საბჭოთა ხელისუფლება საყოველთაო საარჩევნო უფლებას შემოიღებსო.

და მაინც, მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვისა, საბჭოთა ხელისუფლება მაშინაც ყველაზე უფრო დემოკრატიულ სისტემას წარმოადგენდა ყველა არსებულ სახელმწიფო სისტემებთან შედარებით. თავის ნაშრომში: „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ: „პროლეტარული დემოკრატია მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია ყოველგვარ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, საბჭოთა ხელისუფლე-

1. ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“ მე-11 გამოც. გვ. 39.

ბა მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე თვით ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა".[1]

ლენინი საბჭოთა დემოკრატიას **პირდაპირ** და **უშუალო** დემოკრატიას უწოდებდა. საბჭოები, რომელნიც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენენ, თვით მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ორგანიზაციებია, რომელთა საშუალებითაც მშრომელნი უშუალოდ განაგებენ სახელმწიფოს. ხალხი არა მარტო ირჩევს თავისი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოებს, არამედ თვითონვე მართავს სახელმწიფოს ამ ორგანოების სახით. ახასიათებდა რა საბჭოებს, ამხანაგი სტალინი ოთხ ძირითად ნიშანს გამოყოფდა: 1) საბჭოები პროლეტარიატის ყველაზე უფრო **ყოვლისმომცველი** ორგანიზაციებია; 2) ისინი აერთიანებენ არა მარტო მუშებს, არამედ **ყველა მშრომელს**, — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, ჯარისა და ფლოტის ნაწილებს; 3) ისინი წარმოადგენენ **ყველაზე მძლავრ** ორგანოებს მუშებისა და გლეხების ხელში, რომელთაც უნარი აქვთ მოსპონ კაპიტალისტთა წინააღმდეგობა, ექსპლოატატორული კლასები, დარაზმონ მშრომელნი სოციალისტური მშენებლობისათვის; 4) ისინი წარმოადგენენ თვით მასების **უშუალო** ორგანიზაციებს, **ყველაზე უფრო დემოკრატიულ** ორგანიზაციებს, რომელნიც უადვილებენ მასებს მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლებაში.

ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მნიშვნელობის მიღწევები მოიპოვა პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების დღიდან. სოციალიზმის გამარჯვების ბაზაზე მოხდა უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკობის ლიკვიდაცია. დარჩა ორი, ერთმანეთისადმი მეგობრული კლასი—მუშათა კლასი და გლეხობა, დარჩა ინტელიგენცია, — მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსული ახალი ინტელიგენცია, რომელიც ხალხს ემსახურება. საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკასა და კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობეს ცვლილებანი საბჭოთა დემოკრატიის სფეროში, რამაც გაღრმავებული ჰპოვა კონსტიტუციაში. ახალ კონსტიტუციას უნდა ეპასუხა საბჭოთა ქვეყანაში შექმნილი ახალი ვითარება და საკანონმდებლო წესით განემტკიცებინა იგი. სტალინურმა კონსტიტუციამ ახალი ფურცელი გადაშალა საბჭოთა დემოკრატიის განვითარების ისტორიაში, მასში კიდევ უფრო მეტი რელიეფურობით გამოჩნდა ჩვენი სახელმწიფოს ხალხურობა. საბჭოთა ხალხი გამოდის როგორც ქვეყნის უშუალო ბატონ-პატრონი. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს წინააღმდეგობა ხელისუფლებასა და ხალხს შორის, ვინაიდან ჩვენში ხელისუფლება თვით ხალხის ხელშია. სტალინურ კონსტიტუციაში ამის შესახებ ნათქვამია:

„მთელი ძალაუფლება სსრ კავშირში ეკუთვნით ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით" (მე-3 მუხლი). საბჭოები წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს, საბჭოების საშუალებით ჩვენი ქვეყნის მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლებას არა აქვს სხვა ამოცანა, გარდა ხალხის ინტერესებისა, იგი ყველაზე უფრო დემოკრატიულად გამოსახავს ხალხის ნებას. ამიტომ წარმოადგენს ჩვენი დემოკრატია ყვე-

1. ვ. ი. ლენინის „რჩეული ნაწერები". ტ. IV, გვ. 117-118.

ლაზე უმაღლესი ტიპის დემოკრატიას. ხალხისადმი სიახლოვე, ხალხურობა წარმოადგენს საბჭოთა დემოკრატიის ძლიერების წყაროს. „საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია ხალხისადმი თავისი სიახლოვით. პარლამენტური დემოკრატიისაგან განსხვავებით საბჭოთა დემოკრატიას ნამდვილი ხალხური ხასიათი აქვს“.[1]

სულ სხვაა ბურჟუაზიული დემოკრატია. თავისი განვითარების ადრინდელ პერიოდში ბურჟუაზია ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა დემოკრატიის — თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის ლოზუნგით. ამ ლოზუნგმა უსათუოდ დიდი როლი შეასრულეს საშუალო საუკუნეობრივი, ბატონყმური, წოდებრივი საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, ფეოდალიზმზე გამარჯვების შემდეგ ბურჟუაზიას არსად არ განუხორციელებია თავისი ეს დემოკრატიული მოთხოვნანი, მუშებისა და გლეხებისათვის არ მიუცია არც ნამდვილი თავისუფლება და არც თანასწორობა, სახელმწიფო ხელისუფლებაში მონაწილეობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. მშრომელებისადმი ყველა ამ დემოკრატიულ დაპირებებს მიზნად ჰქონდა ხალხის ფენები ჩაება ბრძოლაში ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, ფეოდალების წინააღმდეგ, რათა სხვისი ხელით ნარი ეგლიჯათ. მართალია, ეს დაპირებანი ფორმალურად შევიდნენ ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში, მაგრამ რამდენადაც ამის რეალური ეკონომიური საფუძველი არ არსებობდა, დარჩნენ ფორმალურ უფლებად, რაც ამავე დროს ხელს უწყობდა ბურჟუაზიული სახელმწიფო ხელისუფლების კლასობრივი ხასიათის შენიღბვას და მშრომელთა თვალისახვევას. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან სანამ სიმდიდრე და მასზე დამყარებული ძალაუფლება შეძლებული უმცირესობის — კაპიტალისტების ხელშია, რომელიც ექსპლოატაციას უწევს უმრავლესობას, — პროლეტარიატსა და გლეხობას, რანაირი საბურველითაც უნდა იფარავდეს თავს ამ სახელმწიფოს ხელისუფლება, იგი იქნება დემოკრატია მდიდართათვის, ექსპლოატატორთათვის. დემოკრატიის სახელით ისინი კიდევ უფრო მეტად უწევენ ექსპლოატაციას მშრომელებს.

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოგვცა ბურჟუაზიული და საბჭოთა დემოკრატიის ამომწურავი დახასიათება, გაარკვია საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობანი ბურჟუაზიულის მიმართ.

„ბურჟუაზიული კონსტიტუციები, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ჩვეულებრივ სჯერდებიან მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებზე, მათი განხორციელების შესაძლებლობაზე, მათი განხორციელების საშუალებებზე. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ არ შეიძლება ნამდვილი თანასწორობა მეპატრონესა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთ აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი მოკლებულნი არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი წარმოადგენენ ექსპლოატატორებს, ხოლო მეორენი — ექსპლოატირებულთ“.[2]

1. ვ. მ. მოლოტოვი. მოხსენება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავი“, გვ. 27.

2. ი. ბ. სტალინი.—„სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, 1945 წ. გვ. 18.

ბურჟუაზიული ქვეყნების დემოკრატიები გამოდიან გაბატონებული კლასის ინტერესებიდან. მათი კონსტიტუციები დუმილით უვლიან გვერდს იმას, რომ საზოგადოება შესდგება ანტაგონისტური კლასებისაგან, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას ჰფლობს მსხვილ მესაკუთრეთა, კაპიტალისტთა კლასი და რომ კონსტიტუცია ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცების ამოცანას ემსახურება. ამ კონსტიტუციის საფუძველს შეადგენენ კაპიტალიზმის პრინციპები — მიწის, ტყის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება, რაც საფუძველია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა. ბურჟუაზიული კონსტიტუციები ემსახურებიან რა ამ საზოგადოებრივი წყობილების დაცვას, ასახავენ მას და საკანონმდებლო წესით განამტკიცებენ.

საბჭოთა კონსტიტუცია ემყარება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის გამარჯვების ფაქტს. ჩვენი კონსტიტუციის საფუძველს სოციალიზმის პრინციპები შეადგენენ, რომელნიც მშრომელთა მიერ მოპოვებულნი და ცხოვრებაში განხორციელებულნი არიან. ეს არის მიწის, ტყის, ფაბრიკა-ქარხნების და სხვა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, ექსპლოატატორული კლასებისა და ექსპლოატაციის საბოლოო ლიკვიდაცია, უმუშევრობის ლიკვიდაცია, შრომის აღიარება ყოველი შრომისუნარიანი მოქალაქის უფლებისა და მოვალეობის, მათი ღირსების საქმედ, რაც გამოხატულია პრინციპში: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს“.

კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომლის კონსტიტუცია მოქალაქეთ ასეთ ფართო უფლებებს ანიჭებდეს, როგორც ჩვენი, სტალინური კონსტიტუცია. ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში ხალისით არის ჩაწერილი მოქალაქეთა **მოვალეობანი** სახელმწიფოებისადმი, ამ მოვალეობათა შესრულებას ზუსტად იცავს კანონი, ხოლო რაც შეეხება მოქალაქეთა **უფლებებს**, ამაზე ძლიერ ცოტაა ნათქვამი და ისიც მხოლოდ დეკლარაციულად, ფორმალურად, ვინაიდან ამ უფლებების განხორციელებაზე არსებითად არავინ არ ზრუნავს.

ჩვენი კონსტიტუცია არ სჯერდება მოქალაქეთა ფორმალური უფლებების აღნუსხვას, პირიქით მას მთელი თავისი ყურადღება და სიმძიმის ცენტრი გადააქვს მათს გარანტიებზე, მათი განხორციელების საშუალებებზე. წინააღმდეგ ბურჟუაზიული კონსტიტუციების მიერ აღიარებული მოქალაქეთა ფორმალური თანასწორობისა, კაპიტალისტსა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის ფაქტიური უთანასწორობის მიუხედავად, ჩვენი კონსტიტუცია „უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეების უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით“.[1]

არც ერთ ბურჟუაზიულ კონსტიტუციაში არ მოინახება ისეთი პუნქტი, რომელიც შრომის განთავისუფლებაზე, შრომის უფლებაზე მეტყველებდეს. ჩვენი კონსტიტუცია აკანონებს საბჭოთა მოქალაქეების შრომის უფლებას,— გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლებას სათანადო ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. ამასთან, მოქალაქეთა ამ უფ-

1. ი. ბ. სტალინი—„სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, გვ. 19.

ლებას უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია, ჩვენი საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდა, კრიზისების აღკვეთა და უმუშევრობის ლიკვიდაცია. იგივე ითქმის დასვენების უფლებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია სამუშაო დღის შემცირებით, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველწლიურ შვებულებათა დაწესებით სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით, მშრომელთა მომსახურებისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და კლუბების ფართო ქსელით; მოხუცებულობაში, ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებაზე, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის, უფასო სამედიცინო დახმარებისა და მშრომელთა ხელში კურორტებისა და დასასვენებელი სახლების ფართო ქსელის გადაცემით; განათლების უფლებაზე, რაც უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით; სინდისის თავისუფლებაზე, რაც უზრუნველყოფილია ეკლესიის გამოყოფით სახელმწიფოსაგან და სკოლისა — ეკლესიისაგან.

თითქმის ყველა ბურჟუაზიული კონსტიტუცია ლაპარაკობს სიტყვის, კრებების, პრესის თავისუფლებაზე, მაგრამ მუშათა კლასისათვის ეს „თავისუფლება“ ლიტონ სიტყვად არის გადაქცეული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი მოკლებულია იმის ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ თავის განკარგულებაში ჰქონდეს შენობები კრებებისათვის, სტამბები და საბეჭდი ქაღალდი — გაზეთებისა და ჟურნალებისათვის. ეს თავისუფლებანი ბურჟუაზიის მონოპოლიურ უფლებებად არის გადაქცეული. პრესა იქ ხალხს კი არ ემსახურება და ხალხის აზრს კი არ გამოხატავს, არამედ ერთი მუჭა მონოპოლისტთა ინტერესების სამსახურშია, ჰქმნის ბურჟუაზიისათვის მისაღებ და მოსაწონ „საზოგადოებრივ აზრს“. აი მაგალითად, რას აცხადებდა ყველაზე გავლენიანი ამერიკული გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ყოფილი რედაქტორი — ჯონ სუინტონი, გაზეთისთვის თავის დანებებასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე: „ამერიკაში არ არსებობს დამოუკიდებელი პრესა. თქვენ ეს ისევე კარგად იცით, როგორც მე. თქვენს, ჟურნალისტებს შორის, არ მოიპოვება არც ერთი ისეთი, რომელიც გაბედავს პატიოსნათ გამოსთქვას თავისი აზრი. მაგრამ თუ თქვენ ამას ჩაიდენთ, თქვენ წინასწარ მშვენივრად იცით, რომ იგი ვერასოდეს ვერ ელირსება დაბეჭდვას. მე კვირაში 250 დოლარს ვიღებ იმისათვის, რომ პატიოსნად არ გამოვსთქვა ჩემი აზრი გაზეთში, რომელთანაც მე დაკავშირებული ვარ. ჟურნალისტის მოვალეობაა — ებრძოლოს სიმართლეს, იცრუოს, ფაქტები ამახინჯოს, იგინოს, მუცელზე იხოხოს სიმდიდრის ღმერთის წინაშე. ჩვენ კულისებს იქით მდგომ მდიდართა მხოლოდ იარაღები და ვასალები ვართ. თქვენ ეს იცით და მეც აგრეთვე ვიცი, ამიტომაც სისულელე იქნებოდა ახლა გვეთქვა „დაუკიდებელი პრესის“ სადღეგრძელო“.

ანდა გავიხსენოთ ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრის კონსერვატორ სტენლი ბოლდუინის 1931 წელს წარმოთქმული სიტყვა. ახასიათებდა რა ცნობილ ინგლისურ გაზეთებს „დეილი ექსპრესს“, „დეილი მეილის“, „ივნინგ პოსტს“, „ივნინგ სტანდარტს“, „სანდი ექსპრესს“ და „სანდი დის-

პეტჩს", იგი ამბობდა, რომ ეს გაზეთები, რომელთაც ხელმძღვანელობენ ლორდ როთერმირი და ლორდი ბივერბრუკი, წარმოადგენენ მათთვის საჭირო და მისაღები პოლიტიკის პროპაგანდის საშუალებებს, მათი მეთოდია აშკარა სიცრუე, სიმართლის დაფარვა, საკითხის არასწორი გაშუქება, არასიზუსტე და ფაქტების სისტემატური დამახინჯება.

აქედან ცხადია, რომ თვით ბურჟუაზიული მოღვაწეები იძულებულნი გახდნენ ნაწილობრივ მაინც ელიარებინათ სიმართლე თავისი პრესის შესახებ. ცხადია, აგრეთვე ის, რომ ყოველგვარ აზრს მოკლებულია ლაპარაკი პრესისა და სიტყვის თავისუფლებაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სტალინური კონსტიტუცია არამარტო უბრალოდ აღიარებს სიტყვის, კრებებისა და მიტინგების, ბეჭდვითი სიტყვის, ჭუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლებას, არამედ მას კიდევაც უზრუნველჰყოფს კანონით. „მოქალაქეთა ეს უფლებანი, — ნათქვამია კონსტიტუციის 125-ე მუხლში, — უზრუნველყოფილია მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის სტამბების, ქაღალდის მარაგის, საზოგადოებრივი შენობების, ჭუჩების, კავშირგაბმულობის საშუალებათა და სხვა მატერიალურ პირობათა მინიჭებით, რომლებიც კი აუცილებელია მათი განხორციელებისათვის".

ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან ერებისა და რასების არათანასწორობის პრინციპიდან, მათი კონსტიტუციის მიხედვით არსებობენ სრულუფლებიანი ერები და არასრულუფლებიანი ერები და მათ გარდა კი — ერებისა და რასების მესამე კატეგორია — კოლონიური ხალხები, რომელნიც კიდევ უფრო უუფლებონი არიან, ვიდრე არასრულუფლებიანი ერები. არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია სწორად გადასჭრას ეროვნული საკითხი, ვინაიდან თვითონ გაბატონებული, ექსპლოატატორული კლასები ატარებენ ეროვნული ჩაგვრისა და ნაციონალური მტრობის პრინციპებს. ცხადია, ამ პირობებში ფიქრიც კი ზედმეტია ერთა თანასწორუფლებიანობაზე, ერების უფლებათა დაცვაზე.

სტალინური კონსტიტუცია ღრმად ინტერნაციონალურია. იგი აკანონებს ყველა ერისა და რასის თანასწორუფლებიანობას განურჩევლად კანის ფერისა, ენისა, კულტურული დონისა და სახელმწიფო განვითარების საფეხურისა. იგი ყველა ერის ადამიანთათვის აკანონებს თანაბარ უფლებებს სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა დემოკრატიის ეს მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარი საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული სტალინურ კონსტიტუციაში —„სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ურყევ კანონს წარმოადგენს. უფლების რაიმე პირდაპირი, ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან პირიქით, მოქალაქეთა პირდაპირი, ან არაპირდაპირი უპირატესობის შემოღება მათი რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რასიული ან ნაციონალური განკერძოებულობის, ან სიძულვილისა და ქედმაღლობის ყოველგვარი ქადაგება ისჯება კანონით" (მუხლი 123).

ამრიგად, ბურჟუაზიული დემოკრატიისა და მის გამომხატველ კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, რომელნიც კანონით ანმტკიცებენ ექსპლოატატორთათვის სასარგებლო და მისაღებ საზოგადოებრივ და სახელმწი-

ფიებრივ წყობილებას, ჩვენი საბჭოთა დემოკრატია და მისი გამომხატველი სტალინური კონსტიტუცია იცავენ მშრომელთა ინტერესებს, საკანონმდებლო წესით ამტკიცებენ მშრომელთათვის მისაღებ და სასარგებლო ურთიერთობას. „საბჭოთა წყობილება დემოკრატიზმის მაქსიმუმია მუშებისა და გლეხებისათვის“ [1] — გვასწავლიდა ლენინი.

* * *

საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჰქმნის ყოველგვარ პირობებს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ჩასაბმელად სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქვეყნის საარჩევნო სისტემა ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს მისი პოლიტიკური წყობის სარკეს. საბჭოთა საარჩევნო სისტემა აგებულია სრული დემოკრატიზმის პრინციპებზე, იგი არ იცნობს არავითარ შეზღუდვას და გამონაკლისს და უზრუნველჰყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოთა უაღრესად თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებს. ყველა მოქალაქეს არჩევნების დროს თანაბარ პირობებში, დაუბრკოლებლად შეუძლია გამოჰხატოს თავისი ნება და აირჩიოს ის, ვინც მას ღირსად მიაჩნია.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებული საარჩევნო სისტემა ამომრჩეველს არ აძლევს საშუალებას თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება, ცხოვრების არსებული წესი გასაჭანს არ აძლევს მშრომელს გამოიყენოს მისთვის ფორმალურად მინიჭებული უფლებები. როგორც არჩევნების დროს, ისე შემდეგაც იქ ისეა მოწყობილი ცხოვრება, რომ პროლეტარიატი, გლეხობა შებორკილია — **გადამწყვეტი** მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამით აიხსნება მასების ნაკლები აქტიურობა არჩევნების დროს ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ყველას ახსოვს სსრ კავშირის პირველი და მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები. 1937 წლის არჩევნებში ჩვენში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 96,8 პროცენტმა, ხოლო 1946 წლის არჩევნებში 99,7 პროცენტმა. დამახასიათებელია ამომრჩეველთა ის ერთსულოვნობა, რომელიც მათ გამოიჩინეს კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებისადმი ხმის მიცემის დროს. არჩევნებში მონაწილეთა 98,6 პროცენტმა 1937 წელს, ხოლო 99,18 პროცენტმა 1946 წელს, ხმა მისცა ამ ბლოკის კანდიდატებს და ამით დაადასტურა თავისი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ერთგულება და თავდადება თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი.

ჩვეულებრივ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნები არასოდეს არ არის **საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი** სხვადასხვანაირი შეზღუდვისაგან. ბევრი ბურჟუაზიული კონსტიტუცია „ხალისით ღებულობს და საქვეყნოდაც კი გაჰკივის დემოკრატიულ საწყისებზე, მაგრამ ამასთან უკეთებს ისეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი სრულიად დამახინჯებული გამოდის. ისინი ლაპარაკობენ თანასწორ საარჩევნო უფლებებზე ყველა მოქალაქისათვის,

1. ვ. ი. ლენინი—თხზ. ტ. XXVII, გვ. 26.

მაგრამ იქვე ზღუდავენ მათ ბინადრობით, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი. ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებზე, მაგრამ იქვე უკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შეეხება ქალებს, ან შეეხება მათ ნაწილობრივ"...[1]

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები. მეორე მსოფლიო ომამდე, ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან — იტალია, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, იუგოსლავია, ბულგარეთი, რუმინეთი, იაპონია და სხვ., მცხოვრებთა ნახევარი — ქალები მოკლებულნი იყვნენ საარჩევნო უფლებებს. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალებმა საარჩევნო უფლება მხოლოდ 1920 წელს მიიღეს. მეორე მსოფლიო ომამდე მაგალითად, უნგრეთში, სადაც ქალებს ფორმალურად საარჩევნო უფლება ჰქონდათ, მშრომელ ქალებს ფაქტიურად არ შეეძლოთ ამ უფლებით სარგებლობა. უნგრეთის საარჩევნო კანონი საარჩევნო უფლებას ანიჭებდა მხოლოდ იმ ქალებს, რომელთაც 30 წელი შეუსრულდათ. (მამაკაცთა წლოვანების ცენზი 24 წელი იყო), ამასთან, ისინი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდნენ თუ უნგრეთის მოქალაქეებად ითვლებოდნენ 10 წლის განმავლობაში, ცხოვრობდნენ ერთ და იმავე ადგილას 2 წლის განმავლობაში და დამთავრებული ჰქონდათ სახალხო სკოლის ექვსი კლასი. დანარჩენ შემთხვევაში ქალებს საარჩევნო უფლება ენიჭებოდათ, თუ მათ ჰყავდათ სამი „კანონიერი შვილი", ცხოვრობდნენ საკუთარ, მემკვიდრეობით მიღებული ქონების შემოსავლით, ჰქონდათ დამოუკიდებელი მეურნეობა ანდა დამთავრებული ჰქონდათ უმაღლესი სასწავლებელი.

ქალთა უუფლებობა კვლავ გრძელდება ისეთ „დემოკრატიულ" ქვეყნებში, როგორიცაა საბერძნეთი, შვეიცარია, ესპანეთი, პორტუგალია, სამხრეთ ამერიკის რიგი სახელმწიფოები.

მხოლოდ საბჭოთა კავშირშია ქალი მამაკაცთან თანასწორუფლებიანი. მისთვის გზა ხსნილია სამეურნეო, სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. სტალინური კონსტიტუცია ამას სპეციალური მუხლებით აკანონებს. კონსტიტუციის 122-ე მუხლში ნათქვამია: „ქალს სსრ კავშირში ენიჭება მამაკაცთან თანასწორი უფლებანი სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ქალის ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ქალს მინიჭებული აქვს მამაკაცთან თანასწორი უფლება შრომისა, შრომის ანაზღაურებისა, დასვენებისა, სოციალური დაზღვევისა და განათლებისა, დედისა და ბავშვის ინტერესთა სახელმწიფო დაცვისა, ორსულობის დროს ქალისათვის შვებულებათა მინიჭებით ხელფასის შენახვით, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების ფართო ქსელით".

კონსტიტუციის 137-ე მუხლი ხელახლა უბრუნდება მამაკაცებთან ქალთა თანასწორუფლებიანობას: „ქალები სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან მამაკაცების თანაბრად".

1. ი. სტალინი—„სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ". გვ. 17-18.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო მიენიჭებინა ქალებისათვის ეს დემოკრატიული უფლებანი, გამოეყვანა ისინი პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე, აქტიურად ჩაება სახელმწიფოებრივ საქმეში, სრულად გამოევლინებინა მათი შემოქმედებითი ენერგია.

ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ბურჟუაზიულ წყობილებას არ შეუძლია მშრომელების, ხალხის ინტერესების დაცვა. ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი აპარატი მოწოდებულია დაიცვას გაბატონებული კლასის — ბურჟუაზიის ინტერესები. იგი უცხოა ხალხისათვის და არასოდეს მიზნად არ ისახავდა და არ ისახავს მშრომელთა კეთილდღეობას.

მრავალ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არსებობს მცირე ერებისა და ეროვნული უმცირესობის ამკარა ან ფარული შეზღუდვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 2 მილიონი ზანგიდან 15 პროცენტი იღებს არჩევნებში მონაწილეობას. კიდევ მეტი, შავკანიანებისათვის არსებობს სპეციალური საცხოვრებელი ზონა, რომლის გადალახვა მათ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ. მაგალითად, ნიუ-იორკში მათთვის მოწყობილია ასეთი სპეციალური საცხოვრებელი ზონა — ჰარლემი, ეს არის ქალაქი ქალაქში, სადაც 400 ათასი ზანგი ცხოვრობს. იქ ძნელია შეხვდეთ თეთრკანიანებს. შავკანიანებს, როგორც შავ ჭირს, ისე ერიდებიან „ბატონთა რასის ადამიანები“. საკმარისია ზანგმა დაიწყოს ცხოვრება სახლში, სადაც თეთრკანიანები ცხოვრობენ, რომ „თეთრების“ ოჯახებმა მყისვე დასტოვონ ბინები, რასაც ჩვეულებრივ მოჰყვება სასტიკი რეპრესიები შავკანიანებისადმი. ყველასათვის ცნობილია ის ამკარა ტერორი და სამარცხვინო ლინჩის კანონი, რითაც ზანგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში უმასპინძლდებიან. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი შავკანიანთა რაიმე დემოკრატიულ უფლებებზე.

გავიხსენოთ კიდევ ერთი მაგალითი — ინდოელი მოსახლეობის აღვირახსნილი დისკრიმინაცია სამხრეთ აფრიკის კავშირში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ცხარე მსჯელობის საგანი გახდა გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაში. იქ ზღუდავენ ინდოელთა თავისუფალ მისვლა-მოსვლასაც კი ქვეყნის ტერიტორიაზე, გარდა განსაკუთრებული რაიონებისა და უბნებისა და ამრიგად იქმნება თავისებური გეტოები ინდოელი მოსახლეობისათვის; აკრძალულია ქორწინება ინდოელებსა და თეთრკანიანებს შორის, ინდოელ ქალებს სრულიად წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება, ხოლო ინდოელ მამაკაცებს — უფლება არჩეულ იქნან წარმომადგენლობითს ორგანოებში. დისკრიმინაციის ეს კანონები იქამდეც კი მიდის, რომ სამხრეთ აფრიკაში ინდოელებს ტროტუარზე სიარულს უკრძალავს.

და, მიუხედავად ყოველივე ამისა, გენერალურ ასამბლეაზე ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლები თავგამოდებით იცავდნენ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის მოქმედებას. მათ საღებავები არ დაიშურეს იმ სურათის დასახატავად თუ რა დიდი „უბედურება“ იქნებოდა კაცობრიობისათვის ინდოელებისადმი ისეთივე უფლების მინიჭება, როგორიც ევროპელებს აქვთ. ზოგიერთი ევროპელი ქვეყნის პოლიტიკურმა მოღვაწემ ამას „ბარბაროსობისადმი დაბრუნებაც“ კი უწოდა.

ბურჟუაზიული „საყოველთაო“ საარჩევნო სისტემა აშკარად ირღვევა აგრეთვე იმით, რომ ბევრგან ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს არა აქვთ მი-

ნიჭებული არჩევნების უფლება. ამას მრავალი ბურჟუაზიული იდეოლოგი იმით ხსნის, რომ თითქოს საშიში იყოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არმიის ჩარევა. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში მაღალი ოფიცრობა არა თუ არჩევნებში მონაწილეობს, არამედ გადამწყვეტი გავლენით სარგებლობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სულ სხვაა საბჭოთა კავშირი. სტალინური კონსტიტუციით საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი მოქალაქენი სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან ყველა მოქალაქის თანაბრად. საბჭოთა არმიის მონაწილეობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებში კიდევ უფრო აძლიერებს მის კავშირს ხალხთან. კაპიტალისტები, რასაკვირველია, ასეთ კავშირს გაურბიან — საკმაოდ ცნობილი მიზეზებით.

ზოგ კაპიტალისტურ ქვეყანაში საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ სტუდენტებიც იმ საბაბით, რომ მათი ვალია სწავლა და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ უნდა მონაწილეობდნენო. და ეს მაშინ, როცა მრავალ მოქალაქეს საარჩევნო უფლება წართმეული აქვს წერა-კითხვის უცოდინარობის გამო. განათლების ცენზი ახლაც არსებობს ბევრ ბურჟუაზიულ ქვეყანაში, მათ შორის ინგლისსა და ამერიკაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მშრომელთა წარმომადგენლისათვის, თუ ის ასარჩევადაა წამოყენებული, სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა. ეს მოთხოვნა არ ეხება შეძლებული კლასის წარმომადგენლებს.

ავიღოთ მაგალითად წლოვანების ცენზი. ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში, იმისათვის, რომ აირჩიოს, მოქალაქისათვის დაწესებულია 21-დან 30 წლამდე, ხოლო იმისათვის, რომ არჩეულ იქნას — 25-დან — 45 წლამდე. ასე, მაგალითად, ინგლისში ქვედა პალატაში არ შეიძლება არჩეულ იქნან 25 წელზე და ზედა პალატაში კი — 40 წელზე ნაკლები ხნის მოქალაქენი. იგივე მდგომარეობაა ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში.

განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს მშრომელებს ბინადრობის ცენზი. ამ ცენზის მიხედვით იმისათვის, რომ ამა თუ იმ პირმა მიიღოს საარჩევნო უფლება, სავალდებულოა ერთ ადგილზე ცხოვრება 3 თვიდან — 2 წლამდე. ასეა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში. ნორვეგიის საარჩევნო კანონით არჩევის უფლებისათვის დაწესებულია 5 წელიწადს ერთ ადგილზე ცხოვრება, ხოლო იმისათვის, რომ არჩეულ იქნას — 10 წელი. ალარას ვამბობთ ისეთ ქვეყნებზე, სადაც იმისათვის, რომ ესა თუ ის პირი არჩეულ იქნას დეპუტატად, საჭიროა მუდმივად ცხოვრება მოცემულ საარჩევნო ოლქში. ეს მოთხოვნა პირდაპირ მიმართულია მშრომელთა წინააღმდეგ, მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, რომელნიც სამუშაოს და ლუკმაპურის ძიებაში ყველაზე უფრო ხშირად იძულებულნი არიან იმოგზაურონ ერთი ადგილიდან მეორეზე, მუდმივად იცვალონ საცხოვრებელი ადგილი.

გარდა ზემო თქმულისა, ბინადრობის ცენზში ინგლისის საარჩევნო კანონი გულისხმობს არა მარტო ერთ ადგილზე ხანგრძლივ ცხოვრებას, არამედ იმასაც, რომ ამომრჩეველს საკუთარი ბინა ჰქონდეს, ან და მოცემულ ოლქში ერთი ოთახი მაინც ჰქონდეს დაქირავებული. ამ წესით საარჩევნო უფლებები ერთმევათ იმ მოქალაქეებს, რომელთაც მიუხედავად ერთ ადგილზე ხანგრძლივი ცხოვრებისა არა აქვთ საკუთარი ბინა, ან თავისი ხელ-

მოკლეობის გამო დაჩირავებული აქვთ მხოლოდ კუთხე. გარდა ამისა, საარჩევნო უფლება ერთმევათ შინა მოსამსახურეებს, სრულწლოვან შვილებს, რომლებიც მშობლებთან ცხოვრობენ, და იმ მშობლებს, რომელნიც შვილებთან ცხოვრობენ და მათ კმაყოფაზე იმყოფებიან. ბინადრობის ცენზი განსაკუთრებით დიდია ზედა პალატების არჩევნების დროს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ დეპუტატთა (ქვედა) პალატაში ასარჩევად საჭიროა 7 წლის ბინადრობის ცენზი, სენატში (ზედა პალატა) არჩევისათვის — საჭიროა არა ნაკლებ 9 წლისა.

ნათქვამიდან ცხადია, როგორ არარად აქცევს ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემის ეს ზომაც მშრომელთა დემოკრატიულ უფლებებს.

ბოლოს, შევეხოთ კიდევ ერთ ცენზს — ქონებრივ ცენზს, რომლის მიხედვით ამომრჩეველისათვის საჭიროა, რათა იგი განსაზღვრულ ქონებას ფლობდეს ან და იხდიდეს განსაზღვრულ გადასახადს. ქონებრივი ცენზი განსაკუთრებით დიდია იმათთვის, ვისაც ირჩევენ. ინგლისში დეპუტატობის ყოველი კანდიდატი მოვალეა შეიტანოს გირაო 150 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, რაც მას აღარ უბრუნდება, თუ იგი არჩეული არ იქნება, ან თუ ვერ მიიღო ხმების 1/8 მაინც. იაპონიაში ომამდე გირაოს რაოდენობა შეადგენდა 2 ათას იენს. დეპუტატობის კანდიდატისათვის გირაო და საარჩევნო ხარჯები დაწესებულია აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში. შვეიცის კანონის მიხედვით მხოლოდ ის შეიძლება იქნას არჩეული, ვინც არჩევნებამდე სამი წლით ადრე ფლობდა 50 ათას კრონად ღირებულ ქონებას. ცხადია, რომ ქონებრივი ცენზიც მიმართულია იქითკენ, რომ გააძნელოს არჩევნებში მუშებისა და გლეხების წარმომადგენლების დაშვება, რომელთათვისაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს ასეთი სერიოზული თანხის გადახდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ რა ფასი უნდა ჰქონდეს ბურჟუაზიულ კონსტიტუციათა დებულებას საყოველთაო არჩევნების შესახებ. ლაპარაკი საყოველთაო არჩევნებზე, სანამ შრომა არ განთავისუფლებულა კაპიტალისაგან, სანამ არსებობს სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე და მშრომელთა მონობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, მხოლოდ თვალთმაქცობაა. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კ. მარქსი საფრანგეთის 1848 წლის კონსტიტუციის შესახებ სწერდა: „კონსტიტუციის თვითეული პარაგრაფი შეიცავს თავის საკუთარ ანტითეზისს, ზედა და ქვედა პალატას. სახელდობრ: საერთო ფრაზაში თავისუფლებას, შენიშვნაში — თავისუფლების გაუქმებას“.[1]

არაფერი ამის მსგავსი არ იცის საბჭოთა დემოკრატიამ. ჩვენი საარჩევნო კანონის მიხედვით—„სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლის საფუძველზე დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში, გარდა შეშლილებისა და

1. კ. მარქსი—„თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“, 1932 წ. გვ. 26.

იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით". (იხ. მუხლი 2). დებულების მიხედვით სსრ კავშირის დეპუტატად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლება არჩეულ იქნას საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 23 წელი. მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, დეპუტატად ასარჩევთა ეს ცენზი ყოველ უფრო მცირეა და შეადგენს 21 წელს.

ძნელად მოიძებნება ისეთი ბურჟუაზიული ქვეყანა, რომლის კონსტიტუციაც **თანასწორ** საარჩევნო უფლებაზე არ ლაპარაკობდეს. მაგრამ როგორ ხორციელდება მოქალაქეთათვის ფორმალურად მინიჭებული ეს დემოკრატიული უფლება? ბურჟუაზია არც ამ შემთხვევაში ღალატობს თავის ინტერესებს და ამ უაღრესად დემოკრატიულ დაპირებას ლიტონ სიტყვად აქცევს. არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ ტარდება თანასწორი არჩევნები. იგივე შეზღუდვანი — ქონებრივი, ეროვნული, ბინადრობის, განათლების ცენზები ამეხრუჭებენ და არარად აქცევენ თანასწორ არჩევნებს. იმ დროს, როცა კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელნი მოკლებულნი არიან ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებებს, მჭონებელი კლასის წევრები სარგებლობენ ორი და მეტი ხმით. მაგალითად, ინგლისში ერთი და იგივე პირი არჩევნებში მონაწილეობს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და აგრეთვე იმ ოლქში, სადაც მას საკუთრება ან წარმოება აქვს. ხოლო თუ მისი საკუთრება განლაგებულია სხვადასხვა ოლქში, შესაბამისად დიდდება მინიჭებული ხმის უფლებაც. ინგლისში საარჩევნო კანონი დამატებით მეორე ხმას აძლევს იმ პირებს, რომელთაც საუნივერსიტეტო განათლება აქვთ. საამისოდ იქ იქმნება სპეციალური საუნივერსიტეტო ოლქები. თვით ინგლისის ახლანდელი პრემიერ-მინისტრის მოადგილე ჰ. მორისონი 1943 წელს თავის სიტყვაში ამბობდა, რომ ქონებრივი მდგომარეობის გამო ინგლისის 350 ათას კაცს ორ-ორი ხმა აქვთო.

ამგვარად, არჩევნების ასეთი „თანასწორი" უფლების შედეგად, საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ვინც ქმნის ქვეყნის მატერიალურ დოვლათს, — მოკლებულია ხმის უფლებას, ხოლო მეორე, მცირერიცხოვანი ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც სხვის შრომასისაკუთრებს, ათასნაირი მახინაციებით არჩევნებში იღებს გადამწყვეტ უმრავლესობას.

თანასწორი საარჩევნო უფლების დარღვევა ბურჟუაზიულ ქვეყნებში განსაკუთრებით რელიეფურად მოსჩანს საარჩევნო ოლქების შექმნის პრინციპში. ბურჟუაზიული საარჩევნო კანონები შეგნებულად, წინასწარი მოფიქრებით ჰქმნიან არათანასწორ ოლქებს, რათა არჩევნებში უზრუნველჰყონ კაპიტალისტების გამარჯვება. ინგლისში საარჩევნო ოლქების მცხოვრებთა რიცხვი მერყეობს — 30.000-დან — 150.000 მცხოვრებამდე. ამასთან ბურჟუაზია სახელმწიფოს იმ პრინციპით ჰყოფს ოლქებად, რომ ყოველ ოლქში თვითონ მიაღწიოს გადამწყვეტ უმრავლესობას. საამისოდ იგი არაფერს არ იშურებს — მოტყუებას, სიყალბეს, შანტაჟს, მოსყიდვას. ლონდონის ცნობილი სიტის საარჩევნო ოლქში 1939 წლის ცნობით სულ 11 ათასი მცხოვრები ითვლება, ხოლო ამომრჩეველთა რიცხვი კი 43.802 კაცს აღწევდა. აქ საქმე იმაშია, რომ ამ რიცხვიდან 37 ათასზე მეტი ამომრჩეველი არ ცხოვრობს სიტიში და ისინი არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ ამ ოლქში არსებული მათი ქონების გამო. მეორე მსოფლიო ომამდე სა-

ფრანგეთშიც საარჩევნო ოლქები იმგვარად იქმნებოდა, რომ მცირედ დასახლებული ოლქები, სადაც ბურჟუაზია მოსახლეობდა, ღებულობდა უფრო მეტ ადგილს პარლამენტში, ვიდრე მუშებით დასახლებული მრავალრიცხოვანი ოლქები. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიის წარმომადგენლებით დასახლებულ მე-6 საარჩევნო ოლქის პირველი უბანი, რომელიც დაახლოებით 8 ათას ამომრჩეველს ითვლიდა, ერთ დეპუტატს გზავნიდა პარლამენტში და კორბეის პროლეტარული ოლქი, რომელიც ექვსჯერ მეტ ამომრჩეველს ითვლიდა, აგრეთვე ერთ დეპუტატს გზავნიდა პარლამენტში.

ინგლისის საარჩევნო სისტემის მიხედვით დეპუტატად არჩეულად ითვლება ის პირი, რომელმაც მიიღო არა ხმების **აბსოლუტური** უმრავლესობა — 50 პროცენტზე მეტი, არამედ ის, რომელმაც **შედარებით** მეტი ხმები მიიღო — თუნდაც მიცემული ხმები 50 პროცენტს არ აღწევდეს. საარჩევნო კანონი კრძალავს ხელახლა კენჭისყრას. არჩევნების ასეთი მექანიკის გამო დაზარალებული ყოველთვის მშრომელები რჩებიან, ვინაიდან ხშირად მუშათა პარტია არჩევნებში ხმების უფრო მეტ რაოდენობას იღებს ვიდრე სხვა პარტია და მიუხედავად ამისა დეპუტატთა უფრო ნაკლებ რაოდენობას ირჩევს, ვიდრე ბურჟუაზიული პარტიები.

არათანასწორი არჩევნების მრავალ მაგალითს იძლევიან აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, ბელგიის, შვეიცის, ჰოლანდიის და სამხრეთ ამერიკის რიგი სახელმწიფოების საარჩევნო სისტემები. ზოგიერთ ქვეყანაში არჩევნები კარიკატურულ და ხალხისადმი აშკარა დაცინვის ფორმას იღებენ. ასე, მაგალითად, სამხრეთ როდეზიაში 996 ათასი მცხოვრებიდან (რომელთა შორის მხოლოდ 42 ათასია ევროპელი) საარჩევნო უფლებით სარგებლობს სულ 22 ათასი კაცი, რომელთაგან ზანგი მხოლოდ 70 კაცია, ეს მაშინ, როცა იქ 900 ათასზე მეტი ზანგი ცხოვრობს. ხალხის ამაზე მეტი აბუჩად აგდება წარმოუდგენელია!

სავსებით სწორად შენიშნავდა ცნობილი ფრანგი იურისტი ლეონ დიუგი, რომ მთელი XIX და XX საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში დეპუტატები საფრანგეთში წარმოადგენდნენ ამომრჩეველთა არა უმრავლესობას, არამედ უმცირესობასაც. ეს სიტყვები მით უფრო მეტად ეხება სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებს, სადაც უფრო მეტად ილახება ხალხის დემოკრატიული უფლებები.

არანაკლებად ილახებოდა ხალხის ინტერესები მეფის რუსეთში. მაგალითად 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კანონით გლეხებს, რომლებიც რუსეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ჰყავდათ ამომრჩეველთა მხოლოდ 22,4 პროცენტი, მუშებს — 2,15 პროცენტი, ხოლო მემამულეებს კი, რომელნიც მთელი მოსახლეობის მხოლოდ $^1/_{500}$ ნაწილს შეადგენდნენ, ჰყავდათ ამომრჩეველთა 51,3 პროცენტი.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა აკანონებს თანასწორ საარჩევნო უფლებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მე-4 მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის კონსტიტუციის 136 მუხლის საფუძველზე დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: თვითეულ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს; ყველა მოქალაქე თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში“.

მრავალ ბურჟუაზიულ ქვეყანაში კვლავ არსებობს **არაპირდაპირი**, მრავალსაფეხურიანი არჩევნები. ეს განსაკუთრებით შეეხება ზედა პალატებს. ინგლისში ზედა პალატა, ან როგორც მას უფრო ზუსტად უწოდებენ — ლორდთა პალატა, არ ირჩევა. იგი შესდგება წარჩინებული და დიდგვარიანი პირებისაგან, რომლებზეც მემკვიდრეობით გადადის პერის წოდება. ამ პალატის ახალი წევრები ინიშნებიან მეფის მიერ. სხვა ქვეყნებში, როგორც მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, სამხრეთ ამერიკის მრავალ ქვეყანაში ზედა პალატის წევრები ირჩევიან არაპირდაპირი კენჭისყრის გზით. მოსახლეობა მათ უშუალოდ კი არ ირჩევს, არამედ მათს ასარჩევად ირჩევს ამომრჩეველებს, რომლებიც თავის მხრივ ირჩევენ ზედა პალატის წევრებს. არჩევნების ასეთი სისტემის გამო ხალხმა ფაქტიურად არ იცის, ვის ირჩევენ, ვინ იქნება მისი წარმომადგენელი ამ უაღრესად მნიშვნელოვან ორგანოში. ამ გზით იჩქმალება ფართო საზოგადოებრივობის ინტერესები, მათი შეხედულებანი ამა თუ იმ ასარჩევ პირზე. ამ მხრივ კვლავ და კვლავ მშრომელი ხალხი გამოდის დაზარალებული.

ჩვენმა ქვეყანამ არაფერი ამის მსგავსი არ იცის. ჩვენში არჩევნები **პირდაპირია**. საბჭოთა მოქალაქე თავის დეპუტატს უმაღლეს საბჭოში ირჩევს პირდაპირ, უშუალოდ.

ჩვენი ორპალატიანი სისტემაც ძირიანად განსხვავდება ბურჟუაზიის ორპალატიან სისტემისაგან. კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო თანასწორუფლებიანი და თანასწორი ინიციატივის მქონენი არიან. კანონი მხოლოდ მაშინ ითვლება დამტკიცებულად, როცა იგი ორივე პალატისაგან არის მოწონებული. ორივე პალატის არჩევნები სწარმოებს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

სულ სხვა მდგომარეობაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში: თვალში გვეცემა პალატების არათანასწორუფლებიანობა. ზედა პალატა ყოველთვის რეაქციულ როლს ასრულებს, მისი დანიშნულებაა შეაფერხოს და დააყოვნოს ქვედა პალატის ყოველგვარი რეფორმისაკენ მიმართული ინიციატივა. კანონპროექტი, ან რაიმე ღონისძიება, რომელსაც მიიღებს ქვედა პალატა, ზედა პალატის მოწონების გარეშე არ შედის ძალაში. ყოველივე ამას ზედ ერთვის ზოგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებული მეფეები, (მაგალითად, ინგლისში), რომელთაც აქვთ ვეტოს უფლება. ყველაფერი ეს ფეხქვეშ სთელავს მშრომელთა უფლებებს.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ბევრ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ არის უზრუნველყოფილი არჩევნების საიდუმლოება, რის გამოც ამომრჩეველები ტერორისა და ზეგავლენის მრავალი საშუალებების შედეგად იძულებული არიან იმოქმედონ თავიანთი ნების წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა უკანასკნელ „არჩევნებში“ საბერძნეთში, რაც ინგლისელთა საოკუპაციო ჯარების პირდაპირი მეთვალყურეობით და აშკარა ჩარევით ჩატარდა. იმაზე, თუ რას წარმოადგენს ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნის ფარული კენჭისყრა, მიგვითითებს ის უამრავი ფაქტებიც, როცა ბურჟუაზიის წარმომადგენლები აშკარად ყიდულობენ ხმებს. ამის საუკეთესო მაგა-

ლითს წარმოადგენს თუნდაც ის განცხადებები, რომლებიც იაპონიის ომის-დროინდელი არჩევნების დროს გამოჩნდა პრესაში: „ვეძებ 100 ხმას 50 იენათ!"

ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმალურ-დეკლარაციული ხასიათი, რომელიც ყოველი საშუალებებით და ხერხებით მიმართულია იქითკენ, რათა ხალხთა ფართო მასები ჩამოაშორონ პოლიტიკურ ცხოვრებას, ყოველი საშუალებებით შეუშალონ ხელი მათი წარმომადგენლების არჩევას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. თანამედროვე ბურჟუაზიულ დემოკრატიათა მიმართ კვლავ ძალაში რჩება კ. მარქსის სიტყვები, წარმოთქმული ლუი ბონაპარტეს ე. წ. „დემოკრატიზმის" დასახასიათებლად: „საყოველთაო კენჭისყრა დღემდე ყოველი სამი ან ექვსი წლის განმავლობაში იმ საკითხის გადაწყვეტას ემსახურებოდა, თუ გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა უნდა წარმოადგინოს და დათრგუნოს პარლამენტში ხალხი".[1]

ბურჟუაზიული დემოკრატია და პარლამენტარიზმი ისეა მოწყობილი, რომ მშრომელი მასები ყველაზე უფრო დაცილებულები არიან მთავრობის აპარატს. არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არასოდეს ხელი არ აუღია „საერთოდ" ხალხის წარმომადგენლობითს პრეტენზიაზე, მაგრამ დღემდე არც ერთი მათგანი საქმით არასოდეს ხალხის მხარეზე არა მდგარა. „დიქტატურას საერთოდ", „დემოკრატიას საერთოდ" ვ. ი. ლენინი ყოველთვის უდიდესი გულისწყრომით იხსენიებდა და მას სოციალიზმის ძირითადი პრინციპებისადმი დაცინვას უწოდებდა. ჩვენი საბჭოთა კონსტიტუცია ყოველგვარი ფორმალობისა და შენიშვნების გარეშე აშკარად აცხადებს მოქალაქეთა დემოკრატიულ, მათს გარანტირებულ უფლებებს. ჩვენი დემოკრატიის „თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია მსგავსი შენიშვნებისა და შეზღუდვებისაგან. მისთვის არ არსებობენ აქტიური ან პასიური მოქალაქენი, მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არა სცნობს განსხვავებას მამაკაცთა და დედაკაცთა, „ბინადართა" და „არაბინადართა", მჭონებელთა და უქონელთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა უფლებებში. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში"[2]

ბურჟუაზია მრავალი საშუალებებით ნიღბავს თავისი ხელისუფლების კლასობრივ შინაარსს, ქმნის მრავალ ფიქციასა და თეორიას, რათა გაიხანგრძლივოს არსებობის დღენი. ბურჟუაზიული იურისტები მაგალითად, აყენებენ ე. წ. „ხალხის სუვერენიტეტის" ფიქციას და მუხლმოდრეკით ფიცულობენ —დაგვიჯერეთ—უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება მხოლოდ ხალხს ეკუთვნისო. ეს მაშინ, როცა სინამდვილეში სახელმწიფო ხელისუფლება ერთ მუჭა კაპიტალისტთა ხელშია და მშრომელნი მოკლებულნი არიან სახელმწიფო ხელისუფლებაში გადამწყვეტ მონაწილეობის საშუალებას.

1. მარქსი—„სამოქალაქო ომი საფრანგეთში," გვ. 74.
2 ი. ბ. სტალინი—„სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ". გვ. 18.

ბურჟუაზიული იურისტები ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ბურჟუაზიულ ქვეყნებში კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ამ ვაჟბატონებს არ სურთ აღიარონ, რომ არ შეიძლება თანასწორობა არსებობდეს მეპატრონესა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთ აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური გავლენა საზოგადოებაზე, ხოლო მეორეებს—არც ერთი და არც მეორე. ეს ვაჟბატონები გვარწმუნებენ—კანონის წინაშე ყველა თანასწორიაო და ამავე დროს კი არ სურთ აღიარონ, რომ ყველა კანონი ფაქტიურად ბურჟუაზიის მიერ არის გამოცემული და ამ კანონებით აღიარებული უფლებების გამოყენებაც მხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია.

ბურჟუაზიული იურისტები იმასაც კი ამტკიცებენ, თითქოს სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ და რომ არავის შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით სახელმწიფოს რწმუნების გარეშე. სინამდვილეში, სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულობის ეს ფიქციაც მიზნად ისახავს შეალამაზოს ის თვითნებობა, რასაც სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენების დროს სჩადიან არა მხოლოდ მოხელეები, არამედ ფაბრიკანტებიც და მეჭარხნეებიც, რომლებიც ქმნიან საკუთარ შეიარაღებულ დაცვას და თვით დაზვერვასაც კი. ცხადია, თუ რა ფასი უნდა ჰქონდეს ბურჟუაზიულ იურისტთა ზემოაღნიშნულ მტკიცებებს. დიდხანია მუშათა კლასმა ისწავლა იმის გარჩევა, თუ რას წარმოადგენენ ბურჟუაზიის დაპირებები. რა მიზანს ისახავენ მათი კონსტიტუციები. მათ ნათლად იციან, რომ „არ არსებობს თუნდაც უაღრესად დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც არ იყოს ისეთი გასაძრომი ან შენიშვნები კონსტიტუციაში, რომელნიც ბურჟუაზიისათვის უზრუნველჰყოფენ შესაძლებლობას — დასძრას ჯარები მუშების წინააღმდეგ, შემოიღოს სამხედრო წესები და სხვ. „წესრიგის" დარღვევის შემთხვევაში". — სინამდვილეში კი, ექსპლოატირებული კლასის მიერ თავისი მონური მდგომარეობის „დარღვევის" და არა მონურად მოქცევის ცდის შემთხვევაში".[1]

ასეთია ბურჟუაზიული დემოკრატია, კაპიტალისა და ფულის ტომრის დემოკრატია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ხალხებმა წითელი არმიის დახმარებითა და საკუთარი ძალებით ჰიტლერული უღლის მოშორების შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადასდგეს თავიანთი ქვეყნების დემოკრატიზაციის გზაზე. ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა იუგოსლავია, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ზოგიერთი სხვა ქვეყნები, უკუაგდეს დემოკრატიის ძველი, პარლამენტური ფორმები, რომლებიც ვერ უზრუნველჰყოფენ მშრომელთა ფართო მასების გადამწყვეტ მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლებაში და შეჰქმნეს ახალი, სახელმწიფოს მართვის უფრო დემოკრატიული ფორმები. ყოველივე ეს მათ გზას უხსნის და სტიმულს აძლევს ახალ უფრო მაღალ საზოგადოებრივ წყობილებაზე გადასასვლელად.

საბჭოთა დემოკრატია პრინციპულად განსხვავდება ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან. ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონი, — სტალინური კონსტიტუცია უბრალოდ რომ სჯერდება ბურჟუაზიული კონსტიტუციების

1. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. XXIII, გვ. 347.

მსგავსად მოქალაქეთა ფორმალური უფლებების ფიქსირებას თანასწორობაზე, თავისუფლებაზე, სიტყვის, კრებების, ბეჭდვითი სიტყვის უფლებაზე, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას სათანადო მატერიალური საშუალებებით. მისთვის მთავარია არა ფორმალური უფლებები, არამედ ფაქტიური გარანტიები, ამ უფლებათა ფაქტიური განხორციელება. აი რატომ არის, რომ ჩვენი „დემოკრატიზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა“ და „საყოველთაოდ აღიარებულ“ დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ **სოციალისტურ** დემოკრატიზმს“.[1]

საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი ძირითადი თავისებურება ის არის, რომ იგი უზრუნველჰყოფს სახელმწიფო აპარატის მჭიდრო კავშირს მშრომელთა ფართო მასებთან, უზრუნველჰყოფს მშრომელთა სულ უფრო და უფრო მზარდ აქტივობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მუშების, გლეხების და ინტელიგენციის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციებია. რომელთა მეშვეობით მასები **უშუალოდ**, აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში. საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების ეს ხალხურობა თავის ბრწყინვალე გამოხატულებას პოულობს ჩვენს საარჩევნო სისტემაში.

სოციალისტური დემოკრატიზმი მარტო საყოველთაო საარჩევნო უფლებებით როდი ამოიწურება. იგი ამასთან ერთად არის საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობის სისტემა, ეს არის სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ორგანოებისა და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობის, თვით მოქალაქეებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთობის სისტემა. ყველა ეს ორგანო და საზოგადოება, რომლებშიც გაერთიანებული ხართ მოქალაქენი და რომელთა მეშვეობით ისინი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობენ, უკლებლივ არჩევითია. როგორც უმაღლესი საბჭოს, ისე ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩვენში ყოველთვის საყოველთაო-სახალხო აქტივობის ვითარებაში ტარდება. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან საბჭოთა ხალხი ირჩევს თავის საუკეთესო შვილებს, მუშებს, გლეხებს, მშრომელ ინტელიგენციას; იმათ, ვინც თავი გამოიჩინა ხალხის ინტერესების დაცვით-შრომაში და ბრძოლაში და ფართო მასების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა; იმათ, ვისაც ხალხი სამართლიანად ანდობს თავის წარმომადგენლობას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესსა და ადგილობრივ ორგანოებში.

მაგრამ ამომრჩეველსა და დეპუტატებს შორის დამოკიდებულება ჩვენში არჩევნებით როდი მთავრდება. პირიქით, მათ შორის კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო მტკიცდება არჩევნების შემდეგ, როცა დეპუტატებმა პრაქტიკულად უნდა გაატარონ ცხოვრებაში თავისი ამომრჩეველების განაწესი. საბჭოთა დეპუტატი ხალხის მსახურია და იგი მოვალეა გაჰყვეს იმ ხაზს, რაც მას ხალხმა დაუსახა, დაიცვას ხალხის ინტერესები, არ ეშინოდეს სიძნელეებისა, გაბედულად ებრძოლოს ისინი ხალხის კეთილდღეობისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში.

სულ სხვა მდგომარეობაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. იქ ხალხისა და დეპუტატის ურთიერთობა არჩევნებით მთავრდება. არჩევნებამდე მათ შო-

1. ი. სტალინი—„სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“. გვ. 19.

რის უცნაური, თავისებური ურთიერთობაა. „სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაპარაკებიან ამომრჩევლებს, ელაქუცებიან მათ, ეფიცებიან ერთგულებას, აძლევენ ათასგვარ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები საკუთარ თავზე დამოკიდებული არიან ამომრჩევლებზე. როგორც კი არჩევნები მოხდა და კანდიდატები დეპუტატებად გადაიქცნენ, ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩევლებზე დეპუტატების დამოკიდებულების ნაცვლად გამოდის მათი სრული დამოუკიდებლობა. 4 თუ 5 წლის მანძილზე ე. ი. ახალ არჩევნებამდე, დეპუტატი ისე გრძნობს თავს, რომ იგი არის სრულიად თავისუფალი ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია გადავიდეს ერთი პარტიიდან მეორეში, მას შეუძლია გადაუხვიოს სწორი გზიდან არასწორზე, მას შეუძლია გაებას ზოგიერთი არა მთლად საკადრისი ხასიათის მახინაციებშიც კი, მას შეუძლია ყირაზე გადავიდეს, როგორც მას ნებავს,—იგი დამოუკიდებელია“.[1]

და ხალხი, ამომრჩევლები, იძულებულნი არიან 4-5 წლის განმავლობაში ითმინონ თავიანთი დეპუტატის ეს უცნაური ქცევა, მისი არანორმალური დამოკიდებულება თავის ამომრჩევლებისადმი, მისი მელაკუდობა, ერთი პარტიიდან მეორე პარტიაში გადასვლა, ხალხის ინტერესებისადმი ღალატი. ყველა ბურჟუაზიული კონსტიტუცია მდუმარედ გამოდის ამ ფაქტიდან და მას სრულიად ნორმალურად თვლის. სტალინურმა კონსტიტუციამ ეს გარემოებაც გაითვალისწინა და სპეციალური მუხლით ამომრჩევლებს უფლება მიანიჭა ვადამდე გამოიწვიონ თავიანთი დეპუტატები, თუ ისინი უხვევენ სწორ გზიდან, ღალატობენ ხალხის ინტერესებს და ავიწყდებათ, რომ ისინი ხალხისაგან, ამომრჩევლებისაგან არიან დამოკიდებულნი. ამ კანონით ამომრჩევლებს უფლება ენიჭებათ მოითხოვონ არჩევნების ხელახლა დანიშვნა. ჩვენი კონსტიტუციის ეს უაღრესად დემოკრატიული მოთხოვნა უცნობია ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული კონსტიტუციებისათვის. ამომრჩეველთათვის დეპუტატთა ვადამდე გამოწვევის უფლება საბჭოთა დემოკრატიის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარია. ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს იმას, რომ „ის, რასაც საბჭოთა კონსტიტუცია იძლევა, არც ერთ სახელმწიფოს 200 წლის განმავლობაში არ შეეძლო მიეცა“.[2]

ამხანაგმა სტალინმა დაგვიხატა საბჭოთა დეპუტატის წარმტაცი სახე. საბჭოთა ხალხმა იცის, თუ რა უდიდესი საქმეებისათვის არის მოწოდებული უმაღლესი საბჭო. ამიტომ იგი უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატებს უყენებს ამხანაგ სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს: რომ ისინი იყვნენ ლენინის ტიპის სახელმწიფო მოღვაწენი, რომ ისინი ნამდვილად დარჩნენ თავიანთ ამოცანების სიმაღლეზე, იყვნენ ბრძოლაში უშიშარნი და ხალხის მტრებისადმი შეუბრალებელნი, იყვნენ თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როცა საქმე გართულებას იწყებს, ე. ი. განასახიერებდნენ ლენინურ-სტალინურ სტილს თავიანთ მოღვაწეობაში.

---

1. ი. ბ. სტალინი—სიტყვა კ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს. 1945 წ. გვ. 6.
2. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. XXV, გვ. 144.

საბჭოთა ხალხი სისტემატურად ახდენს გავლენას თავის დეპუტატებზე, ჩააგონებს მათ იმას, რომ „მუდამ თვალწინ ედგეთ დიდი ლენინის დიადი სახე და ყველაფერში ჰბაძავდნენ ლენინს“ (სტალინი). აი რატომ არის, რომ საბჭოთა ამომრჩეველების ფუნქციები არჩევნებით არ თავდება, როგორც ამას ადგილი აქვს ბურჟუაზიულ ქვეყნებში, და რომ ეს ფუნქციები გრძელდება უმაღლესი საბჭოს რწმუნებათა გასვლამდე.

ხალხისა და მისი დეპუტატების ურთიერთ მჭიდრო კავშირი ყოველთვის იყო და კვლავ რჩება საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთ უძლიერეს უპირატესობათ ბურჟუაზიულ დემოკრატიებთან შედარებით. საბჭოთა ხელისუფლების ეს სიახლოვე ხალხისადმი,—მისი სიძლიერის წყაროა. ეს ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ „მსოფლიოში ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაძოვა, ვერ გაბედავს შეეჯიბროს ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილი თავისუფლების, თანასწორობის დემოკრატიის საკითხში“;[1] და რომ „დემოკრატია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ, საბოლოო ანგარიშით არის დემოკრატია ძლიერთათვის, დემოკრატია მჭონებელი უმცირესობისათვის. დემოკრატია სსრ კავშირში, პირიქით, არის დემოკრატია მშრომელთათვის ე. ი. დემოკრატია ყველასათვის. აქედან გამომდინარეობს ის, რომ დემოკრატიზმის საფუძვლებს არღუევს არა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, არამედ—ბურჟუაზიული კონსტიტუციები“.[2]

— აი რა განასხვავებს საბჭოთა დემოკრატიას ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან. აი რაში მდგომარეობს მისი თანმიმდევრობა და უპირატესობანი ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით.

* * *

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვა. ომი იყო შემოწმება ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ჩვენი საბჭოთა არმიისა და მთელი შეიარაღებული ძალებისა. ომში წყდებოდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბედი. საბჭოთა ხალხმა ღირსეულად დაიცვა და გამოცდა. გაიმარჯვა ჩვენმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, ჩვენმა გმირულმა არმიამ—მთელმა საბჭოთა ხალხმა. საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში მთლიანად გამოვლინდა ჩვენი დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა და ძლიერება, — დემოკრატიისა, რომელიც სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის ადუღაბებდა მილიონობით ადამიანებს. ჩვენი დემოკრატიის დამრაზმველმა ძალამ და საბჭოთა პატრიოტიზმის ალმაფრთოვანებელმა იდეამ ხალხთა გრანდიოზული ძალები დასძრა ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელსაც უუფლებობა და მონობა მოჰქონდა ხალხისათვის. უმაგალითო ომი ისტორიაში, დემოკრატიისა და პროგრესის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, რადგანაც

1. ვ. ი. ლენინი. თხზულებათა ტომი XXIV. გვ. 405.
2. ი. ბ. სტალინი—„სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესა

ჩვენი ხალხის და სახელმწიფოს ამოუწურავ ძალებს ბრძნულად წარმართავდა უდიდესი ბელადი და მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი.

რა გენიალურად სჭვრეტდა წინასწარ საბჭოთა ადამიანების დეგბმირულ შესაძლებლობებს დიდი ლენინი, როცა წერდა:—

„ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომელშიც მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა რომ ისინი იცავენ თავის, საბჭოთა ხელისუფლებას—მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველჰყოფს იმის შესაძლებლობას, რომ ისარგებლონ კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით!“

საბჭოთა ხალხმა დემოკრატიისათვის ისტორიულ ბრძოლაში დაამტკიცა თავისი ძალა და უძლეველობა. ახლა მსოფლიოში ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია საბჭოთა დემოკრატიის ცხოველმყოფელობა და უდავო უპირატესობანი ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე, მათთვის ცხადია, რომ „სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველნი არიან“! (სტალინი).

ს. ჯელიძე

განუხრელად გავაფართოთ ცხოვრებაში სასოფლო-სამეურნეო არჩევის სტალინური წესდება

ამხანაგი ლ. პ. ბერია თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მე-5 პლენუმზე მოითხოვდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას. „ის უდიდესი ამოცანები, — ამბობდა ამხანაგი ბერია, — რომლებიც დასახულია საქართველოს ბოლშევიკების წინაშე კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო და ბოლშევიკური განმტკიცების საქმეში, საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, მოითხოვენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გარდაქმნას და გაუმჯობესებას პარტიული, საბჭოთა და განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოების მხრივ.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სოფელში საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა, მას შემდეგ, რაც საქართველოს სოფელში საკოლმეურნეო ფორმა მეურნეობის გაბატონებულ ფორმად გახდა, სოფლის მეურნეობის განვითარების ყველა საკითხის წარმატებით გადაჭრა დამოკიდებული იქნება კოლმეურნეობების მიმართ ჩვენი ხელმძღვანელობის ხარისხზე, კოლმეურნეობათა მუშაობაზე“.

ამ სიტყვებს ჩვენი კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცების საქმეში დღესაც ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც მაშინ.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელებისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კ-ის მე-5 პლენუმის მიერ სახელმძღვანელოდ მიღებულ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენებაში დასახულ ამოცანათა შესრულების მიზნით, დიდი მუშაობა ჩაატარეს და კოლმეურნეობათა შემდგომი ზრდისა და განვითარების საქმეში სერიოზული მიღწევებიც მოიპოვეს.

საქართველოს კოლმეურნეობებმა თავისი ორგანიზაციული, სამეურნეო და პოლიტიკური სიმაგრე ნათლად დაამტკიცეს სამამულო ომის მძიმე წლებში. ის, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობამ სამამულო ომის პერიოდში მოგვცა, შესაძლებელი იყო მხოლოდ კოლექტივიზაციის და ჯანსაღი კოლმეურნეობების არსებობის პირობებში.

ომის წლებში სათესი ფართობი 80-100 ათასი ჰექტარით გაიზარდა; გაიზარდა საშუალო მოსავლიანობაც და კოლმეურნეთა შრომადღის ანაზღაურება. ამასთან ერთად შენარჩუნებულ იქნა ძვირფასი ტექნიკური კულტურების—ჩაის და ციტრუსების — პლანტაციები და ბაღ-ვენახები.

კოლმეურნეობათა საგრძნობმა ნაწილმა მოსავლის გადიდების მეოხებით სახელმწიფო გეგმების შესრულებასთან ერთად ორჯერ და უფრო მეტად გაადიდა კოლმეურნეთა შრომადღის ხვედრი.

საქართველოს კოლმეურნეობებმა როგორც ომის ყველა წლებში, ისე ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგაც უზრუნველჰყვეს სახელმწიფოს

წინაშე ყველა ვალდებულების შესრულება. მათ სახელმწიფოს ჩააბარეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის— მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების ნაყოფის, ღვინო-ყურძნის, ხილის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის და სხვა დაწესებული რაოდენობა. ზოგ მათგანში გეგმა გადაჭარბებით სრულდებოდა.

ყოველწლიურად ტარდება დიდი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად განხორციელებისათვის, კოლმეურნეობათა განვითარების საფუძვლის — საკოლმეურნეო მიწების—დატაცებისა და პროდუქტების განიავების წინააღმდეგ. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერებულ იქნა მას შემდეგ, რაც 1944 წელს გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. ჩარკვიანის წერილი და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება „საკოლმეურნეო დოვლათის განიავების და იუყაირათო ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და „საკოლმეურნეო ქონების დაცვის მდგომარეობის შესახებ“, რომელიც განხილული იქნა კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე 1946 წლის 10 სექტემბერს ამხ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში „კოლმეურნეობებზე ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ მოგვცა კოლმეურნეობათა მუშაობაში არსებულ ნაკლთა სათანადო ანალიზი, გააშუქა ამ ნაკლთა გამომწვევი მიზეზები და დასახა ამოცანები კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მიმდინარე წლის 19 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანეს უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“. ამ დადგენილებისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის დადგენილების განხორციელებისათვის ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და კოლმეურნეობებში უკვე ჩატარებულია სერიოზული მუშაობა.

კოლმეურნეობებზე სტალინურმა მზრუნველობამ და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა წინააღმდეგ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა გამოიწვია კოლმეურნეთა ფართო მასების აქტივობის გაშლა. კოლმეურნეებმა ყველგან ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 19 სექტემბრის დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისაკენ.

აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნებისთანავე რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში გაიშალა ფართო განმარტებითი მუშაობა. საქართველოს ყველა რაიონში მოეწყო რაიონული აქტივის კრებები, პირველადი პარტორგანიზაციების და კოლმეურნეთა საერთო კრებები, სადაც განხილულ იქნა საკავშირო მინისტრთა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს დადგენილება.

დაუყოვნებლივ დაიწყო კოლმეურნეობის მუშაობაში არსებულ ნაკლთა გამოძიებავნება, უკანონო ხარჯების, ქონების გაფლანგვა-განიავების, საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მიწების დატაცების და საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის შემთხვევების ულმობელი მხილება.

აღსანიშნავია ის აქტივობა, რომელსაც იჩენდნენ კოლმეურნეები. ისინი ყველგან კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოდიოდნენ დარღვევების

მხილებით, აკრიტიკებდნენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოების—გამგეობის, სარევიზიო კომისიის და სხვა მუშაობას.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა გამოსწორების საქმეში დასახმარებლად სასოფლო საბჭოებში შეიქმნა კომისიები რაიკომის ან რაიალმასკომის წარმომადგენლის, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის და სათანადო კოლმეურნეობის თავმჯდომარის შემადგენლობით. ეს კომისიები მუშაობას შეუდგნენ პირველი ოქტომბრიდან. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა კოლმეურნეთა საერთო კრებებზე და შემდეგ დაბეჭდილი რაიალმასკომის მიერ.

ჩატარებული მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილში ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო ქონების დატაცების, ნატურალური და ფულადი შემოსავლის განიავების, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის გაბერვის, მათ შენახვაზე შრომადღეების უკანონო ხარჯვისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტებს. ამასთანავე ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო დოკუმენტაციის არევ-დარევის, გაფუჭების და დაკარგვის შემთხვევებსაც.

ბევრ კოლმეურნეობაში მიწათსარგებლობის დოკუმენტაციის შენახვის საქმეს არ ექცევა სათანადო ყურადღება. აღმოჩნდა, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში ზოგიერთი დოკუმენტები სრულიად დაკარგულია და კომისიებმა მათი მონახვა ვერ შესძლეს.

წალკის რაიონის ორ კოლმეურნეობაში არ აღმოჩნდა მიწათსარგებლობის ზონარგაყრილი წიგნი და არც 1939 წელში მიწის აზომვის აქტი. ეს დოკუმენტები არც მიწგანში აღმოჩნდა, როგორც სჩანს, ისინი განადგურებულია ბოროტი განზრახვით.

ყაზბეგის რაიონის 26 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 4 კოლმეურნეობას აქვს მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტი. დანარჩენი კოლმეურნეობები სარგებლობენ რაიალმასკომის დადგენილებით გაპიროვნებული ნაკვეთებით.

გაყოფილ კოლმეურნეობათა უმრავლესობაში არ აღმოჩნდა მიწათსარგებლობის ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა 1939 წელში მიწის აზომვის აქტის ასლი, საკოლმეურნეო ზონარგაყრილი წიგნი და მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტი. ცხადია, ეს გარემოება შეუძლებელს ხდიდა აღნიშნულ კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობისადმი კონტროლის დაწესებას, რასაც შედეგად მოჰყვა მიწების მითვისება და დატაცება.

რესპუბლიკაში სულ გამოვლინებულ იქნა კოლმეურნეობის წევრების და სხვა პირების მიერ მითვისებული 13.000 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ—880 ჰექტარი. გარდა ამისა გაცემული იყო წარმოება-დაწესებულებებზე და მუშა-მოსამსახურეებზე დამხმარე მეურნეობებისათვის 26.500 ჰექტარი მიწა.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში 1946 წელში წარმოება-დაწესებულებებზე და მუშა-მოსამსახურეებზე კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობისათვის გაცემული აღმოჩნდა 1.446 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა, რაც კოლმეურნეობათა სათესი მიწების 16,7% შეადგენს; მუშა-

მოსამსახურეებზე მიცემული ნაკვეთები ძირითადად დამუშავებულ იქნა კოლმეურნეობის გამწევი ძალით.

ამავე რაიონის ქვემო შუხუთის საბჭოთა გმირების სახელობის კოლმეურნეობაში ინდივიდუალური მებოსტნეობისათვის გაცემული 26 ჰექტარი მიწა მთლიანად დამუშავებულ იქნა კოლმეურნეობის გამწევი ძალით და კოლმეურნეთა შრომით.

დუშეთის რაიონის ცენტრში 30 ჰექტარამდე მიწა, რომელიც მიწათსარგებლობის სახელმწიფო აქტის მიხედვით სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობას ეკუთვნის, დაწყებული 1940 წლიდან, ყოველგვარი გაფორმების გარეშე, კოლმეურნეობის საერთო კრების და რაიაღმასკომის ნებადაურთველად ეკავათ ამ რაიონის დაწესებულებებმა.

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში 3 ათას კოლმეურნეს მიერ მითვისებული აღმოჩნდა 700 ჰექტარამდე მიწა. ამას გარდა 6 ათას ჰექტარზე მეტი საკოლმეურნეო მიწა გაცემული იყო დაწესებულება-ორგანიზაციებზე და სხვა პირებზე.

მიწათსარგებლობის დარღვევის ანალოგიური ფაქტები კომისიების მიერ გამოვლინებულია სხვა რაიონებშიც. მიწების უკან დაბრუნება კოლმეურნეობებისათვის ძირითადად დამთავრებულია 1946 წ. 25 დეკემბრისათვის. კოლმეურნეობებს დაუბრუნდა 40 ათას ჰექტარზე მეტი მიწა. საჭიროა მიწის ეს ნაკვეთები ახლავე ჩაბარდეს სათანადო ბრიგადებს, რათა ისინი დამუშავებული და ათვისებული იქნან. ამ მუშაობის შესრულება უნდა დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეებს.

საკოლმეურნეო პროდუქტების და კოლმეურნეობის სხვა ქონების მითვისება-განიავების წინააღმდეგაც ადგილებზე დიდი მუშაობა სწარმოებს. კომისიებმა საკოლმეურნეო აქტივის და ანგარიშწარმოების დარგის მუშაკების დახმარებით გამოავლინეს პროდუქტების უკანონოდ გაცემის და ხარჯვის, მათი მითვისების ფაქტები. სულ აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში უკანონოდ გაცემული და განიავებული იყო 1.200 ტონაზე მეტი სხვადასხვა პროდუქტი, 12 ათას სულზე მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, 8 მილიონ 180 ათასი მანეთი ფული. გარდა ამისა სხვადასხვა პირებზე და ორგანიზაციებზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება 73 მილიონ მანეთის რაოდენობით.

ყველა რაიონში სწარმოებს უკანონოდ გაცემული პროდუქტების, გასესხებულ თანხებისა და მითვისებული პირუტყვის დაბრუნება კოლმეურნეობებისათვის, აგრეთვე სხვა სახის დებიტორულ დავალიანებათა დაფარვა.

25 დეკემბრისათვის უკვე დაუბრუნდა სათანადო კოლმეურნეობებს 665 ტონა სხვადასხვა პროდუქტი, 7.300 სულამდე პირუტყვი, 4 მილიონი მანეთი უკანონოდ გაცემული თანხა და გარდა ამისა ამოღებულია 38 მილიონი მანეთი დებიტორული დავალიანება.

ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებში კომისიების მიერ გამოვლინებულ იქნა საკოლმეურნეო ქონების განიავების შეუწყნარებელი ფაქტები.

აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის წითელი არმიელის სახელობის კოლმეურნეობაში ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 10 ათასი მანეთის ნაცვლად გამგეობის თავმჯდომარემ 84 ათასი მანეთი დახარჯა. საწარმოო ხარჯებში გატარებულია სტუმრებისათვის ღვინისა და არაყის შეძენა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვალის გასტუმრება და სხვა. ასეთი ყოველად დაუშვებელი ხარჯები 13 ათას მანეთს შეადგენს. პირადად კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედორაძეს მითვისებული აღმოაჩნდა საკმაო რაოდენობით ფული და მარცვლეული. კოლმეურნეობაში 1946 წლის დეკემბრის თვეში შედგენილ იქნა ყალბი საბუთები 12 მოზვერზე, 5 ხარზე, რაც გეგმის შესრულებაში შეიტანეს. სინამდვილეში აღნიშნული პირუტყვი კოლმეურნეობაში არ აღმოჩნდა. კოლმეურნეობის საერთო კრება 1946 წლის აპრილიდან არ ჩატარებულა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედორაძე სამართლიანად მოხსნილი და გარიცხულია პარტიის რიგებიდან.

ამავე რაიონის სოფელ ნორიოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ეტლის შეკეთებად დახარჯა 71 ათასი მანეთი, ხოლო სამიჭაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ—37.000 მანეთი და 900 კილოგრამი სიმინდი.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებიდან სხვადასხვა დროს წაღებული ჰქონდათ ულიანოვკის მტს-ის მუშაკებს 36 ათასი მანეთი, წნორის მტს-ის მუშაკებს—20 ათასი მანეთი და ალაზნის მტს-ის მუშაკებს—14 ათასი მანეთი; გარდა ამისა ულიანოვკის და წნორის მტს-ებს და სამტრესტის რაიონულ განყოფილებას უსასყიდლოთ ჰქონდათ წაღებული კოლმეურნეობებიდან ავტომანქანები. აღნიშნული თანხები და მანქანები დაუბრუნდა სათანადო კოლმეურნეობებს. შემოწმებულ კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში აღმოჩნდა, რომ ადგილი აქვს შრომადღეების ხელგაშლილ ხარჯვას, შრომადღეების დარიცხვას ისეთ სამუშაოებზე, რომელთაც არავითარი ყავშირი არა აქვს საკოლმეურნეო წარმოებასთან; ამას ემატება კიდევ შრომადღეების ხარჯვა გაბერილი აპარატის შესანახად.

აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთის ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მშენებლობის ბრიგადირად დანიშნული იყო ლაბარტყავა, რომელსაც ყოველთვიურად ერიცხებოდა 20 შრომადღე, კოლმეურნეობაში კი არავითარი მშენებლობა არ მიმდინარეობდა. კოლმეურნეობის ბრიგადირებს ერიცხებოდათ 25-25 შრომადღე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს კი დაურიცხეს 108 შრომადღე „საერთო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობისათვის".

ქარელის რაიონის სოფელ ყინწვისის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას აქვს სულ 0,80 ჰექტარი ვენახი, რომლისთვისაც მიუჩენიათ 2 ყარაული, რომელთაც 8 თვის განმავლობაში ერიცხებოდათ თვეში 30 შრომადღე საითითაოდ, ხოლო 4 თვის განმავლობაში 15 შრომადღე. ყურძნის მოსავალი არ აღემატება 10 ცენტნერს, ყარაულებს კი შრომადღეების

ასანაზღაურებლად დასჭირდათ არანაკლები 3 ტონა მარცვლეულისა და სხვა პროდუქტებისა.

ადიგენის რაიმრეწკომბინატის აგურკრამიტის ქარხნის მშენებლობაზე (სოფ. ვარხანში) მომუშავე კოლმეურნეებს 1946 წლის პირველი იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე დარიცხული ჰქონდათ 19.684 შრომადღე. ამ ქარხნის მშენებლობის მოანგარიშეს, ექსპედიტორს, მზარეულს, საწყობის გამგეს, მოფრებს და დარაჯებს სხვადასხვა კოლმეურნეობებიდან ურიცხავდნენ შრომადღეებს. მზარეულ ნიკოლოზ ქართველიშვილს სოფ. ჭიჭინეთის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობიდან 1946 წლის განმავლობაში დარიცხული აქვს 415 შრომადღე, ე. ი. თვეში 52 შრომადღე. მოანგარიშე ტატიანა ლაბაძეს სოფ. ხარჯამის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში პირველი აპრილიდან 15 ივლისამდე დარიცხული აქვს 301,7 შრომადღე, ე. ი. თვეში 90 შრომადღე; ასევე დანარჩენებსაც.

გამოვლინებულია შრომადღეების დიდი რაოდენობის უკანონო ხარჯვა და დარიცხვა სილნაღის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში. ზოგიერთ კოლმეურნეობაში შრომადღეები ერიცხებოდა ისეთ გამოგონილ თანამდებობის პირებსაც კი, როგორიცაა სატრაქტორო ბრიგადის „მომმარაგებლები“, ამავე დროს სატრაქტორო ბრიგადაში მზარეულსაც შრომადღეები ერიცხებოდა. ეგრეთწოდებულ ხარისხის „დამცველებს“ რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში ეწერებოდათ თვეში 30 შრომადღე. სოფ. ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წისქვილის მექანიკოსს არაკოლმეურნე ვინმე კობეშავიძეს ურიცხავდნენ ყოველთვიურად 45 შრომადღეს, გარდა ამისა აძლევდნენ თვეში 700 მანეთს, 50 კგ. ხორბალს (კილოგრამს 1 მანეთად), 3 ლიტრ ზეთსა და 2 კილოგრამ ყველს.

ისეთ მოწინავე კოლმეურნეობაშიც კი, რომორიცაა მახარაძის რაიონის სოფ. შრომას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელშიც 481 ოჯახია, 73 კაცს ყოველთვიურად მოჭრით ერიცხებოდა 1.672 შრომადღე. კოლმეურნეობაში 11 აგროტექნიკოსი ირიცხებოდა და თვითეულ მათგანს 30 შრომადღე ერიცხებოდა.

კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში ხელაღებით ერიცხებოდათ შრომადღეები საბჭოს ალმასრულებლებს, დარაჯებს და სხვ.

ბრიგადირები, როგორც წესი, განთავისუფლებული იყვნენ საკოლმეურნეო შრომისაგან და მათაც მთელი წლის განმავლობაში ყოველგვარი ანგარიშის გარეშე ერიცხებოდათ შრომადღეები.

ყველაზე უფრო გაბერილი აღმოჩნდა აღრიცხვა-ანგარიშის დარგის მუშაკთა შტატი. ბევრ კოლმეურნეობაში აყვანილი ჰყავდათ ბუღალტერი, 2-3 მოანგარიშე და გარდა ამისა აღმრიცხველები ბრიგადების მიხედვით; ყველა ზემოდასახელებულ კატეგორიის პირებს, რომელთა დიდი ნაწილი ზედმეტ ბარგად აწვებოდა კოლმეურნეობას, შრომადღეებს ურიცხავდნენ ძალზე დიდი რაოდენობით.

1943 წლის 21 მაისს მიწსახკომის ხაზით ადგილზე დაშვებულია წერილი ანგარიშისა და აღრიცხვის დარგის მუშაკების შტატისა და შრომის ანაზღაურების შესახებ. ამ წერილში მოცემულია სანიმუშო შტატი და შრომის

ანაზღაურების ოდენობა, მაგრამ ადგილებზე მექანიკურად, საჭირო იყო თუ არა, თავზე ახვევენ კოლმეურნეობებს მიწსახკომის წერილში მოცემულ შტატს. კოლმეურნეობებს შეუძლიათ ადგილობრივი პირობების მიხედვით და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად თვითონ განსაზღვრონ ანგარიშ-წარმოების მუშაკთა შტატი, მათი შრომის ანაზღაურების ოდენობა, რის გამოც ზემოაღნიშნული წერილი, ვფიქრობ, ზედმეტია. ყველა უსაქმური, ვინც კი გაიგო ამ შტატების შესახებ, თხოულობს კოლმეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნას. ბევრი მათგანი ამას ახერხებდა კიდეც, და აღწევდა შრომადღეების ხარჯზე უსაქმოდ ცხოვრებას.

კოლმეურნეობებში დიდი მუშაობა ჩატარდა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატების შემცირებისა და შრომადღეების განაივების აღსაკვეთად. სულ რესპუბლიკაში აღნიშნული შტატი შემცირებულია 7.956 კაცით, რომელთა შენახვაზედაც 9 თვის განმავლობაში 810.746 შრომადღე დაიხარჯა. შტატების შემცირების შედეგად ჩამოწერილ იქნა აღნიშნულ პირებზე უკანონოდ დარიცხული და წლის ბოლომდე დასარიცხი 797.108 შრომადღე. გარდა ამისა კოლმეურნეობებში ჩამოწერილ იქნა 405.793 შრომადღე, რაც უკანონოდ იყო დარიცხული ისეთ სამუშაოებზე, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ საკოლმეურნეო წარმოებასთან.

შემოწმებამ ბევრგან გამოააშკარავა საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტები. ქარელის რაიონის სოფ. ძლევისჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 1946 წლის მაისში წამოყენებულ იქნა სოფელ დირბის მცხოვრები მაზიაშვილი, საქმისათვის უვარგისი და ყოფაქცევაში თავდაუჭერელი ადამიანი. მან თან წაიყვანა კოლმეურნეობაში ყოფილი მოანგარიშე სოფელ დირბის კოლმეურნეობიდან.

სოფელ ძლევისჯვრის კოლმეურნენი სამართლიანად გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას სხვა სოფლიდან მოყვანილ ამ მუქთა-ხორების გამო, რომელნიც მათ თავზე მოახვიეს.

სოფ. დვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 1946 წლის ივნისში რაიკომის დადგენილებით წამოყენებულ იქნა გორის რაიონის მცხოვრები ვინმე მარკოზაშვილი, რომელიც 1944 წელში მოხსნილი იყო სოფ. ძლევისჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან საკოლმეურნეო ქონების განიავებისა და უხეშობისათვის.

საერთო კრებაზე მარკოზაშვილის გასატარებლად მიელინებულ იქნა რაიკომის მდივანი კადრების დარგში, ამხანაგების მთელი თანხლებით. მიუხედავად ამისა და დიდი წინასწარი მზადებისა, კრებამ უარჰყო წამოყენებული კანდიდატურა და მას არავინ არ მისცა ხმა. საკოლმეურნეო კადრების არასწორად შერჩევისა და კოლმეურნეთა ნება-სურვილისათვის ანგარიშის გაუწევლობის ანალოგიურ ფაქტებს სხვა რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებშიც ჰქონდა ადგილი. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ შემთხვევებს და ძირშივე აღკვეთილ იქნას საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ყოველგვარი ცდები.

ბევრ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს კოლმეურნეთა ერთი ნაწილისათვის შრომადღეებზე კუთვნილი პროდუქტების გაუცემლობას ავანსების არასწორად გაცემის გამო. საჭიროა ამ დიდი დარღვევის ყველგან სასწრაფო

გამოსწორება; ამასთანავე ერთად ყველგან მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ მიმდინარე წელს მოსავალი და შემოსავალი კოლმეურნეობებში აღნიშნული შეცდომების გარეშე განაწილდეს. საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებმა სისტემატურად უნდა შეამოწმონ მოსავლის განაწილება და სათანადო დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

მთელ რიგ რაიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისათვის განკუთვნილი მარცვლეული და სხვა საქონელი არ ხმარდება დანიშნულებას, ადგილი აქვს მის არასწორად გაცემას და განიავების შემთხვევებსაც კი.

ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში (გეგეჭკორი, ქარელი, ლანჩხუთი) ჩაის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის და სხვა პროდუქტების ჩამბარებლებისათვის განკუთვნილი მარცვლეულის საგრძნობ ნაწილს უკანონოდ ხარჯავენ. ეს კი დიდ ზიანს აყენებს საკოლმეურნეო საქმეს. ასეთი დანაშაულებრივი პრაქტიკის წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნას მკაცრი ზომები.

დამნაშავენი საკოლმეურნეო ქონების განიავებასა და მითვისებაში მიცემული არიან პასუხისგებაში. ბევრი მათგანი უკვე წარსდგა სასამართლოს წინაშე და სამართლიანი სასჯელი მიიღო.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გარიცხა კომუნისტური პარტიის რიგებიდან და სამართალში მისცა საკოლმეურნეო მიწების განიავებისათვის გურჯაანის და კაჭრეთის რაიაღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების გამგეები გიორგაძე და გაჩეჩილაძე, ახმეტის მტს-ის დირექტორი გამყრელიძე და სახჯიშფონდის საქართველოს კანტორის მმართველი ცინცაძე.

საკოლმეურნეო მიწებისა და პროდუქტების მითვისებისათვის გარიცხულ იქნა აგრეთვე კომუნისტური პარტიის რიგებიდან გორის რაიონის ტყვიავის უბნის სახალხო მოსამართლე ფიფია.

მიუშებისა და მოსამსახურეების მიერ საკოლმეურნეო მიწების დაწესებულ ნორმაზე ზევით მითვისებისათვის მოხსნილი იქნენ თანამდებობებიდან საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მდივანი კადრების დარგში კაბულოვი, კაჭრეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ჩიკვილაძე, აჭარის პროკურორის მოადგილე ყაჭეიშვილი და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ თანამდებობიდან მოხსნა სოფლის მეურნეობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის, რაც რაიონის კოლმეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დამახინჯებაში გამოიხატა, საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დარჯანია.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად სასამართლოს და პროკურატურის რაიონული ორგანოები შეუწყნარებლად აჭიანურებენ მათზე გადაცემული საქმეების ძიებას და განხილვას. (მაგ. დუშეთის, კაჭრეთის და სხვ. რაიონებში).

ჯერ კიდევ ბევრ კოლმეურნეობაში არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს უკანონოდ გაცემული საკოლმეურნეო დოვლათის (პროდუქტების,

თანხების და პირუტყვის) ანაზღაურებისა და უკან დაბრუნებისათვის. ყაზბეგის რაიონში უკანონოდ გაცემულ 1.070 სული პირუტყვიდან 30 დეკემბრისათვის კოლმეურნეობებში დაბრუნებული იყო 110 სული.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში 1.310 ათასი მან. დებიტორული დავალიანებიდან დაფარულ იქნა მხოლოდ 414 ათასი მანეთი. გარდა ამისა განიავებული და უკანონოდ გაცემული 650 ათასი მანეთიდან დაბრუნებულია მხოლოდ 267 ათასი მანეთი. ასევე კოლმეურნეობებში დაბრუნებული არაა განიავებული და უკანონოდ გაცემული და გასესხებული პროდუქტები. კასპის რაიონში განიავებულ და უკანონოდ გაცემულ 89.600 კგ. პროდუქტებიდან დღემდე დაუბრუნებელია 62.000 კგ. აქედან 50.000 კილოგრამზე მეტი მარცვალი. საჭიროა რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა სისტემატურად შეამოწმონ ცალკეულ კოლმეურნეობებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კომის 19 სექტემბრის დადგენილების განხორციელება, უკანონოდ გაცემულ საკოლმეურნეო დოვლათისა და ქონების კოლმეურნეობებისათვის დაბრუნების მდგომარეობა, დაუზოგავად გამოააშკარავონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევები, ამხილონ საკოლმეურნეო დოვლათის ფამგლეჯები და მკაცრად დასაჯონ დამნაშავენი.

უახლოეს ხანში უზრუნველყოფილ უნდა იქნას უკანონოდ გაცემული პროდუქტების, თანხების, პირუტყვის და სხვა ქონების კოლმეურნეობებისათვის დაბრუნება და მომავალში საზოგადოებრივი საკოლმეურნეო საკუთრება (მიწა და სხვა ქონება) დაცულ უნდა იქნეს ყველა ფურის ფამგლეჯებისა და უქნარების ხელყოფის ცდისაგან.

არ შეიძლება გვქონდეს ეჭვი იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში მუშაობა ზერელედ ჩაატარეს და ბოლომდე არ ამხილეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევები.

გურჯაანის რაიონის სოფ. გურჯაანის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში არ უზრუნველჰყვეს კოლმეურნეობისათვის დაბრუნება 8 ჰექტარი საკოლმეურნეო ფართობიდან მიღებული მოსავლის, რომელიც მძთვისებული ჰქონდათ სხვადასხვა პირებს. ამ კოლმეურნეობაში არ შეუმცირებიათ გაბერილი შტატი და დღესაც ურიცხავენ სასოფლო საბჭოს აღმასრულებელს 26 შრომადღეს და ორ აღმრიცხველს თვითეულს 26 შრომადღეს თვეში. ამავე რაიონის სოფ. ბაკურციხის ამხანაგ ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ფიქტიური აქტებით გაცემულია 82 ათასი მანეთზე მეტი; აქედან 26.640 მანეთი გადახდილია ვითომც კიტრისა და საზამთროს თესლის შესაძენად, სინამდვილეში კი კოლმეურნეობას არც კიტრი და არც საზამთრო არ დაუთესია. ამავე კოლმეურნეობაში ყოველთვიურად აძლევენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და მოადგილეს 400 მანეთს ბინის ქირის ანგარიშში. დიდი რაოდენობით თანხებისა და პროდუქტების განიავებას ადგილი აქვს სოფ. ველისციხის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც, ხოლო აღნიშნული ფაქტები რაიონის ხელმძღვანელებისა და მათ მიერ გამოყოფილი კომისიების მიერ გამოუმჟღავნებელი დარჩა.

ვანის რაიონში გამოყოფილმა კომისიებმა წარმოადგინეს ცნობა, რომ 58 კოლმეურნეობაში მითვისებული და განიავებულია 638 კგ. სამინდი,

1.300 ლიტრი ღვინო, 2 გოჭი, 39 ქათამი და 8.584 მანეთი ფული. ადგილზე გამოკვეთულ მხოლოდ 6 კოლმეურნეობაში აღმოჩნდა მითვისებული და გაწიაებული 7.730 კგ. მარცვალი, 105 კგ. ლობიო, 25 გოჭი, 2 სული პირუტყვი, 1.059 ლიტრი ღვინო და 68 ათასი მანეთი ფულად.

ცაგერის რაიონის სოფ. ხოვლეს კოლმეურნეობა „წითელ კოლმეურნეში“ კომისიის მიერ გამოვლინებულ იქნა 7 ცხვრის დანაკლისი, სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეობას აკლია 22 ცხვარი, 2 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 100 ფრთა ქათამი და 5.590 ლიტრი რძე.

გეგეჭკორის რაიაღმასკომმა ყოველგვარი შემოწმების გარეშე ფორმალურად განიხილა კოლმეურნეობათა შემოწმების შედეგები. ამ რაიონის კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში აღმოჩნდა, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევები გამომჟღავნებული და გამოსწორებული არ არის.

მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კოლმეურნეობების წარმატება დამოკიდებულია კოლმეურნეთა შრომის რესურსების გამოყენებაზე. იქ, სადაც კოლმეურნეები საკოლმეურნეო მინდვრებზე დატვირთვით მუშაობენ, საქმეც კარგად მიდის, ხოლო იქ, სადაც ეს არ ხდება, საქმე ცუდადაა. ხშირად კოლმეურნეობებში შრომისუნარიან კოლმეურნეთა საგრძნობ ნაწილს აწყობენ სხვადასხვა გამოგონილ თანამდებობებზე და სწყვეტენ მათ ფიზიკურ მუშაობას.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში წლის ბოლოს კოლმეურნეთა ნაწილს, რომელიც შრომისუნარიანია და შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია, ხელაღებით აკუთვნებენ შრომის უნარმოკლებულთა ჯგუფს, შემდეგ რაიაღმასკომები და რაიმიწგანები ასევე მექანიკურად ავსებენ ჯგუფლებს.

შრომითი რესურსების შეუფასებლობა იქამდე მიდის, რომ ზოგიერთი რაიონისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები არც კი ანგარიშობენ ამ რესურსებს; ცალკეულ კოლმეურნეობებში არ აღმოჩნდა კოლმეურნეთა ზუსტი სია; ზოგან ბრიგადებისა და რგოლებისგარეშე სტოვებენ კოლმეურნეთა საგრძნობ ნაწილს. ამ გზით ზოგ რაიონში ერთი-ორად შეამცირეს შრომისუნარიან კოლმეურნეთა რიცხვი და უკანასკნელნი კომლთა რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონში 1940 წელს ითვლებოდა 10.217 კომლი და 17 ათასი შრომისუნარიანი კოლმეურნე, 1943 წელს შესაბამისად—9.985 კომლი და 9.736 შრომისუნარიანი კოლმეურნე, 1945 წელს—10.256 კომლი და 7.943 შრომისუნარიანი კოლმეურნე, ხოლო 1946 წელს—10.340 კომლი და 8.671 შრომისუნარიანი კოლმეურნე.

ამ რაიონის ხელმძღვანელებმა უეჭველად იცოდნენ, რომ შრომისუნარიანთა ასეთი შემცირება გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ რაიონის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ადგენენ ცნობებს თვალის ასახვევად, სჩადიან დანაშაულს და ატყუებენ კოლმეურნეობას. მაგრამ მათ არჩიეს სიცრუე და ზომებს არ ღებულობდნენ.

შრომითი რესურსების გამოყენების საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება აღკვეთილ უნდა იქნას და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნე სრული დატვირთვით მუშაობდეს კოლმეურნეობაში ყოველ სამუშაო დღეს.

ამ ამოცანის შესრულება სავსებით შესაძლებელია. საჭიროა მხოლოდ ბრიგადები და რგოლები მოვაწყოთ სწორად და მათ მეთაურებად წამოვაყენოთ საკოლმეურნეო საქმისათვის თავდადებული ადამიანები.

ხშირია შემთხვევები, როცა ესა თუ ის ბრიგადა ან რგოლი შლის მთელს მუშაობას. ამის მიზეზია თვით ბრიგადირი და რგოლის ხელმძღვანელი, მაგრამ მათ პასუხს არავინ სთხოვს. ბრიგადირს, რგოლს აბარია კოლმეურნეობის გარკვეული საწარმოო უბანი; ამიტომ მათი მუშაობის ჩაშლისა და კოლმეურნეობის დაზარალებისათვია ბრიგადირებმა და რგოლის ხელმძღვანელებმა სასტიკი პასუხი უნდა აგონ. ბევრ კოლმეურნეობაში ცუდათაა დაყენებული კოლმეურნეთა სამუშაოზე გამოსვლის აღრიცხვა. ჩვეულებრივ აღრიცხავენ ხოლმე მხოლოდ შესრულებულ სამუშაოს, ისიც ხშირად გათანაბრებით და ორი კვირის ან ერთი თვის შემდეგ. მაგრამ არავინ არ აღრიცხავს მას, თუ ვინ არ გამოვიდა სამუშაოზე და რა მიზეზით. პასუხის მოთხოვნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი; საქმე თავდება იმით, რომ გამცდენებს არავინ ელაპარაკება, მათ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ბრიგადის გარეთ სტოვებენ და შრომისუნარმოკლებულთა სიაში რიცხავენ.

აუცილებელია ამ საქმეში დავამყაროთ წესრიგი და შემოვიღოთ კოლმეურნეობებში სამუშაოზე გამოსვლის აღრიცხვა, ხოლო იმ კოლმეურნეთა საკითხი, რომელნიც უმიზეზოდ, ბრიგადირისა და თავმჯდომარის ნებართვის გარეშე გააცდენენ სამუშაო დღეს დაუყოვნებლივ უნდა იქნას დასმული განსახილველად გამგეობის სხდომაზე, შემდეგ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე. საასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ყველა ზომა — ანსნა-განმარტება, გაფრთხილება, საყვედური, გაკიცხვა და გამოუსწორებელთა კოლმეურნეობიდან გარიცხვა — გამოყენებულ უნდ იქნას იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნე მუშაობდეს დაძაბულად, როგორც ამას კოლმეურნეობის საჭიროება მოითხოვს.

მიუხედავად დიდი სამამულო ომით გამოწვეული სიძნელეებისა, ომის შემდგომი პირველი წელი საქართველოს კოლმეურნეობებმა თვალსაჩინო მიღწევებით დაამთავრეს. 1946 წელს მიღწეულ იქნა მარცვლეული კულტურების, ვენახის, ჩაის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს და სხვა კულტურების მოსავლის გასულ წელთან შედარებით კიდევ უფრო გადიდება, სახელმწიფო ვალდებულებათა გადაჭარბებით და ვადაზე ადრე შესრულება, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის შემდგომი ამაღლება; საგრძნობლად იზრდება მიმდინარე წელს კოლმეურნეთა შრომადღის ხვედრი. ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდა პურის ჩაბარე-

ბის გეგმა. 20 ათასი ტონა მარცვლეული, 45 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 230 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 270 მილიონი ციტრუსების ნაყოფი—აი ის რაოდენობა, რომლითაც წელს კოლმეურნეობებმა გადააჭარბეს 1945 წელს ჩაბარებულ პროდუქციას.

1947 წლის იანვრისათვის დაწესებულ ვადაზე 2 თვით ადრე შესრულებულ იქნა თამბაქოს დამზადების გეგმა და სახელმწიფოს ჩაბარდა 10.500 ტონაზე მეტი თამბაქო.

საკოლმეურნეო მინდვრებიდან უხვი მოსავლის მიღებით 1946 წელს —მეოთხე ხუთწლედის პირველ წელს—თავი ისახელეს ბევრი რაიონის კოლმეურნეობებმა, მათ შორის წითელწყაროს, ლაგოდეხის, ყვარელის, სიღნაღის, გორის, ხაშურის, კასპის, მახარაძის, ბათუმის, ქობულეთის, გალის, ზუგდიდის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, თბილისის, ლენინგორის, ამბროლაურის, ცაგერის, ონის რაიონებმა.

დასახელებულმა რაიონებმა მოსავლის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს საკოლმეურნეო დისციპლინის გაუმჯობესებით, საკოლმეურნეო შრომაში კოლმეურნეთა ფართო მასების აქტიურად ჩაბმით. ამ რაიონების პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა უაღრესად გაძლიერებულ აქტივობას, რაც სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრებას მოჰყვა, და ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. მაღალმოსავლიანი სტახანოვური ნაკვეთების გამოყოფა და ბრიგადების, რგოლების და ცალკეულ კოლმეურნეთა ბრძოლა მარცვლის, ჭარხლის, ჩაის და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის მასობრივ საქმედ იქცა. სწორედ ამის შედეგია, რომ 1946 წელს უხვი მოსავლის მიღებით თავი ისახელეს მეჩაიე ოსტატმა ქიონია სარისანიმ, სიმინდის კულტურის ოსტატმა ქვაჩახიამ, რომელნიც სტალინური პრემიის ღირსნი გახდნენ. ასევე თავდადებული შრომის შედეგად ბურის მოსავლის სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს წითელწყაროს რაიონის ამხ. ქდანოვის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფიროსმანიშვილმა და იმავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა ივანე მათეშვილმა, შაქრის ჭარხლის სარეკორდო მოსავლით თავი ისახელეს კასპის რაიონის სოფ. ქვ. გომის კოლმეურნეობა „მნათობის“ კოლმეურნეებმა სოფიო მარიდაშვილმა და ანა კაციაშვილმა, სიმინდის მოსავლით — ბოლნისის რაიონის სოფ. ბოლნისის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე პროკოფი ჭოხონელიძემ და გალის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე ძუკუ როგავამ.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, ჩვენი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების წინაშე ამჟამად მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. სტალინური ხუთწლედის მეორე წელი კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლებით უნდა დავაგვირგვინოთ. ჩვენი ვალია განვამტკიცოთ 1946 წლის შედეგები და 1947 წელს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, მოსავლიანობის შემდგომ ზრდას ყველა კულტურის დარგში.

საჭიროა დაწესებულ ვადაში დავამთავროთ კოლმეურნეობებში 1946 წლის მოსავლისა და შემოსავლის განაწილება, არ განვიმეოროთ ამ საქმეში რაიმე შეცდომები და მიღებული მოსავლიდან კოლმეურნეთა შრომადღეების ხვედრი უნაკლოდ გავანაწილოთ. საჭიროა უზრუნველვყოთ მალა-

ლი ხარისხის სათესლე მასალის ჩაყრა, გაწმენდა და სანიმუშო შენახვა, უზრუნველვყოთ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დროზე გარემონტება. გავაუმჯობესოთ მუშა-საქონლის მოვლა, დროზე და ხარისხიანად შევასრულოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საჭიროა ახლავე გაიშალოს მუშაობა 1947 წლის საწარმოო გეგმების შესადგენად. ყველა კოლმეურნეობამ უნდა უზრუნველჰყოს საწარმოო დავალებების ბრიგადებამდე და რგოლებამდე თავის დროზე დაყვანა. უნდა ფართოდ გაიშალოს კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრება რგოლსა და რგოლებს შორის, ისე ცალკეულ კოლმეურნეთა შორის, რათა 1947 წელი საქართველოს მრავალფეროვანმა სოფლის მეურნეობამ კიდევ უფრო მეტი წარმატებებით დააგვირგვინოს, ვიდრე გასული წელი.

რაიონულმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ, რომ კოლმეურნეობათა წარმატების თავდებია სტალინური წესდების განუხრელად გატარება და ყოველგვარ დამახინჯებათა აღკვეთა.

მ. ჩხეიძე

სახელმწიფო შრომითი რეზერვები

სოციალისტური დაგეგმილი სახალხო მეურნეობა მოითხოვს ორგანიზებულობას მუშათა მომზადებაში, მათ განაწილებასა და გამოყენებაში. მუშათა კლასის ახალი შევსების გეგმიურ მომზადებაზე ზრუნვამ საუკეთესო გამოხატულება ჰპოვა სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის შოწყობაში.

მძლავრი სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის იდეა ეკუთვნის ამხანაგ სტალინს. ექვსი წლის წინათ დიდი სტალინის მითითებებით და ხელმძღვანელობით დაიწყო ამ ახალი, დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება.

ჩვენს ქვეყანაში საკვებით მოსპობილია უმუშევრობა. ბოლო მოეღო სიღატაკესა და განადგურებას სოფლად და ქალაქად. ამიტომ ჩვენში არ არიან ისეთი ადამიანები, რომ ფაბრიკებისა და ქარხნების კარდაკარ დადიოდეს, სამუშაოს თხოულობდეს და ამრიგად, სტიქიურად ჰქმნიდნენ მუშახელის მუდმივ რეზერვს მრეწველობისათვის.

ამ პირობებში სახელმწიფოს წინაშე დადგა ამოცანა—ორგანიზებულად მოემზადებინა ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობისაგან ახალი მუშები და საჭირო შრომითი რეზერვები შეექმნა ჩვენი მზარდი სახალხო მეურნეობისათვის.

მუშათა კლასის შემადგენლობის განუწყვეტლივ შევსების მიზნით შექმნილმა სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემამ საკვებით გაამართლა თავისი დანიშნულება. იგი მუშათა კლასის ახალი კადრების ნამდვილი სამჭედლო გახდა.

შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებში პირველი გაწვევა ომამდე ჩატარდა. მუშათა კლასის ეს შევსება მოწოდებული იყო ახალი წარმატებებისათვის მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაში. მაგრამ მოსწავლეთა პირველი გამოშვება მოხდა სამამულო ომის პერიოდში. ჩვენმა ქვეყანამ განსაკუთრებული ძალით იგრძნო მაშინ შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ მიღებული სტალინური კანონის მთელი მნიშვნელობა. შრომითმა რეზერვებმა ომის დროს დიდი სამსახური გაუწიეს საბჭოთა სამშობლოს. როცა მილიონობით მშრომელები ფრონტზე გაემართნენ, მანქანებსა და დაზგებთან მათი ადგილები დაიკავეს მრავალრიცხოვანმა შრომითი რეზერვებმა. ახალგაზრდა მუშებმა და მუშა-ქალებმა ისეთივე გმირობა გამოიჩინეს შრომის ფრონტზე, როგორც მუშათა უფროსმა თაობამ.

შრომითი რეზერვების სისტემაში აღზრდილები მუშაობდნენ ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო საწარმოებში. მარტო სამხედრო საწარმოებსა და ტრანსპორტზე ახალგაზრდა მუშების რაოდენობა ერთ მილიონს აღწევდა. აქ ათასობით ახალგაზრდები შრომობდნენ ქარხნებში, ფაბრიკებში, მაღა-

როებში. ისინი იღებდნენ ქვანახშირის, ნავთის, ადნობდნენ ლითონს, აშენებდნენ ქარხნების ცორპუსებსა და საცხოვრებელ ბინებს.

შრომითი რეზერვების სისტემის ახალი შეკვება სხვადასხვა პროფესიების შესწავლასთან ერთად, საკუთარ სახელოსნოებში აკეთებდა ნაღმებს, ავტომატებს, საველე რადიოსადგურებს, საშველ ნავებს და სხვა მრავალ იარაღებსა და ხელსაწყოებს ფრონტისათვის და სახალხო მეურნეობისათვის.

ჩვენმა ქვეყანამ შარშან ზეიმით გადაიხადა სახელმწიფო შრომითი რეზერვების ხუთი წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით შრომითი რეზერვების სისტემის მოსწავლეები დიდი სტალინისადმი გაგზავნილ წერილში სწერდნენ: „სასიამოვნო და სასიხარულოა, რომ ჩვენი მუშაობის ხუთი წელი სამშობლოსათვის სასარგებლო იყო. შრომითი რეზერვების არმიამ თავისი წვლილი შეიტანა ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის სახელი“.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა ახალგაზრდობის შრომითი წარმატებანი. სამამულო ომის წლებში სახელოსნო სასწავლებლებისა და სკოლების ათასზე მეტი მოსწავლე დაჯილდოებულ იქნა მთავრობის ჯილდოებით—ორდენებითა და მედლებით.

როგორც სამამულო ომის ისე ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში წარმატებით მუშაობენ ის სასწავლებლები და სკოლები, რომლებიც საქართველოშია გახსნილი. განვლილ პერიოდში მომზადებულ იქნა 30 ათასამდე მუშა: ლითონდამამუშავებლები, რკინიგზელები, მშენებლები, მეტალურგები და სხვა მსხვილ პროფესიათა მცოდნეები.

ჩვენი სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეები ომის პერიოდში თავდადებით შრომობდნენ წითელი არმიის, ფრონტის დასახმარებლად. მათი ძალებით ამოღებულ იქნა რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქვანახშირი და მარგანეცი, დამზადდა სამხედრო დანიშნულების დიდი რაოდენობის პროდუქცია.

სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეულ საწარმოთა აღდგენაში. ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის აღდგენაზე მუშაობდა საქართველოდან გაგზავნილი მოსწავლეთა სპეციალური რაზმი. ამ რაზმის წევრებმა დაკისრებული მოვალეობა სასახელოდ შეასრულეს: ვადამდე აღადგინეს საგლინავი დაზგა, გაამართეს ორი ამწე, ააშენეს დიდი საწარმოო ცორპუსი.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი წარმატებით იშუშებს ომის წყლულებს, შრომითი რეზერვების სისტემაში აღზრდილები კვლავ წარმატებით მუშაობენ, თავდადებით იბრძვიან ჩვენი ქვეყნის სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისათვის კადრებს ამზადებს მე-9 სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც 1943 წელს მოეწყო. ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული პირველი სასწავლო წელი, როცა ქარხნის დირექციამ

შესაძლოდ მიიჩნია დაეშვა ამ სკოლის მოსწავლეები ელექტროსადნობ ღუმელებთან სამუშაოდ. ამით უნდოდათ შეემოწმებინათ, რამდენად იცნობენ ისინი ქარხნის საწარმოო პროცესებს, როგორ არიან მომზადებული ელექტროსადნობი ღუმელების მომსახურებისათვის.

პირველ დღეებშივე გამოირკვა, რომ ზესტაფონის მეტალურგიული სახელოსნო სასწავლებლის ხელმძღვანელებს სწორად გაუგიათ თავისი მოვალეობა და ჩინებულად მოუმზადებიათ მოზარდები. მოკლე დროში სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე თანრიგის მუშები შესცვალეს. ამის შემდეგ, ცდის სახით, ფეროშენადნობთა ერთი ღუმელი მთლიანად სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებს ჩააბარეს. მოლოდინი საგსებით გამართლდა. მოსწავლეები ამ ღუმელს სამაგალითოდ უვლიდნენ. მალე მათ მეორე ღუმელიც ჩაიბარეს.

ზოგიერთი მოსწავლე თეორიულად და პრაქტიკულად იმდენად მომზადებული აღმოჩნდა, რომ ქარხნის ხელმძღვანელებმა ისინი ელექტროღუმელების ბრიგადირებად დანიშნა.

ამ სასწავლებლის მიერ აღზრდილი ორასამდე ახალგაზრდა დღეს ქარხნის მოწინავე მუშები არიან, თავდადებულად მუშაობენ და ხელს უწყობენ ქარხნის კოლექტივს საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში.

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი საწარმოა. სახელოსნო სასწავლებლებში აღზრდილებმა, რომლებიც ამ ქარხანაში მუშაობენ, წარმატებით აითვისეს მთელი რიგი ახალი დაზგის დამზადების წარმოება. რომელ საბჭოშიც გინდათ შეხვიდეთ, ყველგან ნახავთ მუყაით, შრომისმოყვარე ახალგაზრდებს. სახელოსნო სასწავლებლებში მათ მარტო სპეციალობა როდი მიიღეს, არამედ შეიძინეს მტკიცე საწარმოო დისციპლინაც.

ახლა სახელოსნო სასწავლებლებში აღზრდილი 200-ზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს ქარხანაში. მათ შორის მრავალმა გამოიჩინა თავი, როგორც მოწინავე სტახანოველმა.

საქართველოს ყველა ქარხანაში, ფაბრიკაში, ახალმშენებლობაზე ათობით და ასობით მოიპოვებიან ჩვენი სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში აღზრდილები. ძველი კადრის მუშებთან ერთად ისინი მეოთხე ხუთწლედის განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგანან, თავდადებული შრომით უფრო ანმტკიცებენ სახელოვანი მუშათა კლასის შრომითს ტრადიციებს.

რესპუბლიკაში ფართო პოპულარობა მოიპოვა ბეერმა სახელოსნო სასწავლებელმა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლამ. ჭიათურის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების მეორე სკოლას პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებს შორის. სკოლა წარმატებით ამზადებს რა მაღაროელთა ახალ კადრებს, ამით თავისი წვლილი შეაქვს მეტი მარგანეცის მოპოვებისათვის ბრძოლაში. თბილისის შესამე სახელოსნო სასწავლებელი ამზადებს კვალიფიციურ ლითონდამმუშავებლებს. ახალგაზრდობის საწარმოო სწავლების პროცესში აქ მოეწყო სახე-

რატო დაზგების გამოშვებაც. თბილისის რკინიგზის პირველი სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივმა ტრანსპორტისათვის კადრების მომზადებასთან ერთად, აითვისა რთულ და მნიშვნელოვან ნაკეთობების წარმოება.

ამ და სხვა მოწინავე სასწავლებლებისა და სკოლების მაგალითი მიგვითითებს იმაზე, თუ როგორ უნდა შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის დავალებანი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა გრანდიოზული პროგრამა მოითხოვს მუშახელის დიდ კონტინგენტს. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კვალიფიციურ მუშათა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში სერიოზული როლი ეკისრება სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემას. ამ სისტემის სასწავლებლებმა და სკოლებმა ახალ ხუთწლედში უნდა მოამზადონ და ჩვენს ქარხნებს, ფაბრიკებს, მაღაროებს, რკინიგზის ტრანსპორტსა და ახალშენებლობებს გადასცენ ოთხნახევარი მილიონი კვალიფიციური მუშა. აქედან შრომითი რეზერვების საქართველოს სკოლებსა და სასწავლებლებში გათვალისწინებულია მომზადდეს 50.000 ახალგაზრდა მუშა.

ამრიგად, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მუშათა კადრების მომზადების გადიდებას სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის ხაზით, რომელიც მუშათა კლასის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

მიმდინარე წლის 6 ნოემბერს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა ა. ა. ჟდანოვმა, რომელიც ვრცლად შეჩერდა ახალ ხუთწლედში ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშახელით უზრუნველყოფის საკითხებზე, სთქვა: „ამოცანა შესაძლებელია და უნდა გადაწყდეს იმ შრომითი რეზერვების კონტინგენტთა გადიდების გზით, რომელთა მომზადება სწარმოებს სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში“.

შრომითი რეზერვების მუშაკებმა ახალ ხუთწლედში მათ წინაშე დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯი. მიმდინარე წლის ივლისს-აგვისტოში ჩატარებულ იქნა სახელოსნო რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა. სულ გაწვეულ იქნა 2.600 ახალგაზრდა.

ნოემბერში დაიწყო ახალი გაწვევა. ამჯერად, გასაწვევ ახალგაზრდათა რიცხვი 3 ათასამდე დიდდება. ახლა სკოლებსა და სასწავლებლებში 8 ათასი ახალგაზრდა ეუფლება ახალ სპეციალობებს. მარშან მათი რიცხვი 5 ათასს არ აღემატებოდა. გაიზარდა სკოლებისა და სასწავლებლების რაოდენობაც. საქართველოში გახსნილია შრომითი რეზერვების სისტემის 34 სასწავლებელი და სკოლა.

საქართველოს მსხვილ საწარმოთა და ახალშენებლობათა ბაზაზე წელს დამატებით იხსნება ახალი სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები. ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის ახალ გაწვეული კონტინგენტი ძირითადად შეავსებენ ამ ახალ სასწავლებლებსა და სკოლებს.

სახელოსნო სასწავლებელი ეწყობა თბილისის ავტოსარემონტო ქარხანასთან. ამ სასწავლებელში გაწვეულ იქნება 150 ახალგაზრდა. აქ მომზადდება კვალიფიციური ლითონდამმუშავებლები, ხარატები და ზეინკლები.

საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის სკოლები მასობრივ პროფესიათა მუშებს ამზადებენ. მსხვილი საფაბრიკო-საქარხნო სკოლები იხსნება ბორჯომში—ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე და ახალციხეში. ეს სკოლები მოამზადებენ მასობრივ საამშენებლო პროფესიის მუშებსა და ახალგაზრდა მაღაროელებს ქვანახშირის ახალი რაიონებისათვის.

ჭუთაისის საშახტო მოწყობილობათა დამამზადებელ ქარხანასთან, რომელმაც ახლახან პირველი პროდუქცია მოგვცა, გაიხსნება საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ლითონდამმუშავებელთა მოსამზადებლად. ტრესტ „თბილმშენთან“ მოწყობილი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა მოამზადებს მშენებელ მუშებს ჩვენი მზარდი საქალაქო მეურნეობისათვის. გარდა ამისა, თბილისში კიდევ გაიხსნება ორი ახალი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა მასობრივ საამშენებლო პროფესიათა მუშების მოსამზადებლად.

რესპუბლიკაში ერთერთი უმსხვილესი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა იხსნება რუსთავში, სადაც 300 ახალგაზრდა მუშა შეისწავლის საამშენებლო პროფესიებს.

უკანასკნელ დრომდე საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში არსებობდნენ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები. მათი მუშაობის ნაკლს ის შეადგენდა, რომ ვერ იცავდნენ მეცადინეობის ერთნაირ წესს, გეგმიანობას. ახლა ეს სასწავლებლები რეზერვების სამმართველოს გადაეცა და მათ ბაზაზე ჩამოყალიბებულ იქნა სამი საფეიქრო საფაბრიკო-საქარხნო სკოლა. ასე დიდდება საქართველოში სახელოსნო სასწავლებლების და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ქსელი.

სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ახალგაზრდობის მიმდინარე გაწვევას, რომელიც მეოთხე სტალინურ ხუთწლედში მეორედ ტარდება, დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის რაისაბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობით ადგილებზე შეიქმნა რაიონული გამწვევი და საექიმო კომისიები. კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაწვევის მნიშვნელობაზე. არა მარტო ახალგაზრდებმა, არამედ მათმა მშობლებმაც კარგად უნდა იცოდნენ, რა საპატიო საქმისათვის ამზადებენ კადრებს შრომითი რეზერვების სასწავლებლები და სკოლები. უნდა მოვუთხროთ მათ იმ წარჩინებულ ადამიანებზე, რომელთაც დაამთავრეს ალნიშნული სასწავლებლები. სკოლები და თავდადებული შრომით ხალხის საყოველთაო სიყვარული დაიმსახურეს.

შრომითი რეზერვების სასწავლებლებმა და სკოლებმა თავის არსებობის მანძილზე დიდი ავტორიტეტი დაიმსახურეს. ყოველწლიურად იზრდება მათი პოპულარობა. ამას მოწმობს ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი ლტოლვა შრომითი რეზერვების სისტემის სკოლებსა და სასწავლებლებში.

მიმდინარე გაწვევის პირველ დღეებშივე სასწავლებლებსა და სკოლებში მასობრივად შემოდის ახალგაზრდობისაგან განცხადებები.

ახლა, როცა სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება ბრძოლა ახალი ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის, ჩვენი საწარმოებისა და ახალმშენებლობების მუშახელით შევსება ერთერთ ურთულეს საკითხად გადაიქცა. ამიტომ მუშათა ახალი კადრების მომზადება უპირველესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს. სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემა, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს მუშათა ახალი კადრები, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე დგას. ჩვენ ეს ამოცანა სავსებით შეგნებული გვაქვს და პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ღირსეულადაც შევასრულებთ მას. მოვამზადებთ სახელოვან მუშათა კლასის ახალ, ღირსეულ შევსებას, უზრუნველვყოფთ მრეწველობას და ტრანსპორტს კვალიფიციური კადრებით.

ა. მგელაძე

პარტიული ხელმძღვანელობა — კომკავშირის ძლიერების წყარო

ლენინურ-სტალინური კომკავშირი ჩვენი საბჭოთა სახელოვანი კომუნისტური პარტიის ერთგული თანამებრძოლი და რეზერვია. კომკავშირელი ვაჟები და ქალები — საბჭოთა ახალგაზრდობის ეს ავანგარდი — ყოველდღიურად საქმით გვიმტკიცებენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულს და ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი.**

სტალინური ხუთწლედების ომისწინა წლებში ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა და ახალგაზრდობამ, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ათეულობით და ასეულობით უდიდესი საწარმოების მშენებლობაში, ახალი ტექნიკის ათვისებაში, სოციალისტური შეჯიბრებისა და მისი უმაღლესი ფორმის — სტახანოვური მოძრაობის — გაშლის საქმეში.

ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებმა — საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებმა — ოსტატობის, მამაცობის, გულადობის და გმირობის უბადლო ნიმუშები გვიჩვენეს ფრონტზე გერმანელ და იაპონელ იმპერიალისტებთან ბრძოლებში. ზურგში კი ახალგაზრდა მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ თავგანწირული შრომით ხელი შეუწყეს საძულველი მტრის განადგურებას.

ამიტომაცაა დღეს ყველა ალიარებს, მტერიც და მოყვარეც, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ახალგაზრდობას წარმოადგენს.

ახალმა ომისშემდგომმა ხუთწლედმა, დამუშავებულმა ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით, გრანდიოზული ამოცანები დააყენა მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე, მათ რიცხვში ჩვენი ახალგაზრდობის წინაშეც.

ეს გარემოება მოითხოვს კომკავშირული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას და ახალ უმაღლეს საფეხურზე აყვანას.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უწინდებურად ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ კომუნისტური აღზრდის საქმეს, საბჭოთა ახალგაზრდობის განათლების საქმეს. სწავლა — ეს პირადი და კერძო საქმე როდია. რაც უფრო მარჯვისტულად მეტი მცოდნე და ტექნიკურად მეტი მომზადებული იქნება ახალგაზრდა ვაჟი და ახალგაზრდა ქალიშვილი, მით უფრო უკეთ იმუშავებენ ისინი მშენებლობის ამათუიმ უბანზე.

საბჭოთა ახალგაზრდობამ, კერძოდ კი საბჭოთა ინტელიგენციის ახალგაზრდა კადრებმა საჭიროა არა მარტო შეითვისონ ყოველივე საუკეთესო, რაც კი თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიერაა შექმნილი, არა-

მედ მათ წარმატებით უნდა წასწიონ იგი წინ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მეცნიერების სწრაფი განვითარების საუკუნეში, ატომური ენერგიის საუკუნეში.

აი რატომაა საჭირო, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი ჭაბუკი და ქალიშვილი შეუდრეკლად და დაჟინებით სწავლობდეს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ვინც „ფრიადზე“ სწავლობს და წარმატებით ეუფლება მეცნიერების და ტექნიკის შეწვერვალებს და ავითარებს მათ, იგი ჩვენი დიდი სამშობლოს ნამდვილი პატრიოტია.

კომუნისტური პარტია, პირადად ამხანაგი **სტალინი** უდიდეს ყურადღებას უთმობენ საბჭოთა ახალგაზრდობის იდეოლოგიურ აღზრდას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ დროს მიღებული გადაწყვეტილებანი იდეოლოგიური მუშაობის შესახებ კომკავშირის მუშაობის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებებში იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების წინაშე აყენებს ამოცანას იმის შესახებ, რომ მათ უპასუხონ საბჭოთა ხალხის მაღალ კულტურულ მოთხოვნებს და დახმარება გაუწიონ სახელმწიფოს ისეთი მხნე, ხალისიანი, სამშობლოსათვის ბოლომდე თავდადებული ახალგაზრდობის აღზრდაში, რომელსაც სწამს ჩვენი საქმის გამარჯვება, არ ეშინია დაბრკოლებების და ყოველგვარი სიძნელის დაძლევის უნარი შესწევს.

ამიტომ კომკავშირის კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის იდეურ და პოლიტიკურ გამოწრთობას. ყოველი კომკავშირელი უნდა აღვზარდოთ იდეურად გამობრძმედილ მებრძოლად, რომელსაც შეუძლია გაერკვეს გარემომცველ ვითარებაში, თანამედროვეობის პოლიტიკურ მოვლენებში. აღვზარდოთ მამაც მებრძოლად, რომელიც დარწმუნებული იქნება თავის ძალაში და თავდადებულად ერთგული **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისადმი.

ჩვენ უნდა ვეწეოდეთ დაუნდობელ ბრძოლას უიდეობის წინააღმდეგ; უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგები და მათი ხელშეწყობნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენს მოზარდ თაობას. მათი მიზანია მოწამლონ ახალგაზრდობა ბურჟუაზიული მსოფლმხედველობით, ჩამოაშორონ იგი კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, სოციალისტური მშენებლობის მწვავე ამოცანებს, გადაისროლონ იგი უიდეობის, უზნეობის, მორალური გახრწნის ჭაობში.

კომუნისტური პარტია ვერ მოითმენს ახალგაზრდობის აღზრდას საბჭოთა ხელისუფლებისადმი განურჩეველი და გულგრილი დამოკიდებულების სულისკვეთებით, უიდეობის სულისკვეთებით.

კომკავშირული ორგანიზაციების მთელ მუშაობას საფუძვლად უნდა ედოს საბჭოთა პოლიტიკა, ბოლშევიკური პრინციპულობა; ამით უნდა იყოს გამსჭვალული კომკავშირის მთელი აღმზრდელობითი საქმიანობა. მაგრამ მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის დონე ჯერ კიდევ დაბალია.

ასე, მაგალითად, „ტყვარჩელშახტმშენებლობის“ ტრესტის პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში წლის განმავლობაში სამჯერ შეიქმნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის

შემსწავლელი წრე, მაგრამ ამ წრემ ერთხელაც ვერ შეძლო მეცადინეობის ჩატარება. ამ კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. კიკავამ არავითარი ზომები არ მიიღო იმისათვის, რომ უზრუნველეყო წრის მეცადინეობის ჩატარება. ეს არც გასაკვირია, რადგანაც ამხ. კიკავა თვითონ არ იძლევა შესწავლის მხრივ მაგალითს. მართალია ის ითვლება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის დამოუკიდებელ შემსწავლელად, მაგრამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მას ხელშიც კი არ ჭეროდა სახელმძღვანელო. კიდევ მეტი: ის არც წინათ სწავლობდა ბოლშევიკური პარტიის ისტორიასა და თეორიას და საერთოდ სრულიად არ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა ამ კომკავშირულ ორგანიზაციაში ცუდად არის დაყენებული. კომკავშირულ აგიტატორებთან აქ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ისმის საკითხი: როგორ მოხვდა ამხ. კიკავა კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის პოსტზე?

კავშირგაბმულობის ტყვარჩელის საქალაქო განყოფილების კომკავშირულ ორგანიზაციაში თერთმეტი კაცი ითვლება. არცერთი მათგანი მხატვრულ ლიტერატურას არ კითხულობს, არც ერთი მათგანი არ იწერს გაზეთებსა და ჟურნალებს. ამის შედეგია ის, რომ ზოგიერთი კომკავშირელი ვერ ერკვევა მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებში.

სოხუმის ფერმენტაციის ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. შინკარენკო არ მუშაობს თავის თავზე. მასთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ იგი ცუდად ერკვევა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის საკითხებში და არც კი იცის, თუ რა დიდი საწარმოები უნდა აშენდეს საქართველოში ახალი ხუთწლედის მანძილზე.

ეს ფაქტები საკმაოდ ასურათებენ იმას, რომ აფხაზეთის კომკავშირის მთელ რიგ ორგანიზაციებში იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობა ვერაა დამაკმაყოფილებლად დაყენებული.

რა არის იმის მიზეზი, რომ იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობა კომკავშირში ჩამორჩენილია? ამის მიზეზია ის, რომ აფხაზეთის კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკების ნაწილი იდეოლოგიურ და პროპაგანდისტულ მუშაობას მეორეხარისხოვან საქმედ სთვლის, არ გამოდის ლექციებითა და თეორიული მოხსენებებით, არ ხელმძღვანელობს პირადად წრეებს.

კომკავშირის კომიტეტები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას კომკავშირული კადრების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. აქტივის განსაზღვრული ნაწილი სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებაზე.

„ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ თუ კომკავშირული აქტივის პრაქტიკული მუშაობა შეხამებული არ იქნება მის თეორიულ მომზადებასთან („ლენინიზმის შესწავლა“) შეუძლებელია რამდენადმე აზრიანი კომუნისტური მუშაობა კომკავშირში...

...მომთმენი და დაჟინებითი ლენინური სწავლა — ასეთია ის გზა, რომელიც უნდა გაიაროს კომკავშირის აქტივმა, თუ მას მართლა სურს ! აღზარდოს აწალგაზრდობის მილიონობით მასები პროლეტარული რევოლუციის სულისკვეთებით“. (სტალინი).

კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები უნდა იძლეოდნენ იმის მაგალითს, თუ როგორაა საჭირო თავის თავზე მუშაობა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების დასაუფლებლად; ისინი პირადი მაგალითით უნდა ეხმარებოდნენ და ასწავლიდნენ ყველა კომკავშირელს.

კომკავშირული ორგანიზაციები გაბედულად უნდა აყენებდნენ თეატრებისა და კინოების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს, უნდა აწყობდნენ შემოქმედებითი მუშაკების მონაწილეობით თეატრალურ დადგმათა, კინო-სურათების განხილვას, უნდა ჰკარნახობდნენ თემატიკას და დახმარებას უწევდნენ საბჭოთა ახალგაზრდობის თემებზე სპექტაკლების განხორციელებას.

საჭიროა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდა მწერლებს შორის მუშაობის გაუმჯობესებას; ისინი ახლოს უნდა იდგნენ ჩვენი მწერლების მუშაობასთან, აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ მათი შემოქმედების განხილვაში, უნდა აწყობდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვას. ახალგაზრდობა საბჭოთა ლიტერატორებისაგან მოელის ისეთ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც უპასუხებენ მის მოთხოვნებს, დაეხმარებიან პარტიასა და კომკავშირს მოზარდი თაობის აღზრდაში. ახალგაზრდობა მოელის მწერლებისაგან ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა ადამიანების ხასიათი, ღვაწლი, გაბედული მისწრაფებანი, ზრახვანი და საგმირო საქმენი.

არაჩვეულებრივად ფართო და მრავალმხრივია ჩვენი ახალგაზრდობის ინტერესთა ფარგალი. ამ ახალგაზრდობის სამართლიანი სურვილის დაკმაყოფილება, პასუხის გაცემა იმ საკითხებზე, რომლებიც მას აღელვებს — საბჭოთა ლიტერატორების ვალი და სახელია. ქარგი წიგნის ზეგავლენის ძალა არაჩვეულებრივად დიდია, მხატვრული სახეების აღმზრდელობითი მნიშვნელობა დაუფასებელია.

ხელმძღვანელი კომკავშირული აქტივი ვალდებულია სერიოზული ყურადღება დაუთმოს შიდაკომკავშირულ მუშაობაში არსებულ ძირითად ნაკლთა აღმოფხვრას.

მხოლოდ შიდაკომკავშირული სუსტი ორგანიზაციული მუშაობით შეიძლება ავხსნათ ის, რომ ამ წლის 10 თვის განმავლობაში 769 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციიდან არ იზრდებოდა 277 ორგანიზაცია. ამასთან განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კომკავშირის რიგების ზრდა მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ხარჯზე. ეს გარემოება ნათლად მოწმობს, რომ შიდაკომკავშირული და ორგანიზაციული მუშაობა კომკავშირის მთელ რიგ პირველად ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

კომკავშირის კომიტეტებმა ძირფესვიანად უნდა გააუმჯობესონ შიდაკომკავშირული მუშაობა და სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების შემდგომ ორგანიზაციულ განმტკიცებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას.

კომკავშირული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჯეროვანად მოეწყოს პარტიისა და მთავრობის გადა-

წყვეტილებათა პრაქტიკული შესრულება კომკავშირის ყველა ორგანიზაციის მიერ.

შესრულების ბოლშევიკური შემოწმება, უეჭველია, უზრუნველჰყოფს მეტ ინიციატივას მუშაობაში და თავიდან აგვაცილებს გარღვევებს კომკავშირული მუშაობის ამა თუ იმ უბანზე. იგი კარგი პროექტორივით გაამუქებს კომკავშირული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას.

კომკავშირის მთელი რიგი ორგანიზაციები იშვიათად იხილავენ ხოლმე შიდაკომკავშირული მუშაობის საკითხებს. ამ მხრივ დამახასიათებელია გულრიფშის რაიონის მაჯარის სასოფლო საბჭოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია. 1946 წელს ჩატარებულ 6 კომკავშირულ კრებაზე არცერთხელ არ განხილულა შიდაკომკავშირული მუშაობის საკითხები.

კომკავშირული კრებები, რომელნიც, როგორც ცნობილია, კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენენ, ზოგიერთ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში იშვიათად ტარდება, ზოგჯერ კი დაბალ იდეურ დონეზე ტარდება.

ასე, მაგალითად, 9 თვის განმავლობაში ოჩამჩირის პურის ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციაში სრულებით არ ჩატარებულა კრებები. ამავე პერიოდის განმავლობაში კომკავშირული კრებები არ ჩატარებულა გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ბევრ შემთხვევაში კომკავშირელები არ არიან ჩაბმული კრებების მოსამზადებაში, მათ არ ატყობინებენ წინასწარ კრების მოწვევის დღესა და ადგილს. ხშირად მომხსენებლებად კრებებზე ერთი და იგივე პირები გამოდიან.

ცხადია, რომ ასეთი პრაქტიკა არ უწყობს ხელს კომკავშირელთა იდეურ გამოწრთობას, ახალი კომკავშირული აქტივის აღზრდას.

ცუდადაა დაყენებული შიდაკომკავშირული მუშაობა ოჩამჩირის რაიონის პოკვეშის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ, განიხილა რა თავის კრებაზე საკითხი კომკავშირელების მიერ საწევრო შესატანის გადაუხდელობის შესახებ, ხელაღებითი გადაწყვეტილებით გამოუცხადა საყვედური ერთბაშად 10 კომკავშირელს; ამასთან დამახასიათებელია, რომ ამ კრებას დაესწრო ამულ მხოლოდ 8 კომკავშირელი, რომლებმაც 10 კომკავშირელს გამოუცხადეს საყვედური. ეს თითქოს ანეგდოტია, მაგრამ ნამდვილად კი, სამწუხაროდ, ჯიუტი ფაქტია.

მოყვანილი ფაქტები საკმაოდ ცხადჰყოფენ იმას, რომ აფხაზეთის მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში შიდაკომკავშირული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

იმისათვის, რათა აღმოფხვრილ იქნას ნაკლოვანებანი და მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ კომკავშირის არცერთი ცუდად მომუშავე პირველადი ორგანიზაცია არ არსებობდეს, აუცილებელია კომკავშირის ყველა ხელმძღვანელმა მუშაკებმა უკლებლივ თვითონ იმუშაონ სრული დატვირთვით, ბოლშევიკური აღგზნებით და მეტი მოთხოვნა წაუყენონ თავისთავს და ყველას, ვინც მათ ექვემდებარება.

მაგრამ უხეში შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლისათვის პასუხისმგებელნი მხოლოდ კომკავშირული მუშაკები არიან. ჩვენი პარტიული მუშაკებიც ადგილებზე პასუხისმგებელნი არიან ამ ნაკლისათვის.

კომკავშირის ძლიერებისა და სიმტკიცის წყარო მუდამ იყო და არის პარტიული ხელმძღვანელობა. პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია კომკავშირის მუშაობაში. მხოლოდ ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია კომკავშირს ღირსეულად შეასრულოს კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის თავისი ძირითადი ამოცანა.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა ამა წლის ოქტომბერში ჩაატარა საოლქო პარტიული თათბირი, რომელზეც განიხილა საკითხი კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ზომების შესახებ. გამოამჟღავნა რა კომკავშირულ მუშაობაში და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დაყენებაში მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ზომების შესახებ. ეს დადგენილება განხილულ იქნა საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებში, რომლებმაც თავის მხრივ სათანადო ღონისძიებანი დასახეს პარტიის საოლქო კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

უკანასკნელ დროს აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელნიც საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებას ახორციელებენ, შესამჩნევად გააძლიერეს დახმარება კომკავშირისადმი და ამაღლებენ მისადმი ხელმძღვანელობის დონეს. მაგრამ ეს უმნიშვნელოვანესი საქმე არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ხანმოკლე კამპანია. საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე პრაქტიკულად და სერიოზულად იმუშაონ ყოველდღიურად. პარტიის რაიონული კომიტეტები დაუღალავად უნდა ხელმძღვანელობდნენ კომკავშირის რაიონული კომიტეტების მუშაობას, გულისხმიერებით, ყურადღებით უნდა უსმენდნენ კომკავშირულ მუშაკებს, უნდა ეხმარებოდნენ მათ კომკავშირის მუშაობაში არსებულ ნაკლთა გამომჟღავნებისა და აღმოფხვრის საქმეში.

მთელ კომკავშირულ მუშაობას უნდა ხელმძღვანელობდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები. ისინი ვალდებულნი არიან მზრუნველობით აღზარდონ კომკავშირული კადრები. ეს შეადგენს სწორედ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების გადაუდებელ ამოცანას.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები სისტემატურად აწვდიდნენ კომკავშირულ აქტივს ინფორმაციას პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, ატარებდნენ საუბრებს კომკავშირის აქტივთან, რეგულარულად აწყობდნენ თათბირებს კომკავშირული მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე.

ახლახან აფხაზეთის კომკავშირულ ორგანიზაციებში, ისე როგორც მთელს საქართველოში, ჩატარდა კომკავშირული კომიტეტების საანგარიშო მოხსენებები და არჩევნები. ისინი ჩატარდა საქმიანად და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. კომკავშირული კომიტეტების ანგარიშებისა და არჩევნების შედეგად ორგანიზაციათა უმრავლესობის ხელმძღვანელობა ახალმა აქტივმა აიღო ხელში. პარტიულმა ორგანიზაციებმა დახმარება უნდა გაუწიონ ახალ კომკავშირულ აქტივს გამოვლინებულ ნაკლთა აღმოფხვრის საქმეში.

კომკავშირის აფხაზეთის ორგანიზაციამ საქართველოს მთელ კომკავშირთან ერთად სტალინური სტილის მუშაობის შესანიშნავი სკოლა გაიარა დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ხელმძღვანელობით.

ეჭვს გარეშეა, რომ ახალი ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში საქართველოს კომკავშირი ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, რომელთაც **ლენინ-სტალინის** პარტიის დიადი უძლეველი დროშა მაღლა უჭირავთ, მზად არიან მომავალშიც პირნათლად შეასრულონ ბელადის, სარდლის, საბჭოთა ახალგაზრდობის მამის მშობლიური და საყვარელი **სტალინის** ყოველი დავალება.

გ. ნანიტაშვილი

სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების ლენინურ-სტალინური თეორია

I

თავდაპირველად ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორიის ცენტრალური საკითხია.

ამიტომ ამ საკითხის დამუშავებას ჩვენი პარტია და მისი ბელადები ლენინი და სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ. მაგრამ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორიის დამუშავება განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იღებს 1925-1926 წლებში—პირველი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტით და სამოქალაქო ომით გაჩანაგებული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დამლევს.

რით აიხსნება ეს? რატომ სწორედ ამ პერიოდში დაისვა მთელი ძალით ერთ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი?

ეს აიხსნება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო ვითარების თავისებურებებით 1925-1926 წლებში.

ამ პერიოდის **პირველი თავისებურება** ის იყო, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში დაიწყო ომისშემდგომი რევოლუციური ტალღის უკუქცევა, დაიწყო კაპიტალიზმის დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაცია. დასავლეთის ქვეყნებში რევოლუციური ტალღები მნიშვნელოვნად შენელდა. კაპიტალიზმმა, გამცემელი სოციალ-დემოკრატების დახმარებით, მოახერხა დროებით ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა, თავი დაეღწია მწვავე სამეურნეო კრიზისისათვის და რამდენადმე გამოესწორებინა თავისი მდგომარეობა.

აქედან კითხვა—რა გავლენა უნდა იქონიოს საერთაშორისო მდგომარეობის ამ ცვლილებამ სოციალიზმის მშენებლობაზე ჩვენს ქვეყანაში? შეიძლება თუ არა შევინარჩუნოთ ძალაუფლება, თუ მსოფლიო რევოლუცია იგვიანებს? შეიძლება თუ არა გადავლახოთ დამატებითი სიძნელეები, რომლებიც უთუოდ გამომდინარეობენ კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციიდან? შეიძლება თუ არა გავუმკლავდეთ რამდენადმე გაძლიერებულ კაპიტალიზმს? შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში?

ამ პერიოდის **მეორე თავისებურება** ის იყო, რომ მაშინ ვიმყოფებოდით ახალი ეკონომიური პოლიტიკის ჯერ კიდევ პირველ სტადიაში, როცა ჩვენი სოციალისტური მეურნეობის სწრაფად ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად სწარმოებდა, თუმცა უფრო ნაკლები სისწრაფით, ახალი ბურჟუაზიის ზრდა, კულაკობის ზრდა. ჩვენ მაშინ კიდევ ვერ ვეწეოდით ფართო შეტევას

კაპიტალიზმზე. ჩვენ ვახორციელებდით ძალთა გადაჯგუფებას ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე უკანდახევის შემდეგ.

აქედან კითხვა—საშიში ხომ არ არის ბურჟუაზიის აბსოლუტური ზრდა სოციალიზმის მშენებლობისათვის? მით უმეტეს, რომ არსებობს ერთგვარი წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და გლეხობას შორისაც, გლეხობა კი უმრავლესობას შეადგენს ჩვენს ქვეყანაში. შეიძლება თუ არა სიძნელეთა დაძლევა? შეიძლება თუ არა საერთოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე სოციალიზმის აშენება?

ამ პერიოდის **მესამე თავისებურება** ის იყო, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა უახლოვდებოდა 1913 წლის დონეს, ომამდელ დონეს, განიცდიდა შემობრუნების მომენტს, აღდგენიდან რეკონსტრუქციაზე გადასვლის მომენტს.

აქედან კითხვა—რა მიმართულებით გარდავქმნათ სახალხო მეურნეობა, რა მიმართულებით მოვახდინოთ მისი რეკონსტრუქცია, რით დავიწყოთ, რას მოვკიდოთ ხელი, რა მიზანი დავისახოთ, რა ძალები მოგვეპოვება, გვეყოფა თუ არა ეს ძალები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ასაშენებლად სხვისი პირდაპირი დახმარების გარეშე?

ახალი ვითარება მოითხოვდა პირდაპირ პასუხს ყველა ამ კითხვაზე. საჭირო იყო გარკვეული პასუხი კითხვაზე—რა არის ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის მიზანი?

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენ ვძლიეთ კაპიტალისტები და მემამულეები **პოლიტიკურად**, დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა, შევქმენით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკური საფუძველი. სამოქალაქო ომის დროს ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს, მრავალმილიონიანი გლეხობის დახმარებით შეუძლია არა მარტო ძალაუფლების მოპოვება, არამედ გარეშე და შინაგანი მტრებისაგან მისი ბრწყინვალედ დაცვაც.

ახლა საჭირო იყო პასუხის გაცემა კითხვაზე—შეგვიძლია თუ არა ასეთივე წარმატებით ვძლიოთ ბურჟუაზიას **ეკონომიურად**, შეგვიძლია თუ არა ავაგოთ სოციალიზმის ეკონომიური საფუძველი, საბოლოოდ ჩავუყაროთ სოციალისტურ ეკონომიკას.

აი რატომ მოიპოვა ჩვენი მშენებლობის პერსპექტივების საკითხმა გადამწყვეტი მნიშვნელობა. აი რატომ წამოიჭრა მთელი ძალით ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი ამ პერიოდში.

II

ზემოთ ვთქვით, რომ პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და მისი ცენტრალური საკითხის—ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის დამუშავება მუდამ იდგა ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადების—ლენინისა და სტალინის ყურადღების ცენტრში.

ჯერ კიდევ 1905 წელს, ანალიზს უკეთებდა რა რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს, ლენინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში უნდა გადაიზარდოს სოციალისტურ რევოლუციაში, რომ ძირითად მამოძრავებელ ძალებს, რომლებზეც დამოკი-

დებულია რუსეთის რევოლუციის როგორც პირველი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეტაპის, ისე მეორე, სოციალისტური ეტაპის გამარჯვება, წარმოადგენენ მისი შინაგანი ძალები—პროლეტარიატი, როგორც რევოლუციის ჰეგემონი და გლეხობის მრავალმილიონიანი მასები, როგორც პროლეტარიატის ძირითადი მოკავშირე.

ლენინი, როგორც აღნიშნულია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში", მაშინ კიდევ არ იყო მისული პირდაპირ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად ერთ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ მისი მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ, მისი ანალიზი რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისა, მისი რწმენა პროლეტარიატისა და გლეხობის ძალებისადმი უკვე იძლეოდა ყველა საფუძველს იმისათვის, რომ ადრე თუ გვიან გაკეთებულიყო ასეთი დასკვნა.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ლენინური თეორიის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გაილაშქრეს რუსეთის მენშევიკებმაც, ტროცკისტებმაც და მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმაც.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ობიექტური წინაპირობების უარყოფა, მომავალ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფა, იმის უარყოფა, რომ პროლეტარიატს უნარი შესწევს გაიყოლიოს მრავალმილიონიანი გლეხობა, გლეხობის რევოლუციურ შესაძლებლობათა უარყოფა, მისი გამოცხადება მთლიან რეაქციულ მასად—აი რა აერთიანებდა ყველა ამ ანტილენინურ მიმდინარეობას. რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისადმი რწმენის უქონლობა—აი ყველა ამ მიმდინარეობათა საფუძველი.

ლენინიზმის მტრები ჯერ კიდევ პირდაპირ არ უარჰყოფდნენ, რომ პროლეტარიატს საერთოდ შეუძლია მოახდინოს რევოლუცია, მაგრამ ისინი უარჰყოფდნენ ყველაზე რევოლუციური პროლეტარიატის — რუსეთის პროლეტარიატის ძალებს, რომელსაც მაშინ ისეთი მძლავრი მოკავშირე ჰყავდა, როგორიც იყო რუსეთის გლეხობა.

მეორე დიდი ნაბიჯი პროლეტარული რევოლუციის თეორიის განვითარებაში ლენინმა გადადგა 10 წლის შემდეგ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში. ლენინი ანალიზს უკეთებდა იმპერიალიზმს, როგორც კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიას, და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაშიც კი და რომ შეუძლებელია სოციალიზმის ერთდროულად გამარჯვება ყველა ქვეყანაში.

ეს იყო, როგორც აღნიშნავს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", პროლეტარული რევოლუციის ახალი, დამთავრებული თეორია, პროლეტარული რევოლუციის მარქსისტული თეორიის შემდგომი განვითარება და გამდიდრება.

ამ ახალი, ლენინური თეორიის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გაილაშქრა მუშათა კლასისადმი მტრულმა ყველა მიმდინარეობამ. ტროცკიმ ლენინის

თეორიას „ნაციონალური შეზღუდულობის“ თეორია უწოდა. მენშევიკები, მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტები ლენინს ბრალს სდებდნენ მარქსიზმიდან გადახვევაში, მარქსიზმის რევიზიაში.

ლენინური თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ გზის გამშუქებელი გახდა ჩვენი პარტიისათვის, მთელი რევოლუციური მოძრაობისათვის, ხოლო ამ შესაძლებლობის უარყოფა მუშათა კლასისა და მისი პარტიისადმი ყველა მტრულ დაჯგუფებათა და მიმდინარეობათა დროშა გახდა.

ავიღოთ, მაგალითად, ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდი. თავის პირველსავე წერილებში თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლენინი აყენებდა რევოლუციის პირველი ეტაპიდან მის მეორე ეტაპზე გადასვლის ამოცანას. ლენინის აპრილის თეზისები იმავე აზრს ავითარებდნენ. ისინი აძლევდნენ პარტიას ახალ კურსს, სოციალისტური რევოლუციის კურსს. ოქტომბრის მთელი მომზადება მიმდინარეობდა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის ლენინური თეორიის დროშით.

მენშევიკებმა, ზინოვიევმა, კამენევმა, რიკოვმა და მუშათა კლასის სხვა მტრებმა და გამცემლებმა მაშინვე გააჩაღეს ბრძოლა ლენინური ხაზის წინააღმდეგ. ისინი ამბობდნენ, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა სოციალისტური რევოლუციისათვის, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია, რომ კურსი პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ავანტიურისტული კურსია, ბლანკიზმია, რომ სოციალისტური რევოლუცია დასავლეთში უნდა დაიწყოს და არა რუსეთშიო და სხვა და სხვა.

ლენინი და სტალინი ულმობლად ანადგურებდნენ კაპიტულანტებსა და რწმენანაკლებთ, რომელნიც ბოლშევიკური პარტიის რიგებში შემოძვრნენ და აპრილის კონფერენციაზე სოციალისტური რევოლუციის კურსის წინააღმდეგ გაილაშქრეს. პარტიამ საკადრისი პასუხი გასცა კაპიტულანტებს—კონფერენციაზე ლენინურმა ხაზმა გაიმარჯვა. პარტიის VI ყრილობაზე კაპიტულანტებმა კვლავ სცადეს სწორი გზიდან გადაეხვევინებინათ პარტიისათვის. ამხანაგმა სტალინმა მათი ეს ცდებიც გააცამტვერა და უზრუნველჰყო ლენინური ხაზის გამარჯვება. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ რუსეთის მუშათა კლასს შეუძლია გაიმარჯვოს, რომ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა რუსეთიდან დაიწყოს სოციალისტური რევოლუცია და არა დასავლეთიდან, რომ რუსეთის პროლეტარიატს შეუძლია გზა უჩვენოს დასავლეთის პროლეტარიატს. ყრილობაზე ლენინ-სტალინის ხაზმა გაიმარჯვა—პარტია ოქტომბრის აჯანყების მომზადების კურსს დაადგა.

იმ დროს, როცა პარტია ოქტომბრის აჯანყებას ამზადებდა, კაპიტულანტები და შტრეიკბრეხერები კამენევი და ზინოვიევი, რომლებიც გამოდიოდნენ „თავიანთი“ თეორიიდან რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ აჯანყების საქმე, გაეცათ იგი, დახმარებოდნენ რევოლუციის მტრებს.

პარტიამ ლენინისა და სტალინის მეთაურობით დასძლია შტრეიკბრეხერების მთელი წინააღმდეგობა და სოციალისტური რევოლუციისაკენ წაიყვანა

პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა. პარტიამ გაიმარჯვა. მან საქმით დაამტკიცა, რომ ერთი ქვეყნის, ჩვენი ქვეყნის ძალებით შესაძლებელია ძალაუფლების ხელში აღება.

ავიღოთ შემდგომი, ბრესტის ზავის პერიოდი, მშვიდობისათვის, შესვენებისათვის ბრძოლის პერიოდი. ეს ის პერიოდი იყო, როცა მეფის ძველი არმია დაირღვა, ხოლო ახალი საბჭოთა არმია ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ასეთ მომენტში გერმანელი ინტერვენტების შემოტევა დაღუპვას უქადდა საბჭოთა ხელისუფლებას. საჭირო იყო ერთგვარი მსხვერპლის გაღება, იმპერიალისტებისადმი ზოგიერთ დათმობაზე წასვლა, რათა მიგვეღწია ზავისათვის, მოგვეპოვებინა შესვენება, მოგვეგო დრო, შეგვექმნა არმია და შემდეგ გაგვეწია გადამწყვეტი წინააღმდეგობა მტრებისათვის. ასეთი იყო ლენინისა და სტალინის თვალსაზრისი.

რევოლუციის მტრებმა ტროცკიმ, ბუხარინმა და სხვა ეგრეთწოდებულმა „მემარცხენე კომუნისტებმა“ გაილაშქრეს ლენინურ-სტალინური ხაზის წინააღმდეგ, გაილაშქრეს ზავის დადების წინააღმდეგ, გამოვიდნენ ომის განგრძობის სასარგებლოდ. ეს ნიშნავდა აშკარა დაღუპვაზე წასვლას, მაგრამ გამცემლებს ნაკლებად აკრთობდა მოპოვებული ძალაუფლების დაკარგვა, ვინაიდან მათ მიაჩნდათ, სულ ერთია მაინც არაფერი გამოვა, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელიაო. „მემარცხენე კომუნისტები“ პირდაპირ სწერდნენ, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებს შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობაზე წავიდეთო. კაპიტულანტები და პორაჟენცები საერთაშორისო რევოლუციაზე მალალფარდოვანი ფრაზებით ფარავდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისადმი რწმენის უქონლობას.

ტროცკის, ბუხარინის და სხვ. გამცემლური მოქმედება ბრესტის მოლაპარაკების დროს ძვირად დაუჯდა საბჭოთა ქვეყანას. ჩვენ დამატებით დავკარგეთ მთელი რიგი ტერიტორიები. მაგრამ პარტიამ მაინც გაიტანა თავისი: ზავი, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიდო. ჩვენ მივიღეთ შესვენება და შევინარჩუნეთ მთავარი მონაპოვარი — საბჭოთა ხელისუფლება.

პარტიამ საქმით დაამტკიცა, რომ ჩვენი ქვეყნის ძალებით არა მარტო შეიძლება ძალაუფლების მოპოვება, არამედ შეიძლება მისი დაცვაც მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში.

ამრიგად, საბჭოთა ქვეყნის განვითარების ყოველ ეტაპზე პარტია მთელ თავის მოქმედებაში გამოდიოდა ლენინურ-სტალინური თეორიიდან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ხოლო პარტიის მოწინააღმდეგენი პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის გამოდიოდნენ თავიანთი რეაქციული თეორიიდან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ლენინი უკვე პრაქტიკის საფუძველზე ავითარებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორიას, ამუშავებდა სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტულ გზებს, ნერგავდა გამარჯვების რწმენას.

1919 წელს ბროშურაში „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში“ ლენინი სწერდა, რომ „პროლეტარიატის დიქტა-

ტურის ძირითადი ეკონომიური ამოცანის თვალსაზრისით ჩვენში უზრუნველყოფილია კომუნიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე".

1921 წელს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისას ლენინი ამბობდა, რომ „ეკონომიურად და პოლიტიკურად ნეპი სავსებით უზრუნველჰყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების შესაძლებლობას". 1922 წელს მოსკოვის საბჭოს პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინი ამბობდა, რომ „ნეპური რუსეთი გადაიქცევა სოციალისტურ რუსეთად". ხოლო, 1923 წელს ბროშურაში „კოოპერაციის შესახებ" ლენინი სწერდა, ჩვენ გვაქვს ყოველივე აუცილებელი სრული სოციალისტური საზოგადოების ასაგებად.

ლენინმა მიგვითითა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის მრეწველობის განვითარებას, სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, კოოპერაციის განვითარებას, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას.

ლენინის ყველა ეს მითითება ამხანაგმა სტალინმა გააერთიანა ერთი საერთო ფორმულით ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ. ამხანაგ სტალინის ეს ფორმულა დაუდო საფუძვლად თავის რეზოლუციას XIV პარტიულმა კონფერენციამ 1925 წლის აპრილში. კონფერენციამ პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულო პარტიული კანონის ძალა მიაწიჭა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინურ-სტალინურ თეორიას.

ასეთია მოკლედ ისტორია საკითხისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ 1925 წლამდე.

რას გვიჩვენებს ეს ისტორია?

ის უწინარეს ყოვლისა გვიჩვენებს იმას, რომ თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ უაღრესად დასაბუთებული ლენინურ-სტალინური თეორიაა, რომლის წინააღმდეგ მუდამ ეწეოდნენ ბრძოლას ოპორტუნისტები, მუშათა კლასის საქმის გამცემლები ტროცკისტები, ბუხარინელები და სხვ.

შემდეგ, ის გვიჩვენებს, რომ ლენინის აზრები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ „შემთხვევითი სიტყვებ" როდია, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობდნენ ტროცკისტები, მსგავსად მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტებისა, რომლებიც ამბობდნენ, პროლეტარიატის დიქტატურა მარქსის მოძღვრებაში „შემთხვევითი სიტყვაა", —არამედ პროლეტარული რევოლუციის ახალი მწყობრი თეორია, პროლეტარული რევოლუციის თეორიის ცენტრალური პუნქტი.

ბოლოს ის გვიჩვენებს, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინური თეორია მტკიცედ დაიცვა და შემდგომ განავითარა ამხანაგმა სტალინმა.

III

მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონები და მეცნიერულად დაამტკიცეს მისი დაღუპვის გარდუვალობა, კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობა.

მარქსმა და ენგელსმა დაამტკიცეს, რომ კაპიტალიზმი ჰქმნის არა მარტო თავისი დაღუპვის ობიექტურ პირობებს, არამედ წარმოშობს თავის მესაფლავე პროლეტარიატსაც, რომელიც იმისათვის, რომ ააგოს კომუნიზმი, თავდაპირველად ამყარებს თავის დიქტატურას.

მარქსმა და ენგელსმა დაამტკიცეს, რომ ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ ძალდატანებითი პროლეტარული რევოლუციით, რომლის ხელმძღვანელიც პროლეტარიატია.

მარქსმა და ენგელსმა დაამტკიცეს, რომ თანამედროვე საზოგადოების კლასებიდან ყველაზე მოწინავე რევოლუციური კლასია პროლეტარიატი, რომ პროლეტარული რევოლუციის მთავარი გადამწყვეტი ძალა პროლეტარიატია.

მარქსი და ენგელსი გამოსთქვამდნენ აგრეთვე იმ აზრს, რომ აუცილებელია გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შეხამება პროლეტარულ რევოლუციასთან, გამოსთქვამდნენ აზრს განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ, განსაზღვრულ პირობებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ.

ეს ძირითადი დებულებები საფუძვლად უდევს პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინურ თეორიას. მაგრამ პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორია ამით როდი ამოიწურება. ლენინმა და სტალინმა შემდგომ განავითარეს პროლეტარული რევოლუციის თეორია კაპიტალიზმის განვითარების ახალი პერიოდისა და კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილების შესაბამისად.

ახალი რა შეიტანა ლენინმა პროლეტარული რევოლუციის თეორიაში?

ლენინმა შეიტანა პროლეტარული რევოლუციის თეორიაში ახალი მომენტი „როგორც სოციალისტური რევოლუციის **სავალდებულო** მომენტი,—პროლეტარიატისა და ქალაქისა და სოფლის ნახევრადპროლეტარული ელემენტების კავშირი, როგორც პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების **პირობა**“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 90). ამ თეორიის მიხედვით სოციალისტურ რევოლუციას ახორციელებს არა იზოლირებული პროლეტარიატი მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ „პროლეტარიატი—ჰეგემონი, რომელსაც ჰყავს **მოკავშირეები** მოსახლეობის ნახევრადპროლეტარული ელემენტების სახით, მილიონობით „მშრომელი და ექსპლუატირებული მასების სახით“ (იქვე, გვ. 91).

ლენინმა აღმოაჩინა შესაძლებლობა სოციალიზმის გამარჯვებისა თავდაპირველად ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. „ეს იყო სოციალისტური რევოლუციის **ახალი**, დამთავრებული თეორია, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის, მისი გამარჯვების პირობების, მისი გამარჯვების პერსპექტივების თეორია, თეორია, რომლის საფუძვლებიც ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს დასახა ბროშურაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ (იქვე, გვ. 205).

რით აიხსნება ამ ახალი მომენტების შეტანა სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ თეორიაში? ხომ არ შესცდნენ მარქსი და ენგელსი, როცა

უარჰყოფდნენ ცალკე აღებულ ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას?

რა თქმა უნდა, არა.

საქმე ის არის, რომ მარქსი და ენგელსი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ კაპიტალიზმის განვითარების ადრინდელ პერიოდში, როცა სხვა პირობები იყო, ხოლო ლენინი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შემდგომ პერიოდში, იმპერიალიზმის პერიოდში, როცა პირობები შეიცვალა.

საქმე ის არის, რომ მარქსისა და ენგელსის დროს კაპიტალიზმი საერთოდ და მთლიანად კიდევ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, როცა ჯერ კიდევ გამწვავებული არ იყო კაპიტალიზმის გარეგანი და შინაგანი წინააღმდეგობანი, როცა კაპიტალისტური სისტემა მთლიანად კიდევ არ იყო დრომოჭმული, როცა სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტებს შედარებით ადვილად შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ ერთი რომელიმე ქვეყნის ჯერ კიდევ შედარებით სუსტი პროლეტარიატის წინააღმდეგ, თუ ამ ქვეყნის პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციის დროშას ააფრიალებდა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში სოციალიზმის გამარჯვება ცალკე აღებულ ამა თუ იმ ქვეყანაში შეუძლებელია, რომ ასეთ პირობებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა ყველა ან უმთავრესი ქვეყნების პროლეტარების ძალების შეერთება.

საქმე ის არის, რომ ლენინისა და სტალინის დროს კაპიტალიზმმა მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს სტადიას, როცა კაპიტალიზმი საერთოდ და მთლიანად დაღმავალი ხაზით მიდის, როცა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობანი მისულია უკიდურეს ზღვრამდე, როცა მთლიანად კაპიტალისტური სისტემა საერთო კრიზისს განიცდის, როცა უაღრესად გაძლიერდა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედება და იმპერიალისტური ომები აუცილებელი გახდა, როცა ერთ ქვეყანაში გამარჯვებული რევოლუციის წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტების გაერთიანება უაღრესად გაძნელებულია, როცა პროლეტარიატი განმტკიცდა, თავისი პარტია შეჰქმნა, შეიძინა მოკავშირენი ქვეყნის შიგნით, გაადიდა ინტერნაციონალური კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან, ყველა ქვეყნის ჩაგრულ ხალხებთან. ცხადია, რომ ასეთ პირობებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად ერთ ქვეყანაში შესაძლებელი ხდება.

ახალმა ეპოქამ, იმპერიალიზმის ეპოქამ შეჰქმნა ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ობიექტური შესაძლებლობა. ლენინმა, რომელმაც მარქსისტული ანალიზი გაუკეთა იმპერიალიზმს, აღმოაჩინა ეს შესაძლებლობა და ახალი თეორიით შეაიარაღა პარტია და მუშათა კლასი.

ვისაც არ ესმის ღრმა განსხვავება იმპერიალიზმამდელ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის, იგი ვერ გაიგებს, თუ რატომ არის, რომ მხოლოდ იმპერიალიზმის პერიოდში იქმნება ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა.

„ვინც უარჰყოფს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას (ერთ ქვეყანაში,—ბ. ნ.), იგი იძულებულია დუმილით აუაროს გვერდი იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონის მნიშვნელობას, ხოლო ვინც იძულებულია დუმილით აუაროს გვერდი უთანაბრობის კანონის მნიშ-

ვნელობას, მას არ შეუძლია არ მიაფუჩეჩოს იმპერიალიზმამდელ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის არსებული განსხვავება" (ი. სტალინი, „კიდევ ერთხელ სოციალ-დემოკრატიულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში", გვ. 133).

როგორია იმპერიალიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები?

ჯერ-ერთი, — საფინანსო კაპიტალის ბატონობა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მთელი კაპიტალისტური სისტემის პარაზიტული ხასიათის გაძლიერება, კაპიტალისტური ჩაგვრის უმაგალითო ზრდა და ამის პარალელურად პროლეტარიატის აღშფოთების ზრდა, რევოლუციური აფეთქების ელემენტების ზრდა შინაგან ფრონტზე, შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლის ფრონტზე.

მეორე, — კაპიტალის გატანის გაძლიერება ნედლეულის წყაროებისაკენ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, რაც კაპიტალიზმს აქცევს საფინანსო დამონების მსოფლიო სისტემად, როცა „მოწინავე" ქვეყნების მცირე ჯგუფი ჩაგრავს დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას. ამის პარალელურად მიმდინარეობს რევოლუციური კრიზისის გამწვავება კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ აღშფოთების ზრდა და განმათავისუფლებელი ომის გაძლიერება, მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის ბრძოლის ფრონტზე აფეთქების მოახლოება.

მესამე, — „გავლენის სფეროების" მონოპოლიური მფლობელობის სურვილი, გაუნაწილებელი მიწა-წყლის არარსებობა, კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის გაძლიერება, მათ შორის წინააღმდეგობათა გაძლიერება, იმპერიალისტური ომების აუცილებლობა.

ამრიგად, უკიდურეს ზომამდე მწვავდება წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, მეტროპოლიის კაპიტალისტებსა და კოლონიურ ხალხებს შორის, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ეს წინააღმდეგობანი შინაგანად აუძლურებენ იმპერიალიზმს, ხოლო კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის სამხედრო შეტაკებათა აუცილებლობა აადვილებს იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვის გაწყვეტას ყველაზე სუსტ რგოლში. „წინააღმდეგობათა ზრდა ფინანსიური ჩაგვრის მსოფლიო სისტემის შიგნით და შეიარაღებულ შეტაკებათა გარდუვალობა იწვევს იმას, რომ იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტი რევოლუციის მხრივ ადვილად დასაზიანებელი ხდება, ხოლო ამ ფრონტის გარღვევა ცალკე ქვეყნების მხრით—შესაძლებელი ხდება". (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 103).

სამხედრო შეტაკებათა გარდუვალობა, იმპერიალისტური ფრონტის შესუსტება და აქედან ცალკეულ ქვეყნებში მისი გარღვევის შესაძლებლობა უშუალოდ დაკავშირებულია იმპერიალიზმის ტროს კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონთან. ეს კანონი ლენინმა აღმოაჩინა. ამ კანონის სწორად გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ლენინიზმის მტრები—ტროცკისტები, ზინოვიეველები და ყველა ისინი, ვინც უარჰყოფდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას, — ცდილობდნენ უწინარეს ყოვლისა დაემახინჯებინათ იმპერიალიზმის დროს კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონის აზრი. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ განვითარების უთანაბრობა იმპერია-

ლიზმამდე უფრო მეტი იყო, ვიდრე იმპერიალიზმის პერიოდში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ განვითარების დონის მხრივ მანძილი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის იმპერიალიზმის დროს უფრო ნაკლები გახდა, რომ ეს თითქოს უარჰყოფს განვითარების უთანაბრობის კანონს. ამხანაგმა სტალინმა საკადრისი პასუხი გასცა ლენინიზმის მტრების გამოსვლებს. მან ცხადჰყო ამ კანონის ნამდვილი აზრი. უთანაბრობის კანონი არ ნიშნავს განსხვავებას ცალკეული ქვეყნების განვითარების დონეში; ცხადია, რომ დონის მხრივ განსხვავება მართლაც ნაკლები ხდება, ვიდრე წინათ იყო. უთანაბრობის კანონი არ ნიშნავს აგრეთვე ჩვეულებრივ განსხვავებას ცალკეული ქვეყნების განვითარების ტემპებში; ასეთი განსხვავება წინათაც არსებობდა.

უთანაბრობის კანონი ნიშნავს ქვეყნებს შორის ისეთ განსხვავებას განვითარების ტემპებში, რომელიც ნახტომისებრ ხასიათს იღებს სწორედ გაძლიერებული ნიველირებისა და ტექნიკის უმაგალითო განვითარების საფუძველზე. უთანაბრობის კანონი ნიშნავს, რომ მსოფლიო უკვე განაწილებულია იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის, რომ აღარ არის თავისუფალი მიწა-წყალი, რომ კოლონიებისა და გავლენის სფეროების გასაფართოებლად საჭიროა ურწინარეს ყოვლისა ძალა.

უთანაბრობის კანონი ნიშნავს, რომ ერთი რიგი ქვეყნების მიერ მეორეთათვის ნახტომისებრი გასწრება სისტემატურად წარმოშობს შეურიგებელ წინააღმდეგობას ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების ძველ განაწილებასა და ძალთა ახალ თანაფარდობას შორის, რაც აუცილებელს ხდის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის კონფლიქტებს, კატასტროფებს, იმპერიალისტურ ომებს.

ცხადია, რომ ასეთი უთანაბრობა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალიზმამდელ პერიოდში, რომ მან მოქმედება იწყო მხოლოდ იმპერიალიზმის დროს.

ამრიგად, ახალ პირობებთან დაკავშირებით საჭირო იყო სოციალისტური რევოლუციის საკითხებისადმი მიდგომის შეცვლაც. ეს ამოცანა შეასრულეს ლენინმა და სტალინმა. სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორია იმას ემყარება, რომ იმპერიალიზმის პერიოდში მთლიანად კაპიტალისტური სისტემა მომწიფდა მის შესაცვლელად სოციალიზმით, რომ სოციალისტური რევოლუციის ობიექტური წინაპირობები უკვე არსებობს. ცალკეული ქვეყნების შედარებითი ჩამორჩენა კაპიტალისტური განვითარების მხრივ უკვე აღარ შეიძლება იყოს იმის მტკიცების საბუთი, რომ ეს ქვეყანა მოუმწიფებელია სოციალისტური რევოლუციისათვის.

პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინურმა თეორიამ დაამტკიცა, რომ იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი გაწყდება ყველაზე სუსტ რგოლში და არა აუცილებლად იქ, სადაც კაპიტალიზმი ყველაზე მეტად არის განვითარებული.

ეს თეორია არღვევს შეხედულებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის ჩინური კედლის არსებობის შესახებ და ამტკიცებს ახალი პირობების ძალით პირველის მეორედ გადაზრდის შესაძლებლობას და სათანადო პირობებში აუცილებლობასაც.

პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორია ერთ ქვეყანაში რევოლუციის ძალას განიხილავს როგორც არა მარტო ამ ქვეყნის პროლეტარიატის ძალას, არამედ, როგორც ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ძალას, მათი ურთიერთკავშირისა და დახმარების ძალას, პროლეტარიატის ძლიერი მოკავშირეების — გლეხობისა და კოლონიური ხალხების ძალას.

ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარეობს პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორიის მთავარი დასკვნა: შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში და შეუძლებელია სოციალიზმის ერთდროული გამარჯვება ყველა ქვეყანაში.

IV

პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორია შემოწმებულია ცხოვრებით, პრაქტიკით. დიდი ოქტომბრის რევოლუცია ამ გენიალური თეორიის განხორციელების კლასიკური მაგალითია. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვში ყველაზე სუსტი რგოლი აღმოჩნდა რუსეთი. ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც კაპიტალისტური განვითარების მხრივ ყველაზე მოწინავე ქვეყანა რომ იყო, პირველმა გაგლიჯა მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვი და დაიწყო მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ეპოქა.

მაგრამ ძალაუფლების დაპყრობა პროლეტარული რევოლუციის მხოლოდ დასაწყისია. პროლეტარული რევოლუციის შინაარსს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა. პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე დგება უდიდესი ამოცანები, რომელთა გადაჭრა მთელ ეპოქას მოითხოვს. ეს ამოცანები სოციალიზმის აშენების ამოცანებია. შეუძლია თუ არა ერთ ქვეყანას ამ ამოცანების გადაჭრა? რა არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა?

ეს არის, **უწინარეს ყოვლისა,** ერთ ქვეყანაში მოპოვებული ძალაუფლების დაცვის შესაძლებლობა, ქვეყნის შიგნით დამარცხებული ექსპლოატატორული კლასებისა და მათი დამხმარეების — ინტერვენტების პოლიტიკური წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობა, ბურჟუაზიის პოლიტიკური დაძლევის შესაძლებლობა.

მეორე,—ეს არის დამხობილი, მაგრამ არა საბოლოოდ დამარცხებულ, ბურჟუაზიის ეკონომიური წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობა, პროლეტარიატის დიქტატურის მიერ ეკონომიური მბრძანებელი მწვერვალების დაუფლების და სათანადოდ გამოყენების შესაძლებლობა.

მესამე, — ეს არის იმის შესაძლებლობა, რომ შინაგანი ძალებით დაძლეულ იქნას პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებული წინააღმდეგობანი.

მეოთხე, — ეს არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევის შესაძლებლობა, მისი საშუალებით დამოუკიდებელ, ძლიერ, თავდაცვისუნარიან, კულტურულ, მდიდარ ქვეყნად გადაქცევის შესაძლებლობა.

დასასრულ,—ეს არის იმის შესაძლებლობა, რომ ერთი ქვეყნის ძალებით, სხვა ქვეყნების პროლეტარიატის და ყველა მშრომელთა თანაგრძნობითა და დახმარებით აგებულ იქნას სრული სოციალისტური საზოგადოება, საზოგადოება, სადაც არ არიან კლასები, სადაც არ არის ექსპლოატაცია.

მაგრამ არის ერთი ჯგუფი წინააღმდეგობებისა, რომელთა დაძლევა შეუძლებელია ერთი ქვეყნის ღონისძიებებით. ეს არის წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებსა და სოციალიზმის ქვეყანას შორის, წინააღმდეგობანი, რომლებიც იარსებებენ მანამდე, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ხოლო სანამ არსებობენ ეს წინააღმდეგობანი, მანამდე არსებობს ინტერვენციის შედეგად სოციალიზმის დროებითი დამარცხების შესაძლებლობაც.

მაშასადამე, უნდა განვასხვავებდეთ წინააღმდეგობათა ორ ჯგუფს — შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებიც შეიძლება დაძლეულ იქნას ერთი ქვეყნის ძალებით, და საგარეო წინააღმდეგობებს, რომელთა გადასაჭრელად არ კმარა ერთი ქვეყნის ღონისძიებანი, არამედ საჭიროა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება რამდენიმე წამყვან ქვეყანაში მაინც.

ამ სტალინურ მოძღვრებას წინააღმდეგობათა ორი ჯგუფის და მათი დაძლევის მეთოდების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობისათვის. პირველი რიგის წინააღმდეგობათა დაძლევის რწმენის უქონლობა იწვევს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის უარყოფას. მეორე რიგის წინააღმდეგობათა დავიწყება იწვევს კაპიტალისტური გარემოცვის შეუფასებლობას, სიფხიზლის დაკარგვას, თავდაცვის საკითხებისადმი ყურადღების შესუსტებას.

ამიტომ ამხანაგი სტალინი სისტემატურად უბრუნდებოდა ამ საკითხს, კერძოდ, ცნობილ წერილში ამხანაგ ივანოვისადმი მან ერთხელ კიდევ გაამახვილა პარტიისა და მთელი ხალხის ყურადღება წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფზე, იმაზე, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ ეს წინააღმდეგობანი და მუდამ უნდა ვიყოთ მობილიზაციურ მზადყოფნაში.

როგორც ახლა უკვე ცნობილია, ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებით გააქტივდა ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის ბოლოს, ძირითად მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას და ბურჟუაზიული წესწყობილების აღდგენას. თავისი გამცემლური შეხედულებებისათვის „მეცნიერული“ სახე რომ მიეცა, მან გააძლიერა თავდასხმები ერთ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინურ-სტალინურ თეორიაზე. ძირითადი წყალგამყოფი პარტიასა და ოპოზიციას შორის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი იყო.

რა „არგუმენტებს“ აყენებდა ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ჯგუფი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის წინააღმდეგ?

ტროცკისტები ამბობდნენ, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის თეორიის დაცვით პარტია შორდება მარქსიზმს, ვინაიდან მარქსი და ენგელსი თავის დროზე უარჰყოფდნენ ასეთ შესაძლებლობას. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ ეს ახალი ბრალდება როდია, რომ ტროცკისტებმა ის ჯერ კიდევ 1915 წელს წამოაყენეს ლენინის წინააღმდეგ. ამხანაგმა სტალინმა დაასაბუთა, რომ ეს ბრალდება შედეგია იმპერიალიზმამდელ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის განსხვავების გაუგებლობისა. შედეგია მარქსისა და ენგელსის მოძღვრებისადმი დოგმატური მიდგომისა.

ტროცკისტები ამტკიცებდნენ კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედება იმპერიალიზმის დროს კი არ ძლიერდება, არამედ

მცირდებაო. ამხანაგმა სტალინმა ცხადჰყო, რომ ეს ახალი მოსაზრება როდია იმპერიალიზმის ლენინური თეორიის წინააღმდეგ. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ კაუცკელებმა ამ საქმეში ბევრად გაუსწრეს ტროცკისტებს, როცა ლაპარაკობდნენ კაპიტალიზმის მშვიდობიან განვითარებაზე იმპერიალიზმის დროს, ზეიმპერიალიზმზე და სხვა.

ტროცკისტები ამტკიცებდნენ, რომ თუ საერთოდ შესაძლებელია სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში, ეს შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალისტური განვითარების მხრივ მოწინავე ქვეყნებში და ყოველ შემთხვევაში არა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ტექნიკურად, ეკონომიურად, კულტურულად ჩამორჩენილიაო. ამხანაგმა სტალინმა ცხადჰყო, რომ ეს მოსაზრებაც არ არის ახალი, რომ იგი ახალი გამოცემაა მენშევიკური თეორიისა იმის შესახებ, რომ რუსეთში არ მოიპოვება მატერიალური წინაპირობები სოციალისტური რევოლუციისათვის.

ტროცკისტები ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია მიაღწიოს ეკონომიურ დამოუკიდებლობას, რომ იგი ყოველთვის მსოფლიო იმპერიალისტური მეურნეობის კონტროლქვეშ და მისგან დამოკიდებული იქნებაო. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობა არ ნიშნავს მათი დამოუკიდებლობის დაკარგვას, რომ დამოკიდებულება აქ ურთიერთია, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მეურნეობა იმყოფება არა იმპერიალიზმის კონტროლქვეშ, არამედ მუშათა კლასის დიქტატურის კონტროლქვეშ. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ ჩვენს ქვეყანას მოეპოვება ყველა აუცილებელი პირობა ეკონომიურად სავსებით დამოუკიდებელი ქვეყანა გახდეს.

ტროცკისტები ანტაგონისტურ ხასიათს აწერდნენ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობას და შეუძლებლად სთვლიდნენ ამ წინააღმდეგობის შინაგანი ძალებით დაძლევას. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ ესეც ძველი მენშევიკური თეორიაა გლეხობის მთლიანი რეაქციულობის შესახებ, პროლეტარიატისადმი გლეხობის მტრული განწყობილების შესახებ.

ტროცკისტები ცილს სწამებდნენ პარტიას, თითქოს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებაზე ფიქრი „ნაციონალურ შეზღუდულობას“, ინტერნაციონალიზმისადმი ღალატს ნიშნავდა. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ ეს ბრალდებაც არ არის ახალი, რომ მას ტროცკი აყენებდა ლენინის წინააღმდეგ ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანების ურღვევი ერთიანობა.

ყოველივე ნათქვამის მიხედვით, ამხანაგმა სტალინმა ტროცკისტული ხაზი დაახასიათა, როგორც რევოლუციის ლიკვიდაციის და კაპიტალიზმის რესტავრაციის ხაზი.

ამ ძირითადი ხაზიდან—ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის უარყოფის ხაზიდან გამომდინარეობდა ტროცკისტების სხვა კონტრრევოლუციური დებულებებიც. ტროცკისტები ცდილობდნენ დაემახინჯებინათ ნეპის ბუნება, აზვიადებდნენ მის უარყოფით მხარეებს, განმარტავდნენ ნეპს როგორც უკანდახევას და მხოლოდ უკანდახევას და ამცირებ-

დნენ ჩვენი სოციალისტური განვითარების ბერკეტების როლს—პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალისტური მრეწველობის, საკრედიტო სისტემის, კოოპერაციის და სხვ. როლს.

ისინი უარჰყოფდნენ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობისა და ჩვენი კოოპერაციის სოციალისტურ ბუნებას, ახასიათებდნენ მათ როგორც სახელმწიფო კაპიტალისტურ საწარმოებს და სურდათ დაეთესათ მუშათა კლასსა და გლეხობაში ამ საწარმოებისადმი მტრული დამოკიდებულება.

ისინი აზვიადებდნენ დიფერენციაციას სოფლად, სთესავდნენ პანიკას, ამცირებდნენ საშუალო გლეხის როლს და ცდილობდნენ ჩაეშალათ პარტიის პოლიტიკა საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის უზრუნველყოფის დარგში.

ისინი თვალთმაქცურად გაჰყვიროდნენ ტერმიდორზე, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გადაგვარებაზე და სხვა.

საერთოდ ტროცკისტები ცდილობდნენ გაეზვიადებინათ, გაებერათ ჩვენი მშენებლობის სიძნელენი, გაევრცელებინათ დაბნეულობა და უიმედობა და დაეთესათ ხალხში მტრული დამოკიდებულება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ძირი გამოეთხარათ გამარჯვების რწმენისათვის.

ამხანაგმა სტალინმა გააკმტვერა ტროცკისტული და ზინოვიევურ-კამენევური კონტრრევოლუციური ჯგუფის „თეორია“, დაიცვა და შემდგომ განავითარა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური თეორია. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამხანაგი სტალინი სწერდა, რომ ტროცკისტების დაუმარცხებლად არ შეიძლება წარმატებით აშენო სოციალიზმი. პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით, გაანადგურა ყველა ანტიპარტიული ჯგუფი, შეაიარაღა ხალხი გამარჯვების რწმენით და წაიყვანა ჩვენი ქვეყანა წინ — სოციალიზმისაკენ. ამხანაგ სტალინს მხედველობიდან არასოდეს გამორჩენია, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება იოლი საქმე არ არის, რომ სოციალიზმის მშენებელთა წინაშე დგანან და იდგომებიან სიძნელენი, მაგრამ სიძნელე და შეუძლებლობა ერთი და იგივე როდია—სიძნელის გადალახვა შეიძლება. ამხანაგი სტალინი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა თვითდინებით არ შეიძლება, რომ საჭიროა შემუშავებულ იქნას სოციალიზმის აშენების გარკვეული გეგმა, იმის გეგმა, თუ საიდან დავიწყოთ, როგორ მივუდგეთ სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტას.

ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურება პარტიისა და ხალხის წინაშე, იმაში მდგომარეობს, რომ მან ლენინის მითითებათა საფუძველზე შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გენიალური გეგმა.

ლენინი ალნიშნავდა მრეწველობის განვითარების მნიშვნელობას სოციალიზმის მშენებლობისათვის. ამ საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეგმა, მისი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის, და ეკონომიურად სავსებით დამოუკიდებელ ქვეყნად გადაქცევის გეგმა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

ინდუსტრიალიზაციის საკითხში ტროცკისტები მიმართავდნენ დემაგოგიას. მათ არ აინტერესებდათ ინდუსტრიის ‘ღერძის—მძიმე მრეწველობის განვითარება. ისინი მოითხოვდნენ უცხოეთიდან მოხმარების საგნების ფარ-

თო მასშტაბით შემოზიდვას. ამ გეგმას ამხანაგმა სტალინმა უწოდა ჩვენი ქვეყნის დაუეჭიზაციის გეგმა, ჩვენი სახალხო მეურნეობის მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის დანამატად გადაქცევის გეგმა. ტროცკისტული ინდუსტრიალიზაციის გეგმა გულისხმობდა მრეწველობის განვითარებას სოფლის მეურნეობის, გლეხობის ექსპლოატაციის საფუძველზე. მრეწველობის განვითარების ამ მეთოდს ამხანაგმა სტალინმა უწოდა კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის მეთოდი, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირის გაწყვეტის მეთოდი, რაც პროლეტარიატის დიქტატურას დალუპვას უქადდა.

ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრეს მემარჯვენე კონტრრევოლუციონერებმაც — ბუხარინმა, რიკოვმა, ტომსკიმ და სხვებმა. ისინიც მოითხოვდნენ არა მძიმე ინდუსტრიის, არამედ მსუბუქი მრეწველობის განვითარებას. ისინი დემაგოგიურად მოითხოვდნენ უწინარეს ყოვლისა ხალხის დაკმაყოფილებას მოხმარების საგნებით და მათ სრულიად არ ადარდებდათ ის, რომ ასეთი ხაზი ჩვენს ქვეყანას დასავლეთის აგრარულ დანართად გადააქცევდა.

პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით გააკამტვერა მთელი ეს მტრული შეხედულებანი და შეუდგა ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის განხორციელებას.

ლენინი აღნიშნავდა კოოპერაციის დიდ მნიშვნელობას წვრილგლეხური სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნისათვის. ამ საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმა, მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების შექმნის გეგმა. ტროცკისტები ამბობდნენ, კოოპერაცია სოციალისტური საწარმო არ არისო. მემარჯვენე კონტრრევოლუციონერები აგრეთვე განსაკუთრებით აქტიურად ილაშქრებდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. პარტიამ უკუაგდო ტროცკისტულ-ბუხარინული შეხედულებანი და შეუდგა კოლექტივიზაციის სტალინური გეგმის განხორციელებას.

ამრიგად, ამხანაგმა სტალინმა არა მარტო დაიცვა ლენინური თეორია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, არამედ შემდგომ განავითარა იგი, შეიმუშავა სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის კონკრეტული გზები.

ჩვენი პარტიის XIV ყრილობამ უარჰყო ეგრეთწოდებული „ახალი ოპოზიციის“ მტრული დებულებანი და პარტიისა და ხალხის ძირითადი ყურადღება მიაპყრო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანების გადაჭრას, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო სოციალიზმის მშენებლობის სხვა ამოცანების გადაჭრა, შეუძლებელი იყო შემდგომი წინსვლა. სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ძირითადი რგოლი გახდა.

პარტიის XV ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა მაშინ, როცა ინდუსტრიალიზაციის საფუძვლები უკვე შექმნილი იყო, საბოლოოდ გაანადგურა ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა ბლოკი და ორიენტაცია მოგვცა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მომზადებისაკენ, ვინაიდან კოლექტივიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარება.

პარტიის XVI ყრილობა შეიკრიბა მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის პერიოდში, იმ პერიოდში, როცა ჩვენი ქვეყანა ხდებოდა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, წვრილგლეხური მეურნეობის ქვეყნიდან მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყნად. ყრილობამ გაანადგურა სოციალისტური შეტევის დეზორგანიზატორები—მემარჯვენე კონტრრევოლუციონერები და „მემარცხენე“ ავანტიურისტები და დასახა ღონისძიებანი პირველი სტალინური ხუთწლედის ცხოვრებაში გასატარებლად.

პირველი, ხოლო შემდეგ მეორე სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელებამ ჩვენი ქვეყანა გადააქცია ძლიერ, მოწინავე სოციალისტურ სახელმწიფოდ. ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია. ლიკვიდირებულია აგრეთვე კაპიტალიზმის წარმოშობის ეკონომიური საფუძველი და აშენებულია ახალი სოციალისტური საზოგადოება, რომელიც დაგვირგვინდა სტალინური კონსტიტუციით.

1937 წლის 11 დეკემბერს მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„... ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. 10 წლის წინათ შეიძლებოდა დისკუსია იმაზე, შეიძლება თუ არა ჩვენში სოციალიზმის შენება. ახლა ეს აღარ არის სადისკუსიო საკითხი. ახლა ეს არის ფაქტების საკითხი, ცოცხალი ცხოვრების საკითხი, ყოფაცხოვრების საკითხი, რომლითაც გამსჭვალულია ხალხის მთელი ცხოვრება. ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში ნამდვილ სოციალიზმს. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფაცხოვრებაში, სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას“.

ამრიგად, ლენინურ-სტალინური თეორია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ სინამდვილედ იქცა, განხორციელდა.

V

მაგრამ ჩვენ ამაზე არ შევჩერებულვართ. როგორც ვიცით, სოციალიზმი მხოლოდ პირველი ეტაპია კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზაზე.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა დაასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები. ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების თეორია, დაამუშავა საბჭოთა კავშირში სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის თეორია.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის, კომუნისტური ფორმაციის

ორი საფეხურია—დაბალი და მაღალი საფეხური, რომ კომუნიზმი სოციალიზმის შემდგომი განვითარება და გაღრმავებაა.

ლენინი ამბობს:

„სოციალიზმი ის საზოგადოებაა, რომელიც უშუალოდ კაპიტალიზმიდან აღმოცენდება. ის ახალი საზოგადოების პირველი სახეა. კომუნიზმი კი უფრო მაღალი სახეა საზოგადოებისა, და მას შეუძლია განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა სრულიად განმტკიცდება სოციალიზმი".

სოციალიზმი და კომუნიზმი წარმოების ერთ საერთო წესს ემყარებიან. აქედან მათი საერთო დამახასიათებელი ნიშნებიც.

რა არის ეს საერთო ნიშნები?

უწინარეს ყოვლისა, სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო დამახასიათებელი ნიშანია საწარმოო იარაღთა და საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. სწორედ ეს არის წარმოების ახალი წესის, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის საფუძველი ისევე, როგორც კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველი საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრებაა. საწარმოო იარაღთა და საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების გარეშე წარმოუდგენელია როგორც სოციალიზმი ისე კომუნიზმიც. სწორედ ესაა საფუძველი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისა.

შემდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო დამახასიათებელი ნიშანია სახალხო მეურნეობის განვითარების წარმართვა ერთიანი გეგმის მიხედვით. გეგმიანობა სახელმწიფო მასშტაბით წარმოების ახალი წესის ერთერთი ძირითადი ნიშანია. გეგმიანობა ნიშნავს, რომ საზოგადოებამ შეიცნო თავისი განვითარების კანონები და ამ კანონების მიხედვით შეგნებულად წარმართავს ქვეყნის მთელ ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას. გეგმიანობას, მაშასადამე, საფუძვლად უდევს მეცნიერება, რის გამოც საზოგადოებრივი განვითარების კანონები ბრმად კი არ მოქმედებენ, ისინი კი არ ბატონობენ ადამიანებზე, არამედ ადამიანები, შეგნებულად იყენებენ ამ კანონებს. ამით აიხსნება, რომ სოციალისტურ სისტემაში გამორიცხულია წარმოების ანარქია, კრიზისები და უმუშევრობა.

მაგრამ ამ საერთო ნიშნებს გარდა სოციალიზმსა და კომუნიზმს ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნებიც აქვთ.

სოციალიზმის დროს სახალხო მეურნეობას ჯერ კიდევ არ მიუღწევია განვითარების ისეთი დონისათვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას მოხმარების საგნების სიუხვე. მშრომელი მასების მოხმარების დონეს სოციალიზმი მრავალჯერ ამაღლებს, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმაო. ამიტომ სოციალიზმის ამოცანაა ამ დონის განუხრელი ამაღლება. კომუნიზმი საწარმოო ძალების განვითარების და შრომის ნაყოფიერების ისეთ დონეს გულისხმობს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მრავალჯერ ავამაღლოთ მშრომელთა მოხმარების დონე, შევქმნათ მოხმარების საგნების სიუხვე საზოგადოებაში.

სოციალიზმის დროს შრომა ჯერ კიდევ არ გამხდარა უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად. ამიტომ საჭიროა საზოგადოების კონტროლი შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე. აქედან სოციალიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან—უნარის მიხედვით, თვითეულს—შრომის მიხედვით". კომუნიზმის დროს შრომა ადამიანის უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილე-

ბად გადაიქცევა. ამიტომ საჭირო აღარ იქნება საზოგადოების კონტროლი შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე. აქედან კომუნიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან—უნარის მიხედვით, თვითეულს—მოთხოვნილების მიხედვით“. ამ პრინციპის განხორციელება, გადასვლა განაწილებაზე მოთხოვნილების მიხედვით შესაძლებელი იქნება შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის განუხრელად გატარებით.

სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი საკუთრება ორი ფორმით არსებობს—ერთი, ძირითადი, წამყვანი ფორმა საერთო-სახალხო ანუ სახელმწიფო საკუთრებაა, მეორე ფორმა კი საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრება. ისინი ერთ ტიპს ეკუთვნიან, მაგრამ პირველი უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე მეორე. კომუნიზმის დროს იქნება საკუთრების მხოლოდ ერთი ფორმა—კომუნისტური საკუთრება. ამის მიღწევა შესაძლებელია სოციალისტური საკუთრების ორივე ფორმის ყოველმხრივი განმტკიცების, საერთო-სახალხო საკუთრების წამყვანი როლის გაძლიერების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის მძლავრი განვითარების გზით.

სოციალიზმის დროს ანტაგონისტური კლასები ლიკვიდირებულია, კლასობრივი განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის სულ უფრო და უფრო ნაკლები ხდება და თანდათანობით ქრება, მაგრამ ეს განსხვავება მაინც არსებობს. კომუნიზმის დროს კი კლასობრივი განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის აღარ იქნება.

სოციალიზმის დროს მთლიანად ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული წინააღმდეგობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, თუმცა ამ მხრივ გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგმულია საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებით, სკოლების, ტექნიკუმების, უნივერსიტეტების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაშლით, მასების კულტურული დონის სერიოზული ამაღლებით, კვალიფიკაციური კადრების მომზადების განუხრელი ზრდით. კომუნიზმის დროს წინააღმდეგობა გონებრივ და ფიზიკურ ფორმას შორის საფსებით გაქრება. ამის მიღწევა შესაძლებელია ყველა მუშისა და გლეხის კულტურულ მოქალაქედ გადაქცევით, უმაღლესი ტექნიკის დანერგვით.

სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ლიკვიდირებული ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობა. მართალია ქალაქი უკვე აღარ წარმოადგენს სოფლისადმი დაპირისპირებულ ძალას, ის არ ეწევა სოფლის ექსპლოატაციას, როგორც ეს კაპიტალიზმის დროს არის; სოციალისტური ქალაქი სოფლის ხელმძღვანელი და დამხმარე ძალაა, ხოლო სოციალისტური სოფელი ქალაქის დამხმარე და ხელშემწყობი; ჩვენს ქალაქში, ისევე როგორც სოფელში მეურნეობის სოციალისტური წესია დამკვიდრებული, მაგრამ განსხვავება მაინც რჩება ქალაქისა და სოფლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დონეში, თუმცა ამ განსხვავების საფლიკვიდაციოდ—სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დონის ასამაღლებლად უდიდესი ნაბიჯებია გადადგმული; განსხვავება რჩება ქალაქისა და სოფლის კულტურული განვითარების დონეშიც, თუმცა ამ განსხვავების საფლიკვიდაციოდ — სოფლის კულტურული განვითარების დონის ასამაღლებლად გადამწყვეტი ნაბიჯებია გადადგმული. კომუნიზმის დროს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობა საფსებით გაქრება. ამის

მიღწევის გზა სოფლის მეურნეობისა და კულტურის დონის ქალაქის მეურნეობისა და კულტურის დონემდე ამაღლების გზაა.

სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას კაპიტალიზმის ნაშთები ეკონომიკაში და ადამიანთა შეგნებაში, ეს გამოიხატება შრომისადმი არასოციალისტურ დამოკიდებულებაში, პირადულის საზოგადოებრივზე უფრო მაღლა დაყენებაში, პირადი ინტერესების საზოგადოებრივი ინტერესებისათვის დაპირისპირებაში, — წვრილბურჟუაზიულ გათანაბრებაში. ისინი ვლინდებიან კერძოდ, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი გაუფრთხილებლობაში, მისი დატაცების და განიავების ფაქტებში. იდეოლოგიურ სფეროში ეს ნაშთები პოულობენ გამოხატულებას ინდივიდუალიზმში, უიდეობაში, აპოლიტიკურობაში და სხვ.

კომუნიზმის დროს კაპიტალიზმის ნაშთები სავსებით გაქრება როგორც ეკონომიკაში ისე ადამიანთა შეგნებაში. ამ მიზნის მისაღწევად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიურ მუშაობას, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების უფრო ფართედ დანერგვას, საზოგადოებრივი საკუთრების მტკიცედ დაცვას, გათანაბრების ლიკვიდაციას და ა. შ. თვით პროცესი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისა საფუძველია მასების კომუნისტური აღზრდისა.

აქედან ცხადია, რომ კომუნიზმი სოციალიზმის ძირითად საყრდენთა, მის მთავარ დამახასიათებელ თვისებათა პირდაპირი გაგრძელება და გაღრმავებაა.

ამრიგად, გადასვლა სოციალიზმიდან კომუნიზმში უნდა მოხდეს თანდათანობით, ახალი საზოგადოების ყოველმხრივი განმტკიცების, მისი პრინციპების სულ უფრო ღრმად და სრულად განხორციელების გზით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ქვეყნის შინაგანი განვითარების კანონების თვალსაზრისით კომუნიზმის აშენება საბჭოთა კავშირში სავსებით შესაძლებელია.

მაგრამ კომუნისტური საზოგადოების ერთ ქვეყანაში აშენების საკითხს, ისევე, როგორც სოციალიზმის აშენების საკითხს, აქვს კიდევ მეორე მხარე, საგარეო მხარე. შეუძლია თუ არა ჩვენს ქვეყანას გადალახოს ის სიძნელენი, რასაც მას უქმნის კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის ფაქტი? შეიძლება თუ არა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენება საბჭოთა კავშირში?

ამ კითხვაზე ამხანაგმა სტალინმა დადებითად უპასუხა. პარტიის XVIII ყრილობაზე მან დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კონკრეტული გზები.

პოლიტიკურ დარგში ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა საბჭოთა სახელმწიფოს ყოველმხრივი განმტკიცებისა და გაძლიერების ამოცანა. საბჭოთა სახელმწიფო ის მთავარი ძალაა, რომელმაც სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველჰყო. თავის მხრივ სოციალიზმის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცისა და ძლიერების უმაგალითო სიმაღლეზე აყვანა. საბჭოთა სახელმწიფო მთავარი, გადამწყვეტი ძალაა კომუნიზმის მშენებლობაშიც.

რა ფუნქციები რჩება სახელმწიფოს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში, მაშინ, როცა ქვეყნის შიგნით აღარ არის ექსპლოატა-

ტორული კლასები, აღარ არის მჩაგვრელები და ჩაგრულები, აღარ არის ექსპლოატაცია?

ამ პერიოდში სრულად ვითარდება სახელმწიფო ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქცია. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცება და დაცვა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების გეგმის განხორციელება, ხოლო რამდენად კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება სახელმწიფოს ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს.

„ახლა,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVIII ყრილობაზე, — ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ქვეყნის შიგნით მდგომარეობს მშვიდობიან სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობაში. რაც შეეხება ჩვენს არმიას, დამსჯელ ორგანოებსა და დაზვერვას, ისინი თავისი მახვილით მიმართული არიან უცვე არა ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთ, გარეშე მტრების წინააღმდეგ".

მაშასადამე, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადაქცევის პერიოდში სახელმწიფოს უდიდესი როლი ენიჭება. ამიტომ კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის უპირველესი პირობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებაა.

მაგრამ რა ბედი ეწევა სახელმწიფოს მაშინ, როცა ჩვენ ავაშენებთ სრულ კომუნისტურ საზოგადოებას? დარჩება თუ არა ჩვენში სახელმწიფო კომუნიზმის პერიოდშიც? ამ კითხვაზე ამხანაგმა სტალინმა ამომწურავი პასუხი გასცა.

„დიახ, დარჩება, თუ ლიკვიდირებული არ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა, თუ მოსპობილი არ იქნება გარედან სამხედრო თავდასხმის საფრთხე, ამასთან გასაგებია, რომ ჩვენი სახელმწიფოს ფორმები კვლავ იქნება შეცვლილი, საშინაო და საგარეო ვითარების ცვლილების შესაბამისად.

არა, არ დარჩება და მოკვდება, თუ კაპიტალისტური გარემოცვა ლიკვიდირებული იქნება, თუ იგი სოციალისტური გარემოცვით იქნება შეცვლილი".

ასეთია სტალინური თეორია ჩვენი შემდგომი წინსვლის პოლიტიკური პირობებისა და სახელმწიფოს ბედის შესახებ სრული კომუნიზმის დროს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ამ თეორიას ჩვენი გამარჯვებისათვის როგორც გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე კომუნიზმის მშენებლობის ფრონტზე.

ეკონომიური დარგში ამხანაგმა სტალინმა საწარმოო ძალთა აღმავლობის ახალი გრანდიოზული ამოცანა დაგვისახა. ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნას მოხმარების საგნების სიუხვე, ურომლისოდაც შეუძლებელია კომუნიზმში გადასვლის განხორციელება. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ კომუნიზმში გადასვლის მატერიალური პირობების შესაქმნელად აუცილებელია საწარმოო ძალთა განვითარების გაცილებით უფრო მაღალი დონე, ვიდრე ამჟამად ჩვენ გვაქვს, ვიდრე აქვთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. საწარმოო

ძალთა განვითარების ტემპის მხრივ ჩვენ დიდი ხანია გავუსწარით კაპიტალისტურ ქვეყნებს. მიუხედავად ამისა, რევოლუციამდელი რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარების დონე ისე დაბალი იყო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გაუთანასწორდით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად ე. ი. მოსახლეობის თვითეულ სულზე სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ. აქედან ამოცანა—გავუსწროთ ეკონომიურადაც მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

„მხოლოდ იმ შემთხვევაში,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVIII ყრილობაზე,—თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით, ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე, და შესაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველი ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში“.

ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა, რომ ამ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. გარეშე მტრები რომ თავს არ დაგვსხმოდნენ ჩვენ უკვე დიდი ნაბიჯი გვექნებოდა გადადგმული ამ ამოცანის გადასაწყვეტად. მეოთხე სტალინური ხუთწლედი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ომის ეკონომიური შედეგების ლიკვიდაციას გულისხმობს, ნაწილობრივ ამ ამოცანის გადაწყვეტასაც ისახავს მიზნად. მომდევნო უახლოესმა ხუთწლედებმა საბოლოოდ უნდა გადასწყვიტონ ეს დიდი ამოცანა, რაც წინაპირობაა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისა.

კულტურულ დარგში ამხანაგმა სტალინმა მთავარ ამოცანად დასახა ყველა მუშა და ყველა გლეხი განათლებული გავხადოთ. ამხანაგმა სტალინმა სთქვა პარტიის XVIII ყრილობაზე:

„ჩვენ გვინდა ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ, და ჩვენ გავაკეთებთ ამას დროთა ვითარებაში“.

ხალხთა მასების კულტურული დონის ეს ამაღლება აუცილებელია იმისათვის, რომ ჩავსებით ალმოფხვრას წინააღმდეგობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. უამისოდ კომუნიზმი შეუძლებელია.

ასეთია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პროგრამა, რაც ამხანაგმა სტალინმა დასახა ჩვენი პარტიის XVIII ყრილობაზე.

* * *

ჩვენი ქვეყანა წარმატებით შეუდგა სრული კომუნისტური საზოგადოების აგების სტალინური გეგმის შესრულებას. მაგრამ გვერმანელ ფაშისტ ბარბაროსთა ეერაგულმა თავდასხმამ დროებით შესწყვიტა ეს მუშაობა. დიდ სამამულო ომში ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო დაგვეცვა ოცი წლის გმირული შრომით მოპოვებული სოციალისტური წყობილება, დაგვეცვა საბჭოთა სამშობლოს ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენ გვქონდა ყველა აუცილებელი პირობა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების სტალინური გეგმის გენიალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს გეგმა ითვალისწინებდა საგარეო საფრთხეს, კაპიტალისტური გარემოცვიდან გამომდინარე საფრთხეს. ჩვენი

სახელმწიფოს სტალინური პოლიტიკის სიბრძნე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნისათვის მშვიდობიანობა, სანამ ჩვენ ხუსტი ვიყავით, სანამ ჩვენ საკმაოდ არ მოგვეპოვებოდა საშუალებანი ჩვენი სამშობლოს თავდაცვისათვის.

სოციალისტური მშენებლობის სტალინური გეგმის განხორციელებამ შეჰქმნა ჩვენი სახელმწიფოს ურღვევი თავდაცვითი ძლიერება, შეაიარაღა საბჭოთა არმია და ფლოტი პირველხარისხოვანი ტექნიკით, მისცა მათ ყოველივე, რაც კი საჭიროა გამარჯვების მოსაპოვებლად. სტალინური გეგმის განხორციელებამ მტკიცედ შეაძულებინა საბჭოთა საზოგადოება, განამტკიცა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, გასწმინდა ჩვენი ქვეყანა მსოფლიო იმპერიალიზმის ტროცკისტ-ზინოვიეველი და ბუხარინელ-რიკოველი აგენტებისაგან და შექმნა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ურღვევი, ისტორიაში უმაგალითო ერთიანობა.

სწორედ ამიტომ მოვიპოვეთ ჩვენ ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ. გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვა საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა. ეს გამარჯვება ნიშნავს, რომ კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების ლენინურ-სტალინურმა თეორიამ.

ამ გამარჯვებას ჩვენ მივაღწიეთ გენიალური ბელადისა და მხედართმთავრის დიდი სტალინის წინამძღოლობით, ბოლშევიკების დიადი პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის მეოხებით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა თავდადებული, გმირული ბრძოლისა და შრომის მეოხებით. ისტორიაში უმაგალითოა ის მძიმე მსხვერპლი, რაც საბჭოთა ხალხმა გაიღო თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყნის წინაშე დაისახა ახალი უდიდესი ამოცანები. ამ ამოცანებმა მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს ახალ ხუთწლიან გეგმაში. ხუთწლედის ძირითადი ამოცანები ამხანაგმა სტალინმა ასე განსაზღვრა:

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით“.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ანახლებს ომით შეწყვეტილ მუშაობას სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ამ გეგმის წარმატებით განხორციელება სერიოზული ნაბიჯი იქნება წინ, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე.

მეოთხე სტალინური ხუთწლედი დიდ პროგრამას ისახავს ჩვენი ქვეყნის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის.

ხუთწლედის მანძილზე არა მარტო უნდა აღვადგინოთ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ომამდელი დონე, არამედ კიდეც გადავაჭარბოთ

მას. ომამდელი 138,5 მილიარდი მანეთის პროდუქციის ნაცვლად, 1950 წელს ჩვენი მრეწველობა მოგვცემს 205 მილიარდი მანეთის პროდუქციას (1926-1927 წ. ფასებით). ზრდა უდრის 48 პროცენტს.

ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად გაიზრდება საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის თვითეულ სულზე სამრეწველო პროდუქციის ოდენობა, რითაც მივუახლოვდებით ჩვენი ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრას, მაშასადამე, მოვამზადებთ პირობებს მოხმარების საგნების სიუხვისათვის.

ხუთწლედის მანძილზე განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდება ჩვენი მრეწველობის ძირითადი, გადამწყვეტი დარგები. შავი მეტალურგიის დარგში თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის გამოშვება 1950 წელს, ომამდელთან შედარებით, 35 პროცენტით უნდა გაიზარდოს. უფრო მაღალი ტემპით განვითარდება ფერადი მეტალურგია. ქვანახშირი 1950 წელს 51 პროცენტით მეტი უნდა ამოვიღოთ 1940 წელთან შედარებით. ელექტროენერგიის გამომუშავება 70 პროცენტით იზრდება. მანქანათმშენებლობის დარგში მოწყობილობათა გამოშვება ერთიორად გადიდდება. ქიმიურ მრეწველობაში ომამდელი დონე ერთნახევარჯერ იქნება გადაჭარბებული.

ამრიგად მეოთხე სტალინური ხუთწლედის შედეგად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის მსუბუქი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური შეიარაღებისა და მძლავრი საერთო აღმავლობისათვის უფრო ფართო ბაზა იქმნება. მაშასადამე, მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარების დასახული პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ჩვენი ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის აუცილებელი პირობაა.

ხუთწლედის მანძილზე სწრაფი ტემპით იზრდება შრომის ნაყოფიერება. 1950 წელს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ომამდელ დონეს 36 პროცენტით უნდა გადავაჭარბოთ, ხოლო ახალ მშენებლობებზე—40 პროცენტით. ამ დავალების შესრულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საკმარისია ითქვას, რომ ახალ ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის ზრდის 70 პროცენტი შრომის ნაყოფიერების გადიდებით უნდა მივიღოთ. შრომის ნაყოფიერების ზრდა სოციალისტური დაგროვების გადიდების, მაშასადამე ახალ საწარმოთა მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ეს ნიშნავს, რომ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ჩვენი ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის უმნიშვნელოვანესი პირობაა. შრომის ნაყოფიერების გადიდების პროგრამის შესრულებისათვის კი აუცილებელია ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა, შრომის მექანიზაციის ზრდა, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, სტახანოვური მოძრაობის განვითარება.

ხუთწლედის მანძილზე არა მარტო აღდგენილ იქნება ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე, არამედ კიდეც გადაჭა-

ჭარბებთ მას. 1950 წელს ჩვენმა სოფლის მეურნეობამ უნდა მოგვცეს 27 პროცენტით მეტი პროდუქცია 1940 წელთან შედარებით. ამ დავალების შესრულება ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარების პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა.

ხუთწლედის მანძილზე არა მარტო აღდგენილ იქნება ხალხის კეთილდღეობის ომამდელი დონე, არამედ კიდეც გადავაჭარბებთ მას. სახალხო შემოსავალი 1940 წელთან შედარებით 30-მდე მეტი პროცენტით უნდა გაიზარდოს. გაიზრდება მუშათა რეალური ხელფასი, გაუმჯობესდება მუშათა საბინაო პირობები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. დასახულია მუშათა კვალიფიციური კადრების ახალი მილიონების მომზადების ამოცანა. მნიშვნელოვნად გადიდდება შრომადღის ღირებულება კოლმეურნეობებში.

ხუთწლედის მანძილზე დიდი ამოცანებია დასახული ხალხთა მასების კულტურისა და კომუნისტური შეგნებულობის დონის ამაღლების დარგში. გაიზრდება სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი. იდეოლოგიურ მუშაობის ყველა იარაღი გამოყენებული იქნება კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად ადამიანთა შეგნებაში, კომუნისტური მსოფლმხედველობის აღსაზრდელად ხალხთა მილიონიან მასებში.

ყოველივე ამით ჩვენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ წინ, სრული კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ დასახული ამოცანების შესრულება ადვილი არ არის, რომ მას ხუთწლედის შესრულების გზაზე მრავალი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვა მოუხდება.

ჩვენი სახელმწიფო ჯერჯერობით ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც გარემოცულია არასოციალისტური, კაპიტალისტური სახელმწიფოებით. ამ სახელმწიფოთა მისწრაფებაა ხელი შეუშალონ ჩვენს წინსვლას, ჩვენს გაძლიერებას. გამორიცხული არაა ახალი სამხედრო ინტერვენციაც კაპიტალისტური ქვეყნების მხრით.

მართალია, აგრესიის მთავარი კერები ლიკვიდირებულია, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ ბევრია რეაქციონერი ომის გამჩაღებლები, და ადვილად შეიძლება გაჩნდეს აგრესიის ახალი კერა. მხოლოდ წელიწადნახევარზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გამარჯვებით დამთავრდა ისტორიაში უმაგალითო ომი გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, და უკვე დღეს ბევრი ფუსფუსებს. განსაკუთრებით ანგლო-საქსური ბანაკში, რათა დათესოს ხალხთა შორის შუღლი და მტრობა, მოამზადოს ახალი სისხლისღვრა.

ამიტომ საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო აძლიერებს სიფხიზლეს, მთელ თავის ენერგიას ახმარს ჩვენი სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა ხალხს, რომელმაც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მეთაურობით სამი რევოლუცია მოახდინა, ააშენა სრულიად ახალი სოციალისტური საზოგადოება, და გამარჯვებით დააგვირგვინა დიდი სამამულო ომი ძლიერი და სა-

შიში მტრის წინააღმდეგ—სიძნელეებისა და დაბრკოლებების არ ეშინია. დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით მას გაბედულად მიაქვს წინ სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დროშა. ამ დროშით ჩატარდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები, რომლისათვისაც დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით ემზადება ამჟამად ჩვენი ხალხი. 1947 წლის თებერვალში მშრომელი მასები თავიანთი რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში აირჩევენ ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებს, ლენინისა და სტალინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეებს, მათ, ვინც გაბედულად წარუძღვება ჩვენს ხალხს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის დიადი ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში.

სარედაქციო კოლეგია:
გ. ალავიძე
კ. ბარიგიანი
ვ. კუპრაძე
ა. ძუთელია
ჰ. შარია (პ/მგ. რედაქტორი)
ს. ჰელიძე
ს. ჯანაშია

უე 00245. გამომც. № 6. ტირაჟი 8.000
1 საბ. ფორ. 56000 სასტ. ნიშ. სასტ. ფორმ. 5 შეკ. № 129.
ლ. ჰ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“. თბილისი. ლენინის, 28.

ფასი 3 მან.

ბ 838
1946

ЖУРНАЛ
„БОЛЬШЕВИКИ“
(на грузинском языке)
Орган ЦК КП (б) Грузии
№ 12 декабрь 1946 г.